გაზეთი „ქართული სიტყვა“ ინტერნეტში www.qartulisityva.ge

გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ქართული სიტყვა

№50 (314)

ფასი 1 ლარი

23 – 29 დეკემბერი 2015 წ. ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

აგარაკი წყნეთში, სადაც თემურ ალასანია საიდუმლო შეხვედრებს მართავს

რატომ მალავენ 7 გენერლის დაჭერას და რა საფრთხეებს შეიცავს რუსეთთან უვიზო მიმოსვლა

>>> მე-2-3 გვ.

„ავაკოვი იგივე პოროშენკოა, რომელიც სააკაშვილს პირდაპირ ვერ დაეტაკება. პოროშენკოს სააკაშვილი აღარ აინტერესებს იმიტომ, რომ ხელისუფლება მოიმძლავრა და სააკაშვილი მისთვის აბსოლუტური ზედმეტობაა... რა, გგონიათ, რომ სააკაშვილი რუსების დავალებებს რომ ასრულებდა, ამის შესახებ ევროპელებს ეუბნებოდა? იცით, რას შვრებოდა? – ევროპელებს ყიდულობდა და ამის მაგალითია შვედეთის საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრ, კარ ბილტთან დაკავშირებული „ატკატები“. მიშას ძირითადი საქმიანობა აბსოლუტურად შეფარული იყო და ამ შემთხვევაში, ამერიკელებიც მოტყუებულები აღმოჩნდნენ, რომელთაც ეგონათ, რომ მიშა გადაბირებული ჰყავდათ, მაგრამ სააკაშვილმა ფაქტის წინაშე დააყენა და აშშ-ს სპეცსამსახურები ტუტუცურ სიტუაციაში აღმოჩნდნენ!“

ნორა კვიციანი: „მაინტერესებს: ჩემი პოლიტპატიმრად აღიარება რატომ არ შედიოდა მათ ინტერესში?!. კიდევ ბევრი რამ ამოტივტივდება!“

„ეკა ბესელია დამპირდა, რომ ჩემი საქმე ცალკე განიხილებოდა, მაგრამ არაფერი გაუკეთებია!“

დიღომში, მამასთან ერთად მოკლულ 5 წლის ბავშვს ასთმა აწუხებდა

„არ მეზერა მაგ ვერსიის!“ – რა უამბეს „ქართულ სიტყვას“ მეზობლებმა, ქმრის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ქალის დამ და მოკლული მამაკაცის მეგობარმა

>>> მე-4 გვ.

გედევან ფოფხაძე: „დერვიშაძე ამ სიაში კახა კუკავასგან მოხვდა!“

„ეს ბრალდებები, რაღაც დოზით, ყველას ეხება, ვინც ამ პროცესში ვართ ჩართული!“

>>> მე-10 გვ.

„არჩილ კბილაშვილი სიტყვის გამტეხი და მატყუარა აღმოჩნდა!“



>>> მე-14-15 გვ.

ბრუნდებიან თუ არა „გაიშნიკები“ და ვის ურჩევს გამოლოცვას შალვა ოგბაიძე

რაინდი ვასაძის დარდი, ვიზალიბერალიზაცია და პრორუსული „მითოლოგია“

>>> მე-8 გვ.

საფეხბურთო სკოლა „ოლიმპს“ ანგრევენ?!

„ინვესტორები მალე ეკლესიებსაც იყიდიან და მერე რას იტყვით, ძალიან მაინტერესებს!“

2 | № 50 (314) | 23 - 29 დეკემბერი 2015

ქართული იტუკი

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲕᲘ

ᲐᲒᲐᲠᲐᲙᲘ ᲬᲧᲜᲔᲗᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲗᲔᲛᲣᲠ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲡ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲛᲐᲚᲐᲕᲔᲜ 7 ᲒᲔᲜᲔᲠᲚᲘᲡ ᲓᲐᲭᲔᲠᲐᲡ ᲓᲐ ᲠᲐ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲑᲡ ᲨᲔᲘᲪᲐᲕᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲣᲕᲘᲖᲝ ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ

პუტინმა ეშმაკობა იხმარა — ვიდრე ევროპა საქართველოს სავიზო ლიბერალიზაციაზე დადებით დასკვნას გაასაჯაროებდა, ყელმოღერებულმა განაცხადა, მზად ვარ, საქართველოსთან სავიზო რეჟიმი გავაუქმოო. ჰოდა, ქართველი „პუტინისტებიც“ „ატკვარცალდნენ“, აი, რა კარგი მამა-მარჩენალი გვყავს, საქართველოს მოქალაქეებზე ზრუნავსო, მაგრამ ევროპის გადაწყვეტილება პუტინისტებს მდუღარესავით გადაესხათ... „ქართული სიტყვის“ ტრადიციული რესპონდენტის, უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკის, უსაფრთხოების ექსპერტის, კონსტანტინე ფორჩხიძის განცხადებები კი, რუსეთუმეებს დავლურის ხალისს, ალბათ, საბოლოოდ გაუქრობს. მოკლედ, ქართველი სპეცსამსახურელი ამტკიცებს, რომ რუსეთის მხრიდან საქართველოსთვის უვიზო მიმიმოსვლის შემოღება არაერთ საფრთხეს შეიცავს... მაინც, რა საფრთხეებს გულისხმობს კონსტანტინე ფორჩხიძე, რა კავშირი აქვს თავის დროზე სააკაშვილის ინიციატივით რუსეთთან ცალმხრივად გაუქმებულ უვიზო კავშირს ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალებასთან და რატომ გააააქტიურეს ე.წ. სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა პანკისის თემა? — კონსტანტინე ფორჩხიძე ამ შეკითხვებზე ამომწურავად პასუხობს და აქცენტს წყნეთის ერთ-ერთ აგარაკზეც აკეთებს, სადაც „დიდი მაფიოზური“ შეხვედრები იმართებოდა ან შეიძლება, ახლაც იმართება...

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲤᲝᲠᲩᲮᲘᲫᲔ: — სხვათა შორის, ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ, მე და ხათუნა ლაგაზიძემ განვაცხადეთ, რომ რუსეთი საქართველოსთან სავიზო რეჟიმს გაუქმებდა. არადა, მაშინ ყველა ვიზალიბერალიზაციაზე იყო გადართული. თავისთავად, ძალიან კარგია, რომ ევროპამ ასეთი დასკვნა დადო — სწორედ ესაა ჩვენი ევროინტეგრაციისკენ გადადგმული რეალური ნაბიჯი.

— გეთანხმებით, მაგრამ ევროპას პუტინმა დაასწრო. ყოველ შემთხვევაში, ერთი დღით ადრე განაცხადა, აი, საქართველოს მოქალაქეებს რუსეთში უვიზოდ შემოსვლას ვთავაზობთო...

— პუტინმა ევროპას იმიტომ დაასწრო, რომ იცოდა, საქართველოსთან, უკრაინასა და კოსოვოსთან დაკავშირებით ევროკავშირი ვიზალიბერალიზაციაზე პოზიტიურ დასკვნას გამოაქვეყნებდა. სხვათა შორის, ამ თემაზე პუტინმა შეკითხვა, ყურადღება თუ მიაქციეთ, ქართულ ტელევიზიას დაასმევინა.

— რას ნიშნავს, „დაასმევინა“?

— დიახ, დაასმევინა, რადგან ამ თემაზე საუბარს თავისი ინიციატივით არ დაიწყებდა, რადგან ეს პირდაპირ დასავლეთის მხრიდან საქართველოსადმი გადმოდგმული ნაბიჯის საპირწონედ აღიქმებოდა.

თუ პოლიტიკურ ჭრილში განვიხილავთ, ჩვენი პრემიერის განცხადება, პუტინის განცხადება სწორი ნაბიჯიაო, კი ბატონო, შეიძლება, მართლაც, ასე აღვიქვათ, რადგან საქართველოს მოქალაქეებისთვის ნებისმიერ ქვეყანაში თავისუფლად მოგზაურობა თუ საქმიანობის დაწყება მისაღებია, მით უმეტეს, მაშინ, როცა ჩვენს ქვეყანაში ხალხს მომავლის იმედი არ აქვს. სხვათა შორის, საზოგადოების იმ ნაწილისთვის, ვისაც საქართველოში პურის ფულის შოვნა და ოჯახის გამოკვება უჭირს, რუსეთთან უვიზო მიმოსვლა უფრო მისაღებია, რადგან კრემლი არც ბანკის ანგარიშს ითხოვს და, ალბათ, არც შეზღუდვებს დააწესებს, რომ რუსეთში საქართველოს მოქალაქეს ორ-სამ თვეზე მეტხანს დარჩენის უფლება არ ექნება. შესაბამისად, ამით პუტინი ცდილობს, რომ საქართველოს დასავლეთთან მიმართებაში თავისი უპირატესობა დაანახოს და შეიძლება, რიგითი მოქალაქეებიც ფიქრობენ, რომ ყველაფერი ეს კარგი მომავლის იმედს აჩენს, თუმცა თუკი კარგად გავაანალიზებთ, რუსეთის მხრიდან საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის გაუქმება ძალიან ბევრ საფრთხეს შეიცავს.

— კონკრეტულად?

—კი ბატონო, კონკრეტულად გეტყვით, თუმცა მანამდე აღვნიშნავ, რომ ეს საფრთხეები მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ინტერესშია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მას შემდეგ, რაც რუსეთ-საქართველოს შორის უვიზო მიმოსვლა ამოქმედდება, საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში ტერორისტული ჯგუფების შეღწევა გაადვილდება, ანუ ადრე თუ ასეთ ჯგუფებს შეეძლოთ, საქართველოდან რუსეთში გარკვეულ საფარქვეშ, მაგალითად, გაყალბებული დოკუმენტით შეეღწიათ, ახლა ეს, როგორც იტყვიან, ბარიერი მოხსნილია.

— ბატონო კოტე, ისე ლაპარაკობთ, გეგონება, საქართველო ტერორისტების აკვანი იყოს...

— აკვანი რა შუაშია? რა, გამორიცხავთ, რომ ასეთმა ჯგუფებმა ჩვენი ქვეყანა ტრანზიტად გამოიყენონ და ყველაფერი ეს რუსული სპეცსამსახურების ხელშეწყობით მოხდეს?!

— გამორიცხული, ცხადია, არაფერია...

— ჰოდა, მეც სწორედ იმ საფრთხეებზე ვლაპარაკობ, რომლებიც რუსეთის მხრიდან საქართველოსთან უვიზო რეჟიმის შემოღებას შეიძლება მოჰყვეს. აქამდე არსებული მოცემულობით, ასეთ რაღაცებზე პასუხისმგებლობა რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურებს ეკისრებათ — სავიზო რეჟიმი რუსულ მხარეს აქვს დაწესებული და თუკი ფედერაციის ტერიტორიაზე ვინმე საეჭვო შეაღწევს, რუსეთის ხელისუფლებამ პასუხი, პირველ რიგში, თავის სახელმწიფო სტრუქტურებს უნდა მოჰკითხოს, რადგან ვიზასაც რუსული მხარე გასცემს და საზღვრის გადალახვისას პირებს რუსი მესაზღვრეები ამოწმებენ, მაგრამ როცა სავიზო რეჟიმი გაუქმდება, კრემლმა საქმეში შეიძლება, საკუთარი აგენტურა ჩართოს.

— ვერ ვხვდები, საუბარი საითკენ მიგყავთ. არ შეგიძლიათ, უფრო გასაგებად თქვათ?

— მაგალითად, რუსეთს საქართველოსთან მიმართებაში რაღაც მაპროვოცირებელი ელემენტი დასჭირდა. ასეთ დროს თავის გავლენის აგენტურას გამოიყენებს, რომელიც საქართველოს საზღვრისპირა რაიონებსა და რეგიონებში უხვად ჰყავს.

— ამ შემთხვევაში, პანკისის ხეობას გულისხმობთ?

— არა მხოლოდ... მოკლედ, რუსეთმა თავის ტერიტორიაზე საქართველოდან შეიძლება, ტერორისტული თუ კრიმინალური ჯგუფების შეღწევის პროვოცირება მოახდინოს.

— რა მიზნით?

— იმ მიზნით, რომ საქართველოს ადექვატური პასუხი გასცეს.

— კრემლმა საქართველოს ადექვატური პასუხი რა შემთხვევაში შეიძლება გასცეს?

— რა შემთხვევაში და, — თუკი ჩვენს ევროატლანტიკური გზიდან გადახვევას ვერ უზრუნველყოფს, ანუ ეს პროცესი, რომლებიც ახლა მიმდინარეობს, ევროპასთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობაში გადაიზარდა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსაც უფრო მეტად დავუახლოვდით, მით უმეტეს, ნატო-ს სამიტი კარსაა მომდგარი და არავინ იცის, საქართველოსთან მიმართებაში რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული. სწორედ ამიტომ, რუსული სპეცსამსახურები ისე არიან მობილიზებულნი, როგორც არასდროს — ისინი ყველა იმ ქვეყანაში, რომელიც თავიანთი გავლენის სფეროში მოსაქცევად პოტენციურად მიაჩნიათ, ყველა ნაბიჯს თვლიან.

სხვათა შორის, რუსულ სპეცსამსახურებს ამ მხრივ ნაბიჯები წინ უფრო აზერბაიჯანში აქვთ გადადგმული, ვიდრე — საქართველოში და ამის დასტურია ორი-სამი დღის წინ, ე.წ. მინსკის ჯგუფის ფორმატში, აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტების შეხვედრაც. ამით ჩანს, რომ საუბარი შეიძლება, სარქისიანის ხელისუფლების შენარჩუნების სანაცვლოდ, ყარაბაღის პრობლემის მოგვარებისკენ წავიდეს, ანუ ყარაბაღის ოლქმა აზერბაიჯანში ფართო ავტონომია მიიღოს და მასში ის რვა, წმინდა აზერბაიჯანული რაიონიც გაერთიანდეს, რომელიც აქამდე ყარაბაღის შემადგენლობაში არ იყო და რომელიც სომხეთს აქვს ოკუპირებულ-მითვისებული...

— კოტე ბატონო, წეღან, კერძო საუბრისას, რუსეთის მხრიდან სავიზო რეჟიმის გაუქმების კონტექსტში, გენერლების დაპატიმრება ახსენეთ. ამ თემის განვრცობა შეგიძლიათ?

— მაქეთკენ მივდივარ... როცა აზერბაიჯანში ასეთი პროცესები მიმდინარეობს, ჯერჯერობით არსად გაჟღერებულა, რომ აზერბაიჯანი ევრაზიული კავშირის წევრი გახდა.

— ოფიციალურად?

— ყოველ შემთხვევაში, არსებობს ინფორმაცია, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტს ხელი აქვს მოწერილი, ანუ პუტინს დასთანხმდა, რომ ევრაზიულ კავშირში გაერთიანდება. სხვათა შორის, ამაზე პირველი მინიშნება ლუკაშენკომ გააკეთა, რომელმაც მინსკში, ილჰამ ალიევის მიღებისას, სიტყვასიტყვით განაცხადა, მოხარული ვართ, ბელორუსში ჩვენი მეგობარი ევრაზიული კავშირის წევრი სახელმწიფოს პრეზიდენტი მივიღოთო. აღსანიშნავია, რომ ლუკაშენკოს ეს განცხადება აზერბაიჯანულმა ტელევიზიამ გადასცა. საერთოდ, მეორე ფაქტორი, რაც მაფიქრებინებს, რომ აზერბაიჯანი მთლიანად ევრაზიულ კავშირშია გადართული, ის პროპაგანდაა, რომელსაც აზერბაიჯანული მედია ეწევა.

— აზერბაიჯანული მედია ასეთ რა პროპაგანდას ეწევა?

— რას და, — დასავლეთს ისე წარმოაჩენს, რომ იქ თითქოს ქსენოფობია და რელიგიური შეუწყნარებლობაა გამეფებული. ამასთან, აზერბაიჯანული მედია, მარი ლეპენზე საუბრისას, ხაზს უსვამს, რომ ევროპაში ადამიანის უფლებები ირღვევა, აშშ-ში კი, აფრომამრიკელებს ხოცავენ. მოკლედ, აზერბაიჯანული მედია მოსახლეობას აჯერებს, რომ ევროპა ძალიან ცუდია და მის მიერ აზერბაიჯანთან გაკეთებული განცხადებები არაობიექტურია. ყველაფერი ეს, სინამდვილეში, რუსული სქემის ნაწილია.

სამწუხაროა, რომ ეს სქემა საქართველოშიც ამუშავდა. მართალია, ვერ ვიტყვი, რომ ამ სქემაში ქართული მედიის ყველა საშუალებაა ჩართული, მაგრამ ზოგიერთი ე.წ. პროქართული მედიასაშუალება წმინდა რუსულ პროპაგანდას ეწევა...

— ამაზე ადრეც გვისაუბრია, მაგრამ გენერლების დაჭერა რაზე ახსენეთ?

— მოგეხსენებათ, თურქეთს აზერბაიჯანში ძალიან დიდი ანკლავი აქვს.

— მერე?

— აზერბაიჯანში თურქული სპეცსამსახურები დიდი ხნის განმავლობაში მუშაობენ და არ მგონია, შესაბამისი დასაყრდენი არ ჰყავდეთ. მოკლედ, კულუარული ინფორმაციით, ბაქოში 7 გენერალი დაიჭირეს.

— რა მოტივით?

— სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით.

— ანუ, ეს გენერლები ალიევს სახელმწიფო გადატრიალებას უწყობდნენ?

— დიახ.

— რუსეთთან შეთანხმებით?

— არა, ამაში უფრო თურქული კვალი ჩანს, რასაც ბაქოში თურქი მაღალჩინოსნების გახშირებული ვიზიტებიც ადასტურებს.

— ყველაფერ ამასთან საქართველო რა შუაშია?

— იმ შუაშია, რომ ჩვენი სტრატეგიული მეზობელი და მოკავშირე, ანუ აზერბაიჯანი ნელ-ნელა იმ საფარქვეშ აღმოჩნდა, რასაც რუსული გეოსტრატეგიული სივრცე და ვექტორი ჰქვია.

ანალოგიური სქემა, როგორც აღვნიშნე, საქართველოშიც ამოქმედდა. საერთოდ, თუკი სამეზობლოში განვითარებულ მოვლენებს არ აკვირდები, ისე შენს ქვეყანაში შექმნილ ვითარებას რეალურად ვერ შეაფასებ. აზერბაიჯანში მიმდინარე პროცესებს ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვაკვირდებოდი და შემიძლია, სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ პროცესები ჩვენთანაც ზუსტად ისე მიდის, როგორც ბაქოში ვითარდებოდა, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეზე უარი არ უთქვამს — ბოლოს და ბოლოს, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება გავაფორმეთ, თუმცა სწორედ ამ კონტექსტში ჯდება ე.წ. ნეიტრალიტეტის პოლიტიკის წამოწევა, რომელზეც წინა ინტერვიუებში ვრცლად ვისაუბრეთ. შესაძლებელია, რუსეთს სულაც არ უნდა, რომ ევრაზიულ კავშირში უცებ შეგვათრიოს, მაგრამ გვევაჭროს და გარკვეული დროის მერე, დაგვთანხმდეს, რომ ევროპასთან ასოცირების პირობებში ვიყოთ, მაგრამ ნეიტრალური პოლიტიკა გავატაროთ.

მოკლედ, ყველაფერ აქედან გამომდინარე, პუტინის ინიციატივა, რომ რუსეთი საქართველოსთან უვიზო რეჟიმს შემოიღებს, გარკვეულ საფრთხეებს შეიცავს და ამაზე განცხადება, სხვათა შორის, ირაკლი ალასანიამაც გააკეთა. კერძოდ, მან განაცხადა, რომ გარკვეული საფრთხეები შეიძლება, პანკისის ხეობაში გაჩნდეს.

— მაშასადამე, პანკისი, შესაძლოა, ისევ ცხელ წერტილად იქცეს?

— დიახ, გამორიცხული არაფერია და ასეთი პროგნოზის გაკეთების საშუალებას ერგნეთში გამართული შეხვედრაც იძლევა.

— ანუ?

— ამ შეხვედრაზე ე.წ. სამხრეთ ოსეთის

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-3 ᲒᲕ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

23 – 29 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ 2015

№ 50 (314)

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲢᲧᲕᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲜᲘᲤᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სკანდალური ექსკლუზივი

მე-2 გვერდიდან

რესპუბლიკის წარმომადგენელმა დავით სანაკოევმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ პანკისის ხეობაში თითქოს „ბოევიკები“ არიან, რომლებიც რუსულ სამხედრო ბაზებზე თავდასხმას აპირებენ. თუკი ყველაფერ ამას შევკრავთ, მათ შორის, ვიზალიბერალიზაციის თემასაც, გამოდის, რომ რუსეთი, ტრადიციულად, თაფლაკვერისა და მათრახის პოლიტიკით მოქმედებს – ერთი ხელით თაფლაკვერს გვაწვდის, მეორეთი კი, მათრახს გვირტყამს და გვეუბნება, თუკი დასავლეთს ძალიან დაუახლოვდებით, აი, პანკისის ნაღმს ავამოქმედებო, თუმცა ამას თავისი პირით არ ამბობს და ე.წ. მოკავშირე ცხინვალის წარმომადგენელს ახმოვანებინებს.

სხვათა შორის, რუსეთთან სავიზო რეჟიმი ქართულმა მხარემ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ცალმხრივად გააუქმა და ესეც რუსული ინტერესების დასაკმაყოფილებლად გაკეთდა.

– მაშასადამე, ძველ აზრზე რჩებით და საუბარი იქითკენ მიგყავთ, რომ მიხეილ სააკაშვილი რუსულ თამაშს თამაშობდა?

– დიახ, ისევ ამ აზრზე ვარ, რომელსაც ვერავინ შემაცვლევინებს. ამ აზრის გასამტკიცებლად მოკლე არგუმენტსაც მოგიყვანთ: სააკაშვილის მიერ ვიზების ცალმხრივად გაუქმება ნამდვილად რუსეთის ინტერესებში შედიოდა, ვინაიდან სადაზვერვო საქმიანობისთვის, ანუ რუსული სპეცსამსახურების აგენტებს საქართველოში მარშრუტირებისთვის ვიზა აღარ დასჭირვებოდათ და სადაზვერვო საქმიანობას ჩვეულებრივი ტურისტული მოგზაურობით ფუთავენ.

– ბატონო კოტე, გამოცდილი სპეცსამსახურელი ხართ და, ვფიქრობ, უსუსური არგუმენტი მოგყავთ, რამეთუ ძლევამოსილ სპეცსამსახურს არც ის გაუჭირდება, რომ ნებისმიერ ქვეყანაში თავისი აგენტი უვიზო მიმოსვლის პირობებშიც შეუშვას...

– კი ბატონო, მაგრამ როცა სავიზო რეჟიმი არსებობს, გინდა თუ არა, საქმეში საკონსულო ერევა, სადაც სპეცსამსახურია წარმოდგენილი. ასევე, არსებობს კონტრდაზვერვა თუ სხვა უწყება...

– რა ვიცი, მუდმივად უკმაყოფილო ხართ, რომ ქართული სპეცსამსახურები არ მუშაობენ...

– უკმაყოფილო იმიტომ ვარ, რომ იმ დოზით არ მუშაობენ, რა დოზითაც უნდა იმუშაონ, თორემ ამ შემთხვევაში, ასე ვთქვათ, ქრესთომატიულ ჭეშმარიტებაზე ვლაპარაკობ, ანუ ჩვენი სპეცსამსახური თავის სიმაღლეზე რომ იყოს, რუსულ აგენტურას საქართველოში შემოსვლისას, სავიზო პირობებში, სერიოზული პრობლემები შეექმნებოდა. ვიზების ცალმხრივად გაუქმება კი, ნახევრად ლეგალურ შემოსვლას ნიშნავს – საზღვარზე, მაპატიეთ და, ვიღაც „ლოხი“ ზის, ქვეყანაში ნებისმიერ შემომსვლელს ვიზას ურტყამს და აზრადაც არ მოუვა, რომ ეს ნებისმიერი შემომსვლელი შეიძლება, აგენტურული ქსელის წარმომადგენელი იყოს.

– ისე, რუსეთს საქართველოში ახალი აგენტების შემოშვება რაღად უნდა? – არაერთხელ გითქვამთ, რომ ქვეყანა „კაგებეშნიკებითაა“ სავსე...

– აგენტურასთან კავშირი საჭიროა...

– 21-ე საუკუნეა, მაღალი ტექნოლოგიების ეპოქა და კავშირის დამყარება სხვა გზებითაც შეიძლება...

– სპეცსამსახურები, როგორც წესი, ტექნოლოგიებს ბოლომდე არ ენდობიან და ურჩევნიათ, საქმე ადამიანების ხელით გააკეთონ. მოკლედ, საქართველოს სპეცსამსახური როგორ გააკონტროლებს, უვიზო მიმოსვლის პირობებში, საქართველოში ტურისტად შემოსული რუსეთის მოქალაქე ვინაა და რას საქმიანობს. თუ გახსოვთ, ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობის მერე განაცხადეს, მკვლელმა შესაძლოა, საქართველოს ტერიტორია დატოვაო.

– ეს რა შუაშია?

– იმ შუაშია, რომ თუკი ეს მკვლელობა იყო, ის ადამიანი, ან ადამიანთა ჯგუფი საქართველოში სწორედ იმ გზით შემოვიდა, რომელზეც ყურადღებას ვამახვილებ.

სხვათა შორის, თავდაპირველად ქართულმა მხარემ უვიზო მიმოსვლა ჩრდილოეთკავკასიელებისთვის შემოიღო, რაც პრაქტიკულად, საფარში მოქცევა იყო.

– რას გულისხმობთ?

– „აი-სი-სი“-ს მებრძოლების ნაწილი ხომ სწორედ ჩრდილოეთკავკასიელია? მითქვამს და ვიმეორებ, რომ რუსეთი, როგორც აშშ, „აი-სი-სი“-ს ჩამოყალიბების სათავეებთან იდგა. მოკლედ, ეს ხალხი სირიაში საიდან წავიდოდა? – თურქეთში ოფიციალურად ჩავიდოდა თუ უპრიანი იქნებოდა, საქართველოდან ჯერ თურქეთში ყოველგვარი პრობლემების გარეშე გადასულიყო, იქიდან კი, – სირიაში?

– ბატონო კოტე, ვინაიდან სააკაშვილი ახსენეთ, აქვე, მოდით, მიშასა და უკრაინის შს მინისტრ, ავაკოვს შორის ბოლო დროს დაძაბულ ურთიერთობასაც შევეხოთ. თქვენი აზრით, რა ხდება?

– ეს, პრაქტიკულად, ისაა, რაც ადრე ვთქვი.

– ანუ?

– ავაკოვი იგივე პოროშენკოა, რომელიც სააკაშვილს პირდაპირ ვერ დაეტაკება.

– სხვათა შორის, გარკვეული ეჭვი პოროშენკოს რუსულ „ბეგრაუნდზეც“ არსებობს...

– დიახ, მაგრამ პოროშენკოს სააკაშვილი აღარ აინტერესებს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ხელისუფლება მოიმძლავრა და სააკაშვილი მისთვის აბსოლუტური ზედმეტობაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, პირდაპირ ვერ დაარტყამს – ბოლოს და ბოლოს, უკრაინაში თვითონ მიიწვია და მოქალაქეობაც მისცა. ამიტომ, საქმეში ავაკოვი ჩართო, თან დააკვირდით, ამ უკანასკნელმა შეტევა მხოლოდ სააკაშვილზე კი არა, იგივე ეკა ზღულაძეზეც მიიტანა. ეს პროცესი უფრო შორს წავა და სააკაშვილს საქმე ისე გაუხდება, რომ უკრაინიდანაც გაიქცევა!

– უკრაინის მოქალაქეა და სადღა უნდა გაიქცეს?!

– ვანო, წინა ინტერვიუებშიც აღვნიშნე, რომ სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის გაუქმება შეცდომა იყო და ახლაც ამ აზრზე ვარ! დღეს სააკაშვილს იმის საშუალება აქვს, რომ ევროკავშირის მოქალაქე გახდეს და ქართულ პოლიტიკაში დაბრუნდეს.

– ევროკავშირის მოქალაქე როგორ უნდა გახდეს?

– ჩვეულებრივად, ანუ შეუძლია, უკრაინის გარდა, კიდევ რომელიმე ქვეყნის, მაგალითად, ჰოლანდიის მოქალაქეობა მიიღოს და ამ შემოვლითი გზით ქართულ პოლიტიკაში ისევ ჩაერთოს. ამის საშუალება მიშას მე კი არა, ამ უტვინო ხელისუფლებამ მისცა!

– ერთი სიტყვით, ბატონო კოტე, ირწმუნებით, რომ ავაკოვ-სააკაშვილის კინკლაობა სააკაშვილის უკრაინიდან გაქცევით დამთავრდება?

– დიახ. სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა იმისთვის სჭირდებოდა, რომ საქართველოში თავი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისთვის აერიდებინა!

– მახსოვს, ერთხელ აღნიშნეთ, საქართველოდან მიშა რუსულმა სპეცსამსახურებმა „გაიყვანესო“. ამ ლოგიკით, უკრაინიდანაც ისევ რუსული სპეცსამსახურები „გაიყვანენ“?

– აბა, რა?! სააკაშვილი ციხეში რომ აღმოჩნდეს, ეს სწორედ რუსებს არ აწყობთ, მით უმეტეს, იმ თემებთან დაკავშირებით, რაზეც ამდენი ხანია ვლაპარაკობთ.

– მხედველობაში იარაღის უკანონო ბიზნესი გაქვთ?

– დიახ. სააკაშვილი რომ დაიჭირონ, იმ ფაქტებს დაუდებენ, რაც რუსეთს არ აწყობს, თუმცა ადრე თუ გვიან, ყველაფერი ეს „გასკდება“ და სიმართლეს ჰააგის ტრიბუნალი მაინც იტყვის!

– სხვათა შორის, ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით ევროპელები მადლობას მხოლოდ ახალ კი არა, წინა ხელისუფლებასაც უხდიან. შესაბამისად, თქვენი ვერსია, ბატონო კოტე, რომ მიშა რუსებზე მუშაობდა, ლოგიკაში აღარ ჯდება...

– ვანო, ლოგიკა ზოგჯერ ალოგიკურობაშიცაა.

– შეიძლება...

– რა, გგონიათ, რომ სააკაშვილი რუსების დავალებებს რომ ასრულებდა, ამის შესახებ ევროპელებს ეუბნებოდა? იცით, რას შვრებოდა? – ევროპელებს ყიდულობდა და ამის მაგალითია შვედეთის საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრ, კარ ბილტთან დაკავშირებული „ატკატები“. მიშას ძირითადი საქმიანობა აბსოლუტურად შეფარული იყო და ამ შემთხვევაში, ამერიკელებიც მოტყუებულები აღმოჩნდნენ, რომელთაც ეგონათ, რომ მიშა გადაბირებული ჰყავდათ, მაგრამ სააკაშვილმა ფაქტის წინაშე დააყენა და აშშ-ს სპეცსამსახურები ტუტუცურ სიტუაციაში აღმოჩნდნენ!

– თქვენი საუბრით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მიშა ყველა დროის ყველაზე საუკეთესო აგენტია...

– დიახ, სააკაშვილი სპეცსამსახურების საუკეთესო წარმომადგენელი და რუსული ინტერესების გამტარებელია, რაც 2008 წლის აგვისტოს ომით დაადასტურა. ამერიკელები ყველაფერს სწორედ ამის შემდეგ მიხვდნენ და ხელისუფლების ცვლილების საფუძველიც ეს გახდა...

– ბატონო კოტე, წეღან, კერძო საუბრისას, სიტყვა ისევ იარაღის ბიზნესზე ჩამოაგდეთ და წყნეთის საიდუმლო აგარაკი ახსენეთ, თუმცა თემა აღარ განავრცეთ. რისი თქმა გინდოდათ?

– საიდუმლოს ვერ ვიტყვი, უბრალოდ, წყნეთში არსებობს აგარაკი, რომელიც ერთ-ერთ გავლენიან ბიზნესმენს ეკუთვნის, რომელიც თემურ ალასანიასთან დაახლოებულია და რომელსაც შეხების წერტილები, შესაძლებელია, ამ ხელისუფლების ცალკეულ მაღალჩინოსნებთანაც აქვს.

– და ეს აგარაკი საინტერესო რატომაა?

– 2012 წლამდე, ამ აგარაკზე თემურ ალასანია შეხვედრებს მართავდა...

– იარაღის უკანონო ბიზნესზე?

– გამორიცხული არაფერია, თუმცა ეს პირველადი ინფორმაციაა, რომელიც არ დამიმუშავებია, თუ რა ტიპის შეხვედრები და ვისთან იმართებოდა... სხვათა შორის, ამ თემით ხელისუფლებაც უნდა დაინტერესდეს, რადგან ამ ხელისუფლებასთან შეკითხვები მხოლოდ მე კი არა, იგივე აშშ-ს ფედერალურ ბიუროსაც აქვს. შეკითხვები სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთანაც მაქვს, რადგან ის ხალხი, ვინც ამ საქმიანობის მეტ-ნაკლებად გაწმენდით იყო დაკავებული, თანამდებობაზე ისევ რატომ მუშაობს?! თავის დროზე ყოფილი მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი ვალდებული იყო, ამ საქმეზე გამოძიება დაეწყო, მით უმეტეს, რომ აშშ-ის ფედერალურმა ბიურომ რამდენჯერმე მიმართა... მგონია, რომ ხელისუფლების ნაწილს ამ საქმიანობის წინა პლანზე წამოწევა არ აწყობს, თორემ სააკაშვილის იზოლირებას, თუნდაც კონსტიტუციის დარღვევის საბაბით, რა უნდოდა?!

ისე, სადმე გინახავთ, რომ სპეცსამსახურს მოსალოდნელ საფრთხეებზე მსჯელობა გაემართა?

– რას გულისხმობთ?

– ახლახან, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა კონფერენცია გამართა, რომელზეც ექსპერტები მიიწვიეს და რა, ყველა ექსპერტი შემოწმებული ჰყავდათ?

– ბატონო კოტე, ამას, ალბათ, იმიტომ ამბობთ, რომ კონფერენციაზე, როგორც უსაფრთხოების ექსპერტი, არ მიგიწვიეს...

– როგორ გეკადრებათ?! ვისთან უნდა მივსულიყავი, ხოჯევანიშვილებსა და სუსის იმ თანამშრომლებთან, რომლებიც ბაჩო ახალაიას და წინა ხელისუფლების წარმომადგენლები არიან?! ან რომელ საფრთხეებზე უნდა მემსჯელა, როცა პირდაპირი საფრთხეები ხელისუფლებაში უსხედან! სად გინახავთ, რომ თუნდაც რუსული სპეცსამსახურები ასეთ კონფერენციებს მართავდნენ? ეს ხომ სახელმწიფოს წინაშე არსებული საფრთხეებისა და რისკების „ღია კარის“ პრინციპით განხილვაა. საერთოდ, სად ვართ, ეს რა ქვეყანა და რა სპეცსამსახურია?! სპეცსამსახური ქვეყნის ხერხემალია, მაგრამ ეს არ ესმით და ჰგონიათ, რომ სპეცსამსახური თამაშია – კარგ მანქანებში ჩასხდნენ და „ქსივებს“ ატრიალებენ, აი, ამხელა გავლენა გვაქვსო...

...სხვათა შორის, შეკითხვები ე.წ. შეწყალების სკანდალთან დაკავშირებითაც მაქვს.

– სახელდობრ?

– რამდენიმე დღის წინ, პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განაცხადა, პრეზიდენტი საქმის კურსში იყოო.

– ამას ალეკო ელისაშვილიც ადასტურებს...

– პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ისიც თქვა, რომ პროკურატურას მიმართეს. პროკურატურისთვის მიმართვა კი, წერილობით ხდება.

– ეგებ, სიტყვიერად აცნობეს?

– სიტყვიერად შეტყობინება არ შეიძლება... ყოველ შემთხვევაში, თუკი სიტყვიერად შეატყობინეს, ეს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხრიდან საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულებაა.

მოკლედ, საზოგადოებას ზედმეტი შეკითხვები რომ აღარ ჰქონდეს, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, ნება იბოძოს და მთავარ პროკურატურაში გაგზავნილი დოკუმენტის ასლი გაასაჯაროოს.

– ჯერ გამოძიება მიმდინარეობს და, შეიძლება, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე არ ასაჯაროებს...

– კარგი, რა, ლამისაა, ქვეყანა თავზე დაგვექცეს და რა დროს გამოძიების ინტერესებია?! ბოლოს და ბოლოს, ლაპარაკი მაღალჩინოსნების კორუფციაში მონაწილეობაზეა, რაც, პირველ რიგში, საქართველოს საერთაშორისო იმიჯს ურტყამს. თუკი პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან წერილობითი შეტყობინება გაიგზავნა და გამოძიება არ დაიწყო, მაშინ პასუხისმგებლობა მთლიანად პროკურატურას ეკისრება, რადგან არადროული და არასათანადო რეაგირება მოახდინა, რაც დანაშაულის ნიშნების დაფარვის მცდელობას შეიცავს და საქმეში მთავარი პროკურატურის გენინსპექცია უნდა ჩაერთოს. ერთი სიტყვით, ძალიან მარტივად გასარკვევია, ელისაშვილი ტყუის, პროკურატურა თუ პრეზიდენტის ადმინისტრაცია...

– ბატონო კოტე, ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთი უცხოური დროშით მცურავი გემი, რომელზეც დიდი რაოდენობით ნარკოტიკი აღმოაჩინეს, დააკავეს. ასევე, დაკავებულია გემის ქართველი კაპიტანი...

– ესეც იმ სქემის ნაწილია...

– რომელი სქემის?

– მერამდენე ნარკოსკანდალი უნდა უკავშირდებდეს საქართველოს მოქალაქეებს? – გახსოვთ, ალბათ, მალაიზიაში დაკავებული ქართველი ქალბატონები. იგივე კოკაინის საქმე, რომელზეც „შეწყალების სკანდალი“ აგორდა. სხვათა შორის, ამ საქმეშიც ე.წ. კოლუმბიის მარშრუტი ფიგურირებს, რომელიც დღესაც აქტუალურია. რა ხდება?!

– სხვათა შორის, „კოკაინის საქმეში“ ჯართიც ფიგურირებს...

– ჯერ ერთი, ვერავინ დამაჯერებს, რომ გემის ქართველ კაპიტანს ორტონანახევარი ნარკოტიკი ისე ჩაუდეს, რომ ამის შესახებ არ იცოდა. ბრმა იყო, „ტო“, თუ გემი მოსტაცეს და მერე დაუბრუნეს?!

მეორეც, რაც შეეხება ჯართს, მილიონჯერ მითქვამს, რომ სადაც იარაღის ბიზნესია, იქ ნარკოტიკის ბიზნესია... გახსოვთ, სლობოდან ტეშიჩი საქართველოში ჯართის ბიზნესის საფარქვეშ რომ შემოვიდა? მოკლედ, იარაღსა და ნარკოტრაფიკს ერთი მაფია და ერთი და იგივე ბარონები მართავენ!

– და დღევანდელი საუბრის ბოლოს, ბატონო კოტე, მოწმეთა დაცვის კანონპროექტსაც შევეხოთ...

– შეკითხვები ამ კანონპროექტთანაც მაქვს: ცვლილებების თანახმად, ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებისთვის მოწმე არ დაისჯება, სამაგიეროდ, სასჯელი ცრუ ჩვენებისთვისაა განსაზღვრული. ეს ცვლილება ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, რადგან ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება, მინიმუმ, იმას ნიშნავს, რომ ერთი ჩვენება ტყუილია. ტყუილი და ცრუ ერთი და იგივე არაა?! ბოლოს და ბოლოს, გამაგებინეთ, მოწმე ცრუ ჩვენებისთვის უნდა დავსაჯოთ თუ არა? ისეთი კანონის მიღება არ შეიძლება, რომელიც ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, მაგრამ ამას, როგორც ჩანს, ზეწოლის, ან იმის გამო აკეთებენ, რომ დასავლეთს დაანახონ, აი, მოწმეებს სასამართლოში დავკითხავთო. მოკლედ, ცალი ფეხი ევროპაში აქვთ, ცალი საქართველოში და ასეთ გაფარჩხულ მდგომარეობაში არიან, რითიც ისევ და ისევ ქვეყნის რიგითი მოქალაქეები დავზარალდებით! მოკლედ, სრული ბალაგანია, მეტი რაღა უნდა ვთქვა?!

ესაუბრა ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

(თემის გაგრძელება იქნება)

№ 50 (314)
23 – 29 დეკემბერი 2015
ქართული იტალია
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურული, ეროვნული, ჰოლიტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“
გიორგი ლეონიძე

კრიმინალი

დიდომში, მამასთან ერთად მოკლულ 5 წლის ბავშვს ასთმა აწუხებდა

საზოგადოება თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩაზე მომხდარმა შემზარავმა მკვლელობამ შეძრა – ძალოვნებმა 25 წლის მაგდა პ-ძე ქმრისა და 5 წლის ვაჟის, თორნიკეს მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. არსებული ინფორმაციით, მაგდამ ჩადენილი დანაშაული თავიდან აღიარა და გამოძიებას დეტალური ჩვენებაც მისცა, თუმცა მალე ჩვენება შეცვალა და შემზარავი დანაშაული მოულოდნელად უარყო. ახლა სამართალდამცავები იმის გარკვევას ცდილობენ, თუ რა გახდა ქ-შვილების ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის მიზეზი.

თორნიკე 5 წლის იყო, იქვე სახლთან მდებარე ბაღში დაჰყავდათ მშობლებს. მომხდარით შეძრულები არიან პედაგოგები და უჭირთ იმის დაჯერება, რომ დედამ საკუთარი შვილი წინასწარგანზრახულად გაგუდა.

გარდაცვლილი მამა-შვილი შინ პროზექტურიდან გვიან მიასვენეს. როგორც ამბობენ, ომარს თავში ბლაგვი საგანი რამდენჯერმე აქვს ჩარტყმული.

მომხდარით შეძრულია თორნიკეს დეიდა ლანა პ-ძე. მისი თქმით, და და დისშვილი ტრაგედიის დღეს ნახა. ქალბატონი ლანა შემდეგს იხსენებს:

„ჩემთან იყვნენ მაგდა და თორნიკე. ომარმა სამსახურიდან დაურეკა მაგდას, სახლში მოვდივარ და დამხვდითო. ბავშვს ჩემს სახლში დარჩენა და ბავშვთან თამაში უნდოდა, მაგრამ მაგდამ არ დატოვა, უთხრა, მამიკოს სახლში უნდა დავხვდეთო. შევეხვეწე, თუ ასე ძალიან უნდა დარჩეს, დატოვე და საღამოს მოგიყვან-მეთქი, მაგრამ წაიყვანა. მერე ვიგებ ამ საშინელებას. მითხარით, სად იყო იმ დროს ჩემი და? რატომ ეღვიძა ღამის 2 საათზე თორნიკეს? ვერ დავიჯერებ, რომ ჩემი თორნიკე აღარ მყავს. მითხარით ვინ მოკლა ისინი, ან სად იყო ღმერთი, როცა მათ ასე უმოწყალოდ ხოცავდნენ?!“

მეზობლები გარდაცვლილ მამაკაცს დადებითად ახასიათებენ და ამბობენ, რომ კომფლიქტური პიროვნება არ იყო.

„ძალიან კარგი ბიჭი იყო, სრულიად უკომფლიქტო და მშვიდი. ნამდვილად არ ვიცი, შვილო, ვის, ან რატომ უნდა მოეკლა. ამბობენ, თავისმა ცოლმა მოკლაო, მაგრამ არ მჯერა მაგ ვერსიის. მათ ზემოთ ვცხოვრობ და არ გამიგია, ერთი ზედმეტი სიტყვა მაგ ოჯახიდან გამოსული. გუშინ, ღამე, რომ გავიგე ეს ამბავი, ძალიან ცუდად გავხდი. ვერაფრით წარმოვიდგენდი ასე საზარლად თუ იქნებოდა მოკლული მამა-შვილი,“ – უთხრა „ქართულ სიტყვას“ ერთ-ერთმა მეზობელმა.

უფრო დეტალურ განმარტებებს აკეთებს ტრაგიკულად დაღუპული ომარ ქ-შვილის ბავშვობის მეგობარი, რომელიც იმავე უბანში ცხოვრობს:

„ძალიან თბილი და მოსიყვარულე ოჯახი ჰქონდათ ომარსა და მაგდას. ნამდვილად არ ვიცი, რა მოხდა სინამდვილეში, ამას ალბათ, გამოძიება დაადგენს. ყველაზე მეტად პატარა თორნიკე მეცოდება. ბავშვს ასთმა ჰქონდა, მაგრამ ძნელი სათქმელია, რითი დაიღუპა – ასთმით თუ ვიღაცამ განზრახ დაახრჩო. ფაქტია, რომ ორივე საკუთარ სახლშია მოკლული და შემდეგ მათი ცხედრები გარეთ არის გამოტანილი, ფაქტების დამალვის მიზნით. მეზობლებმაც კი გაიგეს ღამის 4-ის ნახევარზე ყვირილის ხმა, ხოლო როცა გარეთ გამოვიდნენ, ასეთი სურათი დახვდათ. პირადად ვიცნობ მაგდას და მჯერა, რომ მას ეს არ გაუკეთებია, მაგრამ ფაქტები საპირისპიროს მეტყველებენ. მათ გარდა ამ დროს სახლში არავინ იყო. იმედი მაქვს, რომ უახლოეს მომავალში ყველა ეს ეჭვი გაქარწყლდება და გამოძიება ერთხელ და სამუდამოდ სიმართლეს დაადგენს!“

მომხდართან დაკავშირებით კომენტარებისაგან თავს იკავებენ ოჯახის სხვა ახლობლები და მეზობლები. ჟურნალისტებთან საუბარზე უარს ამბობს, ასევე, გარდაცვლილი ახალგაზრდის დედაც. მისი თქმით, უახლოეს მომავალში ყველაფერი ისედაც ნათელი გახდება. ამასობაში კი, საქმესთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა 109-ე მუხლით, რაც დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

მას შემდეგ, რაც შვილისა და მეუღლის მკვლელობაში ბრალდებულ მაგდა პ-ძეს ე.წ. მოდულის შენობაში ბრალი წაუყენეს, მისმა ადვოკატმა, ხათუნა ჩხაიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ბრალდებული წარდგენილ ბრალდებას არ აღიარებს და არ იცის, რა მოხდა.

„ის ამბობს, რომ მისი მეუღლე და შვილი წავიდნენ სახლიდან. შემდეგ დააგვიანდათ. დაურეკა ტელეფონზე მეუღლეს, რომელსაც ტელეფონი გამორთული ჰქონდა და ამის შემდეგ დააპირა წასულიყო, ახლომახლო ხომ არ იყვნენ მისი მეუღლე და შვილი. სულ შემთხვევით ნახა სადარბაზოში ისინი. მაგდა პ-ძე ამბობს, რომ მის მეუღლეს შეეხო მხოლოდ გადარჩენის და დახმარების მიზნით“, – ამბობს ადვოკატი.

მისივე თქმით, მაგდა პ-მ სთხოვა, ჟურნალისტებისთვის ეცნობებინა, რომ შვილის მხოლოდ გადარჩენას ცდილობდა და მისი საავადმყოფოში გადაყვანა სურდა.

ასევე, ადვოკატმა განაცხადა, რომ დაკავების მომენტიდან მაგდა პ-ძეს არასდროს უღიარებია წარდგენილი ბრალდება და სიმართლეს არ შეესაბამება ამის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია.

რაც შეეხება ბრალდებულის ვერსიას, თუკი იგი წარდგენილ ბრალდებას არ აღიარებს, რა შეიძლება მომხდარიყო, ადვოკატმა ამ შეკითხვასაც უპასუხა. ხათუნა ჩხაიძის ინფორმაციით, ბრალდებული ამბობს, რომ მის მეუღლეს გარკვეული პრობლემები ჰქონდა, რომელიც ვალებთან იყო დაკავშირებული.

„არ მჯერა მაგ ვერსიის!“ – რა უამბეს „ქართულ სიტყვას“ მეზობლებმა, ქმრის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ქალის დამ და მოკლული მამაკაცის მეგობარმა

კიდევ ერთი დეტალი, რომელზეც ხათუნა ჩხაიძემ ისაუბრა, ნივთმტკიცებად ამოღებული ჩაქუჩია, თუმცა მაგდა პ-ძის დამცველი აცხადებს, რომ ჩაქუჩს სხვა დანიშნულება ჰქონდა და კავშირი არ აქვს დანაშაულთან.

„ჩაქუჩი რომ ახალი შეძენილია, ამას ბრალდებული ადასტურებს. ჩაქუჩი არის ნივთმტკიცებად ამოღებული, თუმცა ამას კავშირი არ აქვს დანაშაულთან. ჩაქუჩი შეძენილი იყო სათავსოში ჭერის შეკეთების მიზნით“, – აცხადებს ადვოკატი და ადასტურებს, რომ მაგდა პ-ძეს ჯანმრთელობის გარკვეული პრობლემები აქვს, თუმცა არ დაუკონკრეტებია, რა სახის პრობლემებზეა საუბარი.

დავით დოლიძე

სტოპკადრი

გარკვეული მიწის ნაკვეთების განკარგვა, ან სარგებლობაში გადაცემა შესაძლოა, ერთი წლით აიკრძალოს

მიწის ნაკვეთები, რომელიც საჯარო რეესტრში საკუთრებად რეგისტრირებული არ არის, სახელმწიფოს საკუთრებად დარეგისტრირდება და მათი განკარგვის ან სარგებლობაში გადაცემის კუთხით, ერთწლიანი შეზღუდვა დაწესდება.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტი მთავრობამ პარლამენტს ბიუროს დღევანდელ სხდომაზე წარუდგინა და პროექტის დაჩქარებული წესით განხილვა მოითხოვა, რაც ბიუროს წევრთა უმრავლესობამ არ გაითვალისწინა.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონში დაგეგმილ ცვლილებებს ბიუროს სხდომაზე კამათიც მოჰყვა. როგორც მთავრობა განმარტავს, დღეს მიწების უმეტესობა სათანადოდ რეგისტრირებული და ერთიან ელექტრონულ საკადასტრო მონაცემთა ბაზაში აღრიცხული არ არის, რადგან წლების განმავლობაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწებზე სრულყოფილი აზომვითი სამუშაოების ჩატარება და რეგისტრაცია არ ხდებოდა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც კონკრეტული მიწის ნაკვეთის პრივატიზების მიზანი არსებობდა. მისივე ინფორმაციით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 64 ტერიტორიული სამსახურის მასშტაბით აღურიცხავი საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტების თავმოყრა დასრულდა. ამჟამად მიმდინარეობს საძიებო კატალოგის შედგენა, უძრავ ნივთებზე რეგისტრირებული უფლებების ერთიან ელექტრონულ პროგრამაში ასახვა, ელექტრონული სააღრიცხვო ბარათის შექმნა, დოკუმენტების დიგიტალიზაცია, რეგისტრირებულ მონაცემებზე მარტივი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს არქივის მოწესრიგება. ასევე მიმდინარე თვეებში დაინერგება საამზომველო საქმიანობის ლიცენზირება, რისთვისაც თითოეულ საამზომველო ბიუროს გონივრული ხანგრძლივობის გარდამავალი პერიოდი მიეცემა.

ამასთან, როგორც მთავრობის წარმომადგენლებმა პარლამენტის ბიუროს სხდომაზე განმარტეს, თუკი ინიცირებული კანონპროექტი 1-ელ იანვრიდან არ ამოქმედდება, შეიძლება ისეთი მიწის ნაკვეთები „გაიპაროს“, რომელზეც უფლება დასადგენია და მისი პრივატიცაზია მოხდეს. ეკომონიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის ირმა ქავთარაძის თქმით, თუკი აკრძალვა არ მოხდება, შეიძლება გარკვეული მიწის ნაკვეთების პრივატიზაცია განხორციელდეს. მთავრობის არგუმენტები გაუგებარი აღმოჩნდა პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძისთვის, რომლის განმარტებითაც, სახელმწიფოს დღესაც ჩვეულებრივად შეუძლია, არარეგისტრირებული მიწის ნაკვეთები რეგისტრაციაში საკუთარ თავზე გაატაროს.

კრიტიკული პოზიცია დააფიქსირა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვახტანგ ხმალაძემ, რომლის აზრით, მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა ბევრ კითხვას აჩენს.

„პრივატიზაცია – ეს არის სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის კერძო საკუთრებაში გადაცემა. ესე იგი, ნაკვეთებთან დაკავშირებით გვაქვს ასეთი ვითარება: ან სახელმწიფოს საკუთრებაა, ან თვითმმართველობის საკუთრება, ან არც ერთის მიერ არ არის დარეგისტრირებული. აქ პრიორიტეტი აქვს იმას, ვინც პირველი წარადგენს განაცხადს რეგისტრირებისთვის. შესაბამისად, ვისთვის კეთდება ეს, რომ თვითმმართველობებმა არ დაირეგისტიროს თავის სახელზე და მერე პრივატიზაცია არ გააკეთოს?! თუ ეს ასეა, ეს პირდაპირ უნდა ითქვას. არის ბევრი კითხვა,“ – განაცხადა ხმალაძემ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე.

ბიურომ პროექტის დაჩქარებულად განხილვას მხარი არ დაუჭირა. მთავრობის ინიციატივას პარლამენტი ჩვეულებრივი წესით განიხილავს.

„ინტერპრესნიუსი“

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ᲡᲢᲔᲤᲘᲡ ᲝᲓᲘᲡᲔᲐ

ᲛᲐᲜᲐᲡᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲔᲠᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲬᲘ�გᲜᲘ, ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲡᲕᲔᲢᲘ. ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲔᲞᲝᲡᲘ „ᲛᲐᲜᲐᲡᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲘᲣᲜᲔᲡᲙᲝ-Მ „ᲡᲢᲔᲤᲘᲡ ᲝᲓᲘᲡᲔᲐ“ ᲣᲬᲝᲓᲐ. ᲛᲔ-11 ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲕᲠᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲗᲐᲠ�გᲛᲜᲘᲚᲘ. „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ“ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ �გᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲞᲝᲔᲛᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲐᲡᲬᲕᲐᲚᲐ ᲒᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲗᲐᲠ�გᲛᲜᲐ.

ᲛᲐᲜᲐᲡᲘ — ᲡᲢᲔᲤᲘᲡ ᲝᲓᲘᲡᲔᲐ

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ქართული სიტყვა“ №41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48,49)

და ბაკაის უთხრა: —„ძმაო,
ბრძოლაში ვარ მბრძანებელი,
მაგრამ ასეთ საქმეებში
გამეგება არაფერი“.
ბაკაი, ხანს, როგორც სიმამრს,
ეამბორა კრძალვით მხარზე,
ლომგულსაც კი დაატყვევებს
ქალის ეშხი, სილამაზე.
შოორუკმა უთხრა ქალებს: —
„არ დახაროთ ეგ თვალები,
თქვენს ხელთაა თქვენი ბედი,
შეარჩიეთ ჯიგიტები.
მორჩილებით, სიყვარულით
კაცებს გული გაუხარეთ,
გაუჩინეთ ბევრი ვაჟი,
ყირგიზები გაამრავლეთ!“
რადგან ერგოთ არჩევანი,
რაღა უნდათ მეტი ქალებს,
ცოლიანებს, უცოლოებს,
ყველას გული უფანცქალებს.
გამოვიდა აკილაი
თვალ-გიშერა, ბაგე-ლალი,
ამაყი და უკარება,
ლაღი, როგორც ჯეირანი.
მის ნახვაზე ერ-მანასი,
გოლიათი, გახდა ჯუჯა,
აკილაის სილამაზემ
დაატყვევა, დაამუნჯა.
უძლეველო ერ-მანასო,
ვით დაგრია შიშმა ხელი,
მშვენიერი აკილაი
სიყვარულის ახსნას ელის.
არც რა უთხრა ქალს მანასმა,
სიტყვაც კი ვერ გაუბედა,
აკილაის გაღიმება
ეამა და ეიმედა.
თავი რომ არ შეგაწყინოთ,
იმ დღეს ბევრის ნატვრა ახდა,
ოცდაათი წყვილი იმ დღეს
დაქორწილდა, დაოჯახდა.
და სიმამრი ერ-მანასის
შოორუკი ასე გახდა.
ერ-მანასის ცოლი გახდა
აკილაი, მისი შვილი.
ქორწილებში გაილია
დღე — ნათელი, დღე — კეთილი,
იმ სასახლეს დღესაც ახსოვს
სიყვარულის გაკვეთილი.

ᲐᲛᲒᲐᲕᲘ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲐᲢᲝᲕᲐ ᲛᲐᲛᲐᲖᲔ ᲒᲐᲜᲐᲬᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲛᲐᲜᲐᲡᲛᲐ ᲮᲐᲜᲘᲡ ᲢᲐᲮᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲰᲧᲝ ᲮᲔᲚᲘ

სახელოვანმა მანასმა
დადგა ტახტი ტალასშია,
ჟამი არის მშვიდობისა,
შეწყდა მტრების პარპაშია,
იმ მხარეში არცერთ ჯიგიტს,
არც სწყურია, არცა შია,
დიაცები ირთვებიან
დიბაშია, ატლასშია,
ერთურთს ცდიან ფალავნები.
ჭიდაობა — ძალაშია.
აღარც მტერი — ავისმდომი,
აღარც ბრძოლის შეძახილი,
უსაქმურად გდებისაგან
ჟანგმა შეჭამა მახვილი.
დრო კი გადის არყის სმაში,
ჭამასა და გართობაში,
ან ბუზები უნდა თვალო,
ანდა ვარსკვლავები ცაში,
ანდა ქალებს ეარშიყო,
თუ გაგრიეს მარაქაში.
ჰოდა, ჩვენი ერ-მანასი
უხვია და ხელგაშლილი
ბრაზობს ძუნწი ჟაკიპბაი,
„რა ვქნა, მე მტრად მექცა შვილი,
ყველას უხვად ასაჩუქრებს,
თუნდ მთხოვნელი იყოს ასი,
გამოძღება ბეშბარმაკით,
არყითა აქვს სავსე თასი,
ნეტავი რა თავში ვიხლი,
მე ხანობას ერ-მანასის,
ქარს გაატანს ჩემს მონაგარს,
მან რა იცის შრომის ფასი.
ან ვისა აქვს ჩემი დარდი,
გინდა ტანზე მეცვას ფლასი.
არად მაგდებს მოხუც მშობელს,
ღრეობს, ილხენს რახანია
მამისათვის უსაქმური
შვილი გულზე ლახვარია“.
გაგულისდა ერ-მანასი,
როგორ მკადრა მამამ ესო,
გეფიცებით, მე ტალასში
არ დავრჩები არცერთ დღესო,
სადმე როგორ არ ვიპოვი
ნავსაყუდელს, სავანესო.
ან სიცოცხლით გავიხარებ,
ან გავითხრი სამარესო.
მიატოვა ოქროს ტახტი
და ტალასიც დარჩა უკან,
გაიარა ღამით ჩუმად,
მან ჟაიკი და ბეშ-ბუკა
ანდიჟანის ხეობაში
ჭანჭრობი და ეწერია,
ჭალის ბოლოს ერ-მანასი
მოხუცს შეხვდა გრძელწვერიანს.
შეისვენე, უთხრა კაცმა
შუბლი ოფლით დაგენამა,
მე ვარ ბობო-დიიკანი,
თქვენებურად მიწის მამა,
შენი ნახვა, გმირთა-გმირო,
რა მეტკბილა, რა მეამა,
კარგად ვიცი ამა სოფლის
ყველა ფანდი, გამოცანა:
„უნდა ბევრი ღვარო სისხლი,
რომ მშვიდობა ნახო ბოლოს,
მარცვალიც კი, უნდა მოკვდეს,
რომ სიცოცხლე მოიპოვოს.
აქ დამკვიდრდი, აქ იცხოვრე,
ღმერთი ლოცვით განადიდე,
მტერთან ბევრი გიბრძოლია,
ახლა მიწას შეეჭიდე,
უნდა გუთანზე ეკიდო,
უნდა ხნავდე — უნდა მკიდე,
ოფლით მოპოვებული სჯობს
სისხლით მონაგარ სიმდიდრეს.
არმად დარჩება დამპყრობელს
ოქრო, ვერცხლი, ძოწეული
ტკბილი არის ჭირნახული
შენი შრომით მოწეული.
ესა თქვა და თეთრწვერება
უცებ გაქრა მიწის მამა,
კოკე-თენგირის ცრემლებმა
ველ-მინდორი გადანამა.
ერ-მანასმა თესა, მოხნა,
დატრიალდა უფლის თვალი,
დაპურდა მწვანე ჯეჯილი,
უხვადაა მოსავალი.
ობლად დარჩნენ ერ-მანასის
შეფიცული ძმაკაცები,
ჩაუქები, დევგმირები
და ბრძოლაში მამაცები.
ვინ არ იცნობს მხედარ ჩუბაკს
მას ცხენი ჰყავს კოკ-იალა,
ისე დაჰქრის გამალებით
დედამიწა დაიღალა.
მიწას ძლიერ უშენს ფლოქვებს
ცეცხლოვანი თეთრი რაში,
არვის უთმობს პირველობას
შეჯიბრება — მარულაში.
ერ-მანასის მოღალატე
ძმობილისთვის არის მტერი
გმირი ჩუბაკ მანასისთვის
ფარია და დასაყრდენი.
სირგაკია ერ-მანასის
კიდევ ერთი შეფიცული.
მეგობრისთვის მამაც ჭაბუკს
მკერდში ლაღად უცემს გული
და ბაკაიც ანთებულა
ძმასთან ძმური სიყვარულით.
ბრძენი არის გოლიათი
მჭევრი, ენამოხატული.
ბრძნული სიტყვით, მასლაათით
დაამშვიდებს ბრბოს თუ ეულს,
და სწორ გზაზე დააყენებს,
გულფიცხსა და გზააბნეულს.
აქვე არისერ-კირგილიც
კაცი — გოლიათი ტანად
მანასს უბღვერს ბაკაი და
ეუბნება ბრაზიანად:
კარგი არის, თუკი გესმა
მანას, მიწის ძახილიო,
მაგრამ მუშად როდი იშვი,
შენ ხარ უფლის მახვილიო.
რა ქალივით გაგვეპარე,
ასე როგორ წახვედიო,
ხმლის მაგიერ კავს და სახნისს
შენთანა აქვს რა ხელიო.
გაიღვიძებს ჩვენი მტერი
ორგული და თავხედიო.
სიმდიდრეზე მეტად ფასობს
ვაჟკაცობის სახელიო.
გაიხსენე ძველი ხანა,
მანას, სიჯიუტეს მორჩი,
დამპყრობლები ჩვენს სიმდიდრეს
როდი მოგვართმევენ ხონჩით.
გლეხკაცივით მოგდის ოფლი,
დაგვიწყნია ვინ ხარ, რა ხარ,
ნეტავ ერთი შენი თავი
სხვისი თვალით დაგანახა.
მანას, ნუთუ დაგავიწყდა
სიმამაცის გაკვეთილი,
დგას ორმოცი მეომარი,
ასე, გულ-ხელ-დაკრეფილი.
ვაჰ თუ გაწყრეს ერ-მანასი,
გაფიცხდეს და ქოში ყაროს,
სიჭაბუკის მეგობრებზე
იქნებ გული აიყაროს.
ამდენი ხნის მეგობრობა,
იქნებ ახლა უჩანს არად.
ერ-მანასმა შუბლი გახსნა,
გაეცინა გულიანად.
გაიხარეს მეგობრებმა,
დაივიწყეს წუხილიო,
ხარხარებენ, თითქოს მთაში
არის ჭექა-ქუხილიო.
მოხუც კირგილს სიცილისგან
ლამის მუცელი გაუსკდეს,
ყველა ხარობს, შევარდენი
უბრუნდება თავის ბუდეს.
ფალავნებმა ძველებურად
ისაუბრეს, ითათბირეს,
ჩანაჩიდან სვამენ კუმისს,
ცხელი გული გაიგრილეს.
თვალს იწმენდდა ერ-მანასი,
არ ენახათ ცრემლი ტოლებს,
და ძმობილებს სიყვარულით
მხრებზე ხვევდა დევის ტორებს.

ᲐᲛᲒᲐᲕᲘ ᲐᲚᲛᲐᲜᲑᲔᲢᲘᲡᲐ

ჰეი, ყური მომაპყარით,
ღმერთი ლოცვით განადიდეთ,
ჯერ სადა ხართ, უთვალავი
საამბობი დამრჩა კიდევ.
ერთდროს ჩინეთს განაგებდა
ოთხი ვაჟი კაკანჩინის,
ალოოკე, ესენ, კარი,
აზიზ — მამის თვალის ჩინი.
ოცდახუთი წლისა გახლდათ
ნაბოლარა, აზიზხანი,
ზვიადი და უკარება,
წუნია და ქედმაღალი.
მისი ასე კენტად ყოფნა,
იყო ძმების საწუხარი.
შეიკრიბნენ ერთხელ ძმები
ერთი ფიქრით, ერთი აზრით,
რომ საცოლე შეურჩიონ,
მალე ქალი შერთონ აზიზს.
კარი ამბობს, ნეტა რა სჭირს,
არავისზე რჩება თვალი,
ნუთუ ქვეყნად არსადაა
მისი სწორი, მისი ცალი.
უკვე დროა, დაქორწილდეს.
შევურჩიოთ ერთი ქალი,
გაუჩინოს აზიზს ვაჟი,
მემკვიდრე და საფიცარი.
საპატარძლოდ შეარჩიეს
ქალწულები თექვსმეტ წლამდე.
ხუანხედან ირტიშამდე,
და დნეპრიდან ამურამდე.
გაუმართეს აემანი
ბეიჟანის სასახლეში.
ქვაგრილსაც კი დასწვავს ვნებით
ტანკენარა ქალთა ეშხი,
გიშრის თვალთა ელვარება
გადაიყვანს ბრძენსაც ჭკვაზე,
გედებივით დაცურავენ
მარმარილოს მოედანზე.
ამ მშვენიერ ქალთა გუნდში
შეარჩიოს უნდა ცოლი,
ნუთუ ერთიც კი არაა
აზიზისთვის მოსაწონი.
რად შეუკრავს ხანს კოპები?
იბღვირება ნეტა რაზე,
უცებ აზიზს დასცდა ოხვრა,
ალტინაის დანახვაზე.
ქალს ამარტა შვენის ყელზე
ტანზე ჭრელი — ჭიჭნაური,
და აზიზხანს, უკარებას,
ქალზე შეუვარდა გული.
„ვეძებე და ძლივსა ვპოვე,
ჩემი ცალი, ჩემი სწორი,
აი, ჩემი არჩევანი,
ეს იქნება ჩემი ცოლი!“
მშვენიერი ალტინაი,
ბრწყინავს, როგორც ნამი დილის,
მაგრამ არის შიმუნვარი
თურმე ბაის ქალიშვილის.
თმაგიშერას, თვალვარსკვლავას
შვენის კაბა — ყირმიზია,
ის ბურუტი მამამისი
თურმე მწყემსი ყირგიზია.
აზიზმა თქვა, ცოლად ვირთავ,
იცით, სიტყვას არ ცვლის ხანი,
და მსახური ალტინაი
ასე გახდა დედოფალი.

●

იქორწილეს, მოილხინეს
გაიარა მცირე ხანმა,
ვაჟი გაჩნდა, ალმანბეტი
შეარქვა მას ესენხანმა.
ტკბილი იყო ყრმობის წლები,
სანამ ება დედის კალთას,
ექვსი წლისა რომ შეიქმნა,
გააგზავნეს ბრძენ აჟდართან.
სიბრძნის ზღვაა აჟდარბაი,
სიტყვით, ცოდნით რჩეულია,
ვარსკვლავებით მას ამინდის
გამოცნობა შეუძლია;
იცის, სნეულს ვით უწამლოს,
რა ძალა აქვს ბალახ-ბულახს,
ან ბობოქარ ოკეანეს
გემი როგორ გადასცურავს.
ხმლის მოქნევის, შუბის ტყორცნის,
იცის ბრძოლის ყველა წესი
და სახანოს კარგად მართვის
კანონი და განაწესი.
მშობლიური სახლიდან შორს,
დრო საოცრად გაიწელა,
როგორც იქნა გაიარა
სწავლის ათმა მძიმე წელმა.
სასახლეში წააბრძანეს,
როცა გახდა თექვსმეტისა.
ბრძენთა-ბრძენი აჟდარისგან
ყველაფერი შეითვისა,
მას ვერავინ შეედრება,
ვერც ბრძოლაში, ვერც სწავლაში,
მიაქვს სიბრძნე, რომლის ფასი,
განძი არ დევს ზარდახშაში.
აზიზმა თქვა: — ჩემი ვაჟი
გამხდარაო ქვეყნის თვალი,
თავის ცოდნით სახანოში
აღასრულოს სამართალი.
ბნელს შუქს მოჰფენს, გაანათებს,
ამითა ჰგავს ცოდნა სანთელს,
გული — წრფელი, ჭკუა — მჭრელი,
სხვა რა უნდა მოსამართლეს.

№ 50 (314)
23 – 29 დეკემბერი 2015
ქართული იერუსალიმი
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა. ზეციერება. პოლიტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“
გიორგი ლეონიძე

პროზა

„წმიდანის უცხოელ სტუმრებთან უსვლელობა“

რეზო (ემელიანე) ადამია

(ნაწყვეტი რომანიდან „წმიდა ნინო“)

იმედი ნინო მოდიოდა და ფეხდაფეხ მიმნდობი უძველესი იბერია მოჰყვებოდა...

ამ დროს ცის კაბადონზე არნახული მკვეთრი ფერთა გადაადგილება შეინიშნებოდა, რითაც ქვეყანას ეუწყა, „ყოველთა მფარველი ანგელოზები უნდა გამოცხადდნენო“...

„გველთ მკრთალი გროვა, მზე და მთვარე, ცისფერ ფარდაგზე ერთად დაწოლილიყო. აფორიაქებული ვარსკვლავები გარს ეხვივნენ მარად მოფუსფუსე ჭიანჭველებივით. ნაცრისფერგადაკრული, ტანდაგრეხილი ბებერი ლეღვის ჩრდილში ყვითელმომწვანო ფერის ხვლიკები უდარდელად თვლემდნენ, მწვანე, წითელთვალება ვასაკას მკაფიო იდუმალი შეძახილი არღვევდა გარემოს მისტიკურ მყუდროებას. მუხის ფუღურაოში საოცრება ველური ტანჭრელი ფუტკარი დაოჯახებულიყო და გარემოს ყოველწუთიერი დასაქმების მაგალითს უჩვენებდა.

დრო მკაცრი გადიოდა... ირგვლივ მგალობელი ფრინველები დამატკბობელი ჰანგებით სალამურობდნენ. ერთ-ერთ ბორცვზე ზეცისკენ მზირალი ადამიანების დიდი ჯგუფი იდგა, მათ ირგვლივ გალაღებული ცხენები და ძაღლები წრიულად დარბოდნენ. ამ უცნაურ სეირს შორიდან მისჩერებოდა თვალებანთებული მგლების ხროვა...“

წმიდა ასულმა რომ იხილა და მოისმინა ყოველივე, გაეღიმა და თქვა: – ხილულ და უხილავ ქვეყანაზე როგორი მიწიერი საოცრებები და ზეციური მშვენიერებანი შექმნაო უფალმა. მერმე სიმშვიდემოგვრილმა წმიდანმა შინდისფერი მანდილი მოიხსნა, რომელზეც ჩალისფერი ჯვარი იყო გამოსახული და მზრუნველად გადააფარა მათ. უმალ წამებული იესო ქრისტეს სულის ანდამატური სურნელი მოედო გარემოს და ფერი იცვალა ცამ, მიწამ და გარემომ...

იესოს კვართის მცველი გაზაფხულის ყვავილებაფეთქებული ჯანსაღი მაყვლის ბუჩქივით მოდიოდა მშვიდად, იბერიის მთავარქალაქ მცხეთისკენ იესო ქრისტეს საოცრება კვართის მოსანახულებლად და თავდადებულ დარაჯად. წმინდანის უზარმაზარი ფუნქციის ეს მაცხოვრისეული მატერიალურ-იდეალური სიმბოლო რწმენის ერთადერთი ღერძთაგანი გახლდათ...

იგავმიუწვდომელი ნინო მოდიოდა! არ ეშინოდა და არაფერი არ აბრკოლებდა... თექვსმეტი წლის უმანკო ქალწული ბიბლიურ-სახარებისეული ცოდნით და ღრმა რწმენით, წმიდანური უძლეველობით ცხადდებოდა; ღვთიური მთლიანობის და იესო ქრისტესეული სიყვარულის მადლს მოაბრძანებდა. მოციქულთსწორი შეუპოვრად ევლინებოდა და ელვასავით აპობდა წარმართულ ბნელ გარემოს, შეუპოვარი წმიდანი შემოიჭრა მძლავრსა და ბარბაროსულ სივრცეში, როგორც სანთლის შუქი ბნელითმოცულ მღვიმეში და იესო ქრისტეს ღვთისნიერი ენერგიის შუქით შემოსა დაუსაბამოდ, რითაც გამოჩნდა ბარელიეფები, გორელიეფები, ქანდაკებები, ბიუსტები, პორტრეტები და შორს მზირალი საკვირველი პროფილები ანგელოზების, წმიდანებისა, შიგადაშიგ მიწაზე შავი ლაქები შეინიშნებოდა უადგილო...

წმიდანი მეგობარ სომხებთანაც იესო ქრისტეს მოძღვრების სწავლა-ქადაგებას იბერიელების და კოლხების დარად ავრცელებდა და ყველგან მაცხოვრისეული სიკეთე – მადლი და სიყვარული იესო ქრისტესმიერი ღვთიური თვისებით მოეფინებოდა.

შორეული სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებში ცნობილი სომეხი მოგზაური, ვაჭარი და სოვდაგარი კაიროს, კონსტანტინოპოლის, ტრაპიზუნტისა და ფაზის-არქეოპოლისის შემოვლით ქალაქ მცხეთას ეწვია. თანვე ახლდა რამდენიმე ცხენოსანი, მძიმედ შეიარაღებული დაცვა, შეგირდები და ტვირთმზიდავი ორი აქლემი. ასე რომ, შორეული ქვეყნებიდან მომავალი ქარავანი სერიოზულ ძალას და თავისებურ სრულყოფილ საერთაშორისო ფორმას წარმოადგენდა.

დიდი სოვდაგარი ძირითადად ბრილიანტებზე, ალმასებსა და ოქროზე ვაჭრობდა, ძვირფასი ტყავი და ქსოვილებიც შედიოდა მის საფონდო შემადგენლობაში. ზოგჯერ უნიკალურ ეგვიპტურ, ბერძნულ და რომაულ ხელოვნების ნიმუშებსაც გამოიყოლებდა ხოლმე, უფრო მეფეთათვის და დედოფალთათვის მისართმევად ან დიდებულებთან მორიგება-გარიგების მიზნით... ყოველივე დაახლოებით ამდაგვარი საქმიანობა გახლდათ, თუ ვინმეს ზოგადად მაინც გაეგო მასზე. დანარჩენი მოღვაწეობა სახელმწიფოებრივ მიწერ-მოწერებში და მეფეთა სიტყვიერ გარჩევა-შემოთვლებში თავსდებოდა. თითქმის ორი დღით წმიდა მირიან მეფესთან დანიშნულ დროს გამოცხადდებოდა. მათი საუბრები თუ უცხოური ნაწერების გარჩევა დახურულ საიდუმლოებაში რჩებოდა. აქვე მინდა გაუწყოთ, რომ სოვდაგარი სურენი მსოფლიოში წამყვან რამდენიმე ენას სრულყოფილად ფლობდა. იმდენად სერიოზული საქვეყნო და საერთაშორისო გავლენა ჰქონდა ამ პიროვნებას, რომ რომელიმე სახელმწიფოს ელჩის ფუნქციებსაც კი უტოლდებოდა.

მერმე, როცა მეფესთან მოითავა სახელმწიფოებრივი საქმეები, წმიდა ნინოს ეახლა თავის სენაკთან ახლო მდგარ ეკლესია-სამლოცველოში.

სოვდაგარი სურენი საშუალო ტანის და მკვრივი აგებულების, ორმოცდაათ წელს მიღწეული მამაკაცი გახლდათ, ხშირი ხუჭუჭა შავი თმით, ფართო წარბებით, მომწვანო-მოყვითალო-მოშავო ფერის კანით, ცისფერ-მწვანედ შერწყმული ჭკვიანური, ცოცხალი, მაგრამ ცბიერი გამოხედვის თვალებით. უხდებოდა კოხტად ჩამოვარცხნილი ოთხკუთხა ხუჭუჭა წვერი. ძვირფას ოქროს ჯვარს ატარებდა. საუბრისას უფრო თვითონ იძლეოდა შეკითხვებს; პასუხს ძუნწად და მოზომილად გასცემდა ხოლმე ნებისმიერს; მთლიანი სხეულის იერი ძალიან ფრთხილი ადამიანის ხასიათს გამოხატავდა. მხოლოდ ერთი, ლალისთვლიანი ბეჭდით და რომაული ბრტყელი, ორპირა ხანჯლით დადიოდა. შესანიშნავი მოხანჯლურის სახელი ჰქონდა გავარდნილი. როგორც კი ქრისტიანობა მიიღო, მრავალ ცოლს ჩამოშორდა და დაკანონებულ ერთცოლიანობას შეეგუა... დაუღლელი ბუნების კაცი იყო... სომხეთის თითქმის ყველა საეკლესიო პირს იცნობდა და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა. ეჩმიაძინთან ახლოს, თავისი ხარჯებით, ორი ულამაზესი ბაზილიკა ააშენა ფერადი ტუფის ქვისგან. ნაღდი პატრიოტი გახლდათ უძველესი – ძირფესვიანი სომხეთისა...

ბრძენმა წმიდანმა და ძვირფასმა სტუმარმა ბევრი ისაუბრეს სომხეთში ქრისტიანობის გავრცელების თაობაზე და სურენმა დინჯად განაგრძო მოყოლა, რომ კარგად მიდისო სომხეთში ეკლესიათა მშენებლობა, ასევე რელიგიური სწავლა-განათლების საკითხი. მჭიდრო კავშირი გვაქვსო დამყარებული ბიზანტიასთან, ანტიოქიასთან, არაბეთთან, სპარსეთთან თავისთავად.

საეკლესიო წიგნების მთარგმნელობითი საქმიანობა სასიკეთოდ თუ დაიძრაო? – წმიდანი მხოლოდ ქრისტიანულ და საეკლესიო თემაზე ეკითხებოდა. – ყველაფერი კარგად მიდის, სულიერო დაო! – იყო პასუხი. – უფლის და ბიზანტიის იმპერიის მეოხებით, ჯერჯერობით, მშვიდობა სუფევს ქვეყანაში.

– მადლობა უფალს! – დაამატა წმიდანმა. – მე მჯერა, მთარგმნელობითი საქმე კარგად წავა, რადგან ორთავე ერის დამწერლობა უძველესია. კერძოდ, კოლხურ-იბერიული ძალიან შორეულია. ებრაულ-ბერძნული სწავლებიდან შემიტყვია, ჩვენ წელთაღრიცხვამდე უკვე არსებულა, დაახლოებით მეხუთე საუკუნიდან; მაგრამ აქ ავბედითმა ისტორიამ კერძოდ იბერიელები ოთხი საუკუნე არამეულ (სემიტურ)-სპარსულ დამწერლობაზე გადაიყვანა. მერმე მოდის ღვთივმოვლენილი მეფე მირიანი და მან სამომავლოდ ააღორძინა უძველესი იბერიულ-კოლხური დამწერლობა, რამაც დიდი სამსახური გაუწია ქვეყნის ქრისტიანული ლიტერატურის, ბიბლიისა და სხვა მრავალი რელიგიური წიგნის თარგმნას...

ამასობაში ისტორიულად ამეტყველდა სურენ დიდებული და განმარტა:

– სომხები! უძველესი დროიდან არამეულ-სპარსული დამწერლობით სარგებლობდნენ და დღესაც ძალაშია, წმიდაო ნინო! მაგრამ ქრისტიანობის მიღების მერმე სომხური ეკლესია უფრო ბერძნულ-ლათინურს ხმარობს.

– მთავარია, ხალხს-მრევლს ესმოდეს, – დასძინა წმიდანმა, – გარკვეული გახლავართ მაგ საკითხებში და მინდა გაუწყოთ, გარდა მწიგნობრობისა, მე სხვა დამაჯერებელი წყაროებიდანაც მომეწოდება ყოველივე, როგორც იდუმალი, ასევე რეალური...

– უფლის სახელით, ჩემი თხოვნაა, ქვეყანაში მართლმადიდებლობა განამტკიცოთ და გააძლიეროთ, სომხები მშრომელი და ნიჭიერი ხალხია, იმედი მაქვს, იბერიელებისა და კოლხების არ იყოს, მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ქრისტიანული სახელმწიფოთაგანი გახდება.

მოკლე პაუზის შემდგომ შორსმჭვრეტელმა წმიდანმა მიმართა:

– სურენ დიდებულო! ჩვენი თხოვნაა, როგორც შეიძლება, ახალგაზრდა თაობის მომზადებაზე იზრუნოთ: არ დაზოგოთ არაფერი და ქრისტეს სიყვარულით აშენეთ სრულიად ახალი ქრისტიანული სახელმწიფო.

– იბერიის შემდგომ, გთხოვთ, ჩვენთან, სომხეთში იმოღვაწეთ, ნინო, წმიდა დედაო! გონივრულად მიმართა სტუმარმა.

– სიამოვნებით წამოვიდოდი სომხეთში, მაგრამ მე მხოლოდ მაცხოვრის და დედაღვთისმშობლის ნებას ვასრულებ. ბიზანტიის დედოფალმაც შემომითვალა, ჩვენსას, კონსტანტინოპოლს ჩამობრძანდიო, ასევე უძველესი კოლხეთის მეფემაც, მაგრამ ჩემი აქედან გამგზავრება სხვა ქვეყანაში მხოლოდ უფლის დარიგებით, დავალებით და მითითებით მოხდება.

მერმე დედამ იბერიისა გულღიად დალოცა სომეხი ხალხი და ვაჭრად მოგზაურს საჩუქრად ბევრი ჯვარი და თავისივე ხელით ჩამოქნილი ნაკურთხი სანთლები გადასცა: – დაურიგე ყველას, ძმაო სურენ!

ისევ უმნიშვნელო დუმილის შემდგომ: – მცხეთაში ხუროები, ქვისმთლელები და ოსტატები ხომ არ გჭირდებათო, – სოვდაგარმა თავისი მეგობრული წინადადება შესთავაზა წმიდანს. – დიდად მადლობელი გახლავართ, სულიერო ძმაო და ფრიად დიდებულო! ამ მხრივ არავითარ ნაკლებობას ჩვენ არ განვიცდით. გვყავს ყველა სფეროში დახელოვნებული და განთქმული ოსტატები, ლაზები და ეგრისელები, რომლებიც ბიზანტიაშივე მოღვაწეობენ მნიშვნელოვან ადგილებში და ქრისტიანულ საქმეებსაც აკეთებენ, ხოლო იბერიელნი, დიდოსტატები ჩვენთანვე ეკლესიათა და საფორტიფიკაციო ციხეთმშენებლობებზე გახლავთ დაკავებულნი. ყოველმა მათგანმა ხომ უცხოეთში, კერძოდ, ეგვიპტესა და საბერძნეთში მიიღეს მრავალ სპეციალობათა დიდი ცოდნა-გამოცდილება, დახელოვნება...

ზემოთ მიმდინარე თემაზე წმიდანმა ისევ გააგრძელა საუბარი: – მოგახსენებთ, რამდენიმე თვის წინ სომხეთის ეკლესიის რჩეული ჯგუფი გვესტუმრა. ერთობლივად განვიხილეთ ძალიან ბევრი სამომავლო გეგმა როგორც რელიგიური ხასიათის, ასევე საეროც. ამ საკეთილდღეო მეგობრულ საკითხებზეც იყო მსჯელობა და შინაარსიანი საუბარი: ოსტატთა, ხუროთა, სხვადასხვა განხრის ხელოვან ხელოსანთა და მუშახელთა ურთიერთგაცვლის თაობაზე. სრულიად იგივე პასუხი გავეცი ჩვენს სულიერ ძმებს... სხვა მრავალ საკითხზე, რა თქმა უნდა, სამომავლოდ, გადაჭრით შევთანხმდით, სურენ დიდებულო.

– კეთილი, უფლისმიერო წმიდანო. ყველაფერი გასაგები და საერთო სამეგობროში მისაღებია...

– ჩვენ ყველას, იბერიელებს და კოლხებს ძალიან გვახარებს თქვენი ქრისტიანული და საერო მიღწევები, მხოლოდ ასეთი უნდა იყოს ურთიერთ ღვთიური სიყვარულით სავსე სიახლოვე. ვიმეგობროთ და ქრისტესმიერი კეთილგანწყობით ვიყოთ ერთმანეთთან, ეკლესია მხოლოდ ასე გვასწავლის.

– თუ რამეს დამაბარებ, დაო-წმიდანო.

– დიახ! ჩემს და ჩვენს სომხეთს, მის დიდებულ სამღვდელოებას, ქრისტიან მრევლს, ხელისუფალთ – ვუგზავნი ღვთიურ სიყვარულს და კეთილ სურვილებს, ვილოცებ ხშირად უფლის შემწეობით სომხურ-იბერიელ-კოლხურ ქრისტიანულ ერთობაზე და ძმობაზე.

აი, ასეთი გახლდათ წმიდა ნინოს რჩევა-დარიგება და ღვთისმშობლისეული წმიდა-თაწმიდა ლოცვანი...



ᲮᲘᲠᲮᲘᲡᲞᲘᲠᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

23 – 29 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ 2015

№ 50 (314)

7

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲢᲧᲕᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ

ᲛᲐᲧᲕᲐᲚᲘ ᲒᲘᲜᲓᲐᲠᲘ

ᲔᲡ ᲛᲔ ᲕᲐᲠ, ᲓᲐᲕᲐᲠ...

მას სიბრძნისა სასწავლებლად
თვით მეფემან მისცა შვილი
შოთა რუსთაველი

სახელად მქვია მე დავარ!
დიდი ხელმწიფის და ვარ.
ვისთვის გულქვა და ზვიადი,
ვისთვის მე სიბრძნის ზღვა ვარ
და უთენარო სოფელში
მრუმე ჯანღივით დავალ.
არ მომასვენა ცოდვებმა
მდია ნადირის გეშით,
სამოთხის კარს ვინ გამიღებს,
უსიყვარულოდ შეშლილს?
შევრჩი ჯოჯოხეთს, ჯოჯო ხეს
ცრემლებს ვაპკურებ პეშვით.
აქ მზე არ მზეობს, უკუნეთს
გაჰკვეთავს მთვარის ეშვი,
დგას ჩემში დიდი ტკივილი,
ვით მიწის ძალა ხეში,
მე სიბრძნის ყველა წიგნს გავცვლი
მიჯნურთა სიშლეგეში.
მახსოვს ხელმწიფის მუქარა,
აქაც ჩამესმის ის ხმა,
ქაჯებმა ვერა დამაკლეს,
გამწირა ჩემმა სისხლმა,
უსიყვარულოდ სიბრძნის ხე
რა მწარე ნაყოფს ისხამს.
განა სულ ასეთი ვიყავ,
ვით ნაავდრალი ზეცა,
ერთ დროს მეც ვიყავ მზის სწორი,
მეც გაზაფხული მეცვა.
ცრუ და მუხთალმა სოფელმა
მალე მიცვალა სახე,
დამცინა წერა-მწერალმა
ქაჯებთან მეინახემ,
ფერადი ჭიჭნაურები
სკივრებში გადავნახე,
სულ წყევლა-ცრემლით დავკემსე
ღამე-ქვრივთათვის მახე.
გული ჰგავს გამსკდარ ბროწეულს,
წამით დამადეთ ხელი,
მე რა ბრალი მაქვს, სოფელი
იყო ავისა მქმნელი.
წიგნს შევრჩი გახსნილ ჭრილობად,
როგორც ღაწვს ცრემლი, სველი.
ეს მე ვარ დავარ, მეფის და,
ერთ დროს ბრძენი და ქველი.

ᲐᲗᲐᲡᲛᲔᲝᲠᲔ ᲦᲐᲛᲔ

სამსალანარევს რად სვამ შარბათს ყოფის ჯამიდან,
მის ფსკერზე როდი ილექება ჩვენი წარსული,
მუდამ თან დაგვდევს, როგორც სისხლის ჯადო-შელოცვა
თვალის უპეზე ნემსის წვერით ამოკაწრული.
ქალს ეძებდი და ჩამოგემსხვრა ნეკნი მრავალი,
მარცვლე ამაოდ ვარსკვლავების კრიალოსანი,
ყური დამიგდე, დავამღერებ ისეთ ბეითებს,
რომ გაოცდება დუნიაზე ყველა მგოსანი.
რით განუგეშო? ხომ გაკმიე სიტყვების საბრი?
შენთვის ვაკვნესე, ავატირე უდი და ჩანგი,
და როგორც ღამის ფარფალია, თუმც შიშით ვკრთოდი,
სანთლების შუქზე ფრთებგაშლილი, თამამი ვჩანდი.
მომენდე გულით, საუკუნო როდია ჭმუნვა,
წარმავალია მწუხარებაც სიხარულივით,
მე კი მრავალი ღამე სიტყვის გასვი ბადაგი,
მუცლით მეზღაპრედ გადავიქეცი შენი გულისთვის.
ზეცის ზეწარი გავშალე და მოგესურვილე
და წუთით მაინც დაგავიწყე წუთისოფელი,
იქნებ მომენდო და დამინდო და დამებედო,
რადგან ცხოვრება იფრითია დაუნდობელი.
რომ არ მოგეკალ, წყაროსავით გიკლავდი წყურვილს,
ღამე წიგნივით ვფურცლე, ვფურცლე და არ გათავდა,
მე კი გავთავდი, დავილიე, როგორც სანთელი,
სანამ მზე ზეცის ლურჯ მინდორზე ამოთავთავდა.
გაქრა შიში და ტანჯვის გზებით მეწვია სიბრძნე: —
გრძნეული ქალი ააცეკვებ ავსულს, შეითანს,
თუკი იპოვე ცხოვრებაში შენივე თავი,
თუკი შესძელი, თავი შენი თავად შეიცან...
თუმც ყველა ქალი როდი არის ღირსი დანდობის,
თუმც ყველა კაცი ერთგულების როდია ღირსი,
რად უნდა ქება ბრძენს, ისედაც არის ქებული,
ბოროტს სასჯელად ბოროტებაც ეყოფა თვისი.
სხვა რაღა გითხრა, ისეც ბევრი სიტყვა დავხარჯე,
კმაყოფილი ხარ ათასერთი ღამით ძლეული.
სიტყვის პერანგი ჩაგაცვი და სიტყვით მოგნუსხე,
ჩემი ხარ მთელი სულითა და მთელი სხეულით.
მე კი კვლავ მაკრთობს ათასმეერთე ღამე — გიშერი,
ცაზე ხმალივით კრთოდა მთვარე, ვერ ვიძინებდი,
უკვე მომენდე და ალაჰიც ვეღარ გიშველის...
ათასმეორე ღამე დადგა შურისძიების!

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

მეკითხები: როგორ ხარ?
პასუხს არც კი დაუცდი,
ისე უცებ მცილდები,
ხალხში მიიმალები.
როგორა ვარ? — რა მიჭირს,
თუმცა, როგორ არ მიჭირს,
ვცხოვრობ, როგორც ცხოვრობენ
მეოცნებე ქალები.
მთელ დღეს მყოფნის იმედად
ერთი ქათინაური,
ისევ მწამს, რომ ფეხბურთზე
მეტად შეგიყვარდები,
ისევ შენს შეხედვაზე
უცნაურად ვიცვლები,
როგორც ქარის ქროლვაზე
თრთიან თეთრი ფარდები.
ისევ ისე გულს მიკლავს
ორპირი და ორგული,
ისევ ისე ვიფიცებ
საქართველოს — სახატეს.
ისევ ვერვინ ვერ ამჩნევს
ჩემს სახეზე ნაოჭებს,
თუმცა ჩემი პორტრეტი
არაერთხელ დახატეს.
ვრჩები ისევ ერთგული
ამ დაღლილი სიმართლის,
უდარდელი სიცრუის,
რა ვქნა, ისევ მტერი ვარ
და საწუთრომ ღმერთმანი,
თუმცა ბევრჯერ გამწირა,
მაინც ბედს არ ვემდური,
მაინც მადლიერი ვარ.
მეკითხები, როგორ ხარ?
პასუხს არც კი დაუცდი,
ისე უცებ მცილდები,
ხალხში მიიმალები,
როგორა ვარ? რა მიჭირს,
თუმცა, როგორ არ მიჭირს,
ვცხოვრობ, როგორც ცხოვრობენ
მეოცნებე ქალები.

ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡᲙᲔᲜ ᲒᲐᲓᲐᲮᲠᲘᲚᲘ ᲛᲖᲔᲠᲐ

როგორც სასჯელს, ისე ვიხდი ზამთარს,
როგორც ჯვალოს, ისე ვირგებ პალტოს,
არ მეგონა, თუ ამ ზამთრის მერეც
შეგხვდებოდი დაღლილსა და მარტოს.
მარტივია ახლა ყველა კითხვა:
ვინ და რისთვის, საიდან და რატომ?
მარტივია მარტის ყველა ფანდი
და როგორც სურს, მარტი ისე მარტობს.
მე კი უკვე სხვა მდინარეს მივდევ,
სხვისი ვნებით ვმარტვილობ და ვკრთები,
როგორ უნდა შევეგებო ზეკარს
დრო-ჟამისგან შელახული ფრთებით?
რაც ვიფრინე, განა ცოტა იყო?
რაც ვიდარდე, განა არა კმარა?
ამოვგმანე დავიწყების ლაფით
მოგონების ყველა ჭუჭრუტანა.
დავჭკვიანდი, აღარ ვებრძვი ქარებს,
რა ხანია, სიზმრის აღარ მჯერა,
ვერ გავიგე, მაინც რად მგვრის სევდას
წარსულისკენ გადახრილი მზერა?

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲦᲐᲜᲘ

რა კარგია, ქართველებს ისევ შერჩათ ღიპები,
რა კარგია, ღიპები ივსებიან ხინკლებით.
ჭიქა ჭიქას აკოცებს, თითებს ეძებს თითები,
„საყვარელო, მითხარი, ისევ ერთად ვიქნებით?“
მღერის ძველი არღანი, სიმღერაა ახალი,
მე კი რა მემღერება, ნაძლევს დავდებ „მაზიანს“
ამ არღანზე დახატულ ვარდებსა და ბულბულებს
ვიცი, გააძევებენ მალე ამ დარბაზიდან.
როგორც ქუჩის გოშია, ან მშიშარა შოშია,
მათხოვარი ბიჭუნა ჩუმად მოიძურწება
და კაცები ჯიბეში მოჩხრიკავენ ლარიანს,
დუქნის ლამაზმანებმა არ ჩათვალონ ძუნწებად.
ხინკლის ოხშივარიდან დანახულო მამულო,
ლოთის სიყვარულივით ჭიქაში ჩატეულო,
როგორ ჰგავხარ მათხოვარს, ამ პაწია მათხოვარს,
ვითომ თავისუფალო, ობოლო და ეულო!
მაინც როგორ გიხდება ეს წყეული სიმღერა,
„მომავალი შენია!“ შენია და ელოდე!
ასე როგორ მივიდეთ, ასე დაჩოქილები,
ასე ხელგაწვდილები ხვალის საქართველომდე?!
მღერის ძველი არღანი, სიმღერაა ახალი,
მე კი რა მემღერება, ნაძლევს დავდებ „მაზიანს“
ამ არღანზე დახატულ ვარდებსა და ბულბულებს
ვიცი, გააძევებენ მალე ამ დარბაზიდან.

ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ „ᲡᲐᲬᲝᲕᲐᲠᲐ“

მე არც „გრუზია“ მინდა ვიყო და არც —„ჯორჯია“
ჩემი სამშობლო, ჩემი მიწა ერთი გოჯია,
აქ თითო კენჭი ჩემი სისხლით დაწინწკლულია,
ასე რომ ბორგავს ზღვა კი არა ჩემი გულია.
და რახანია შეხსნილი მაქვს მკერდზე იარა,
მომხვდურის ჩექმამ ამ მკერდზედაც გადაიარა.
გადაშლილია დედამიწა — დაფა ჭადრაკის,
ჭადრაკის ნაცვლად ყომარბაზი ნარდით ერთობა.
და პირდაფჩენილ ხალხის მასას, ვით საწოვარას
ტენიან სიტყვებს „სამართალი“, „ხალხთა ერთობა“,
„ადამიანთა უფლებები“, „დემოკრატია“
სცენაზე ქოროდ ჩამომდგარა ათი პარტია.
მთავარ როლისთვის ლიდერები შებმიან ერთურთს,
ტაკიმასხარა ტანზე ირგებს გმირის მანტიას.
ტირის ქალწული, ქორწილამდე დაქვრივებული,
ბავშვებს აცვიათ მეორადი ტანზე ჭინჭები
და ვირტუალურ სამყაროში სიკვდილის ჩრდილებს
სიცოცხლის ფასად ამარცხებენ ჩვენი ბიჭები.
ჩემი სიმცირით მამცირებენ, ჩემი სიკეთით,
პოლიტიკას კი საძაგელი სუნი აქვს შმორის.
ვდგავარ დაღლილი სიმართლის და სიცრუის კართან
და ვეძებ საზღვარს სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის.
ღმერთო, შენ მიხსნი, კიდევ... ჩემი ძველი ფესვები,
მე რა გამტეხავს, სანამ ჩემი ზეცა მახურავს.
როგორ ვასმინო მე სიმღერა ბრძნული, ქართული,
კაცობრიობას, გადაქცეულს ფულის მსახურად:
„ბალახი ვიყო სათიბი, არა მწადია ცელობა,
ცხვრადვე მამყოფე ისევა, ოღონდ ამშორდეს
მგელობა!“

ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ — ᲘᲕᲔᲠᲗᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲐ

მხოლოდ პირჯვრის წერა როდია უფლის რწმენა,
მხოლოდ შეძახილი გმირობა როდია.
დგებიან სულეთიდან შემკრთალი მამები
და ღამით არეულ სიზმრებში მოდიან.
როდესაც წყალიც კი წამით ჩაიძინებს
და ცაზე ობოლი ვარსკვლავი ბრწყინდება,
ვინ მიცქერს მთვარიდან, წმინდა გიორგია
თუ აღმაშენებელი, ივერთა დიდება.
„ვაშენე, ანგრიეთ, ვამტკიცე საზღვრები,
დღეს ჩემი მამულის სიმცირე მაშინებს,
ქართველნო, მოუხმეთ ჭკუას და გონებას
უფალს ნუ ივიწყებთ, ვაშინერს“.
მე კი იმ ბინდბუნდშიც თვალებს ვერ ვუსწორებ,
ვარ შიშნაჭამი და უჭმელი,
მიწიდან ზეცამდე რა ხელმა აზიდოს
ეჭვებით დაბზარული ჭურჭელი?
თვალნო, რა არ ნახეთ, როგორ არ დამევსეთ,
რა ძალა გქონიათ, თვალებო,
მომძესთან მოშუღლენო, ოქროსთან მოშურნენო,
მტერთან მიმნდობნო და მხდალებო.
სანამდის, სანამდის, სანამდის, სანამდის?
სანამდის, ძმანო და მამანო,
ჩემო სატკივარო, ჩემო საფიცარო,
ჩემო დარღვეულო სამანო.
ჭრილობა გახსნილა და გველის ამბორი
არ მშველის წამლად და მალამოდ.
უნდა სხივით გქსოვო, უნდა ცრემლით გკემსო,
ჩემო დაფლეთილო ალამო.
სანამდის, სანამდის, სანამდის, სანამდის?
სანამდის, დანო და დედანო,
არ თქვას უკეთურმა, შეხედეთ, ქართველნი
მხოლოდ სატირალში სხედანო!
სანამდის ვახაროთ ჩვენს ბაღში ეკალი,
მტრის კარზე ვარდი და პირიმზე?
რა ვუთხრა ჩემს შვილებს, რა თვალით შევხედო?
ან მკვდრებთან რა პირით მივიდე?
უდედოდ ზეცისკენ გზას ვერ გაიგნებენ
ბუდეს შერჩენილი ბარტყები,
ხიდი ვართ ნამყოდან მომავლის ნაპირამდე,
ვაი ჩვენ, თუ ერთხელ ჩავტყდებით!
ეს მტკვარი დუდუნებს, თუ კვნესის დავითი?
„დღეს ჩემი მამულის სიმცირე მაშინებს,
ქართველნო, მოუხმეთ ჭკუას და გონებას,
უფალს ნუ ივიწყებთ, ვაშინერს“.

ᲛᲙᲐᲗᲐᲗᲕᲔ

კარებთან უკვე მოდგა მკათათვე,
თვე ყვავილობის გავიდა როდის?
მე დავიღალე და ახლა თქვენი
ნუგეში მხოლოდ სევდას თუ მომგვრის.
ისე შორი ხართ და ახლობელი,
როგორც წვიმაში ოცნება მზეზე,
როგორ მომქანცა თქვენმა სიკეთემ,
ეჟვანივით რომ შემაბით ყელზე.
ვერც დავრჩი თქვენთან, ვერც მიგატოვეთ,
ვარ შებორკილი ურჩი კვიცივით...
და ყველა კართან, როგორც მოსისხლე,
ჩამსაფრებია თქვენი სიცილი.

8 № 50 (314) 23 - 29 დეკემბერი 2015

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲜᲔᲑᲘ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲕᲘᲜ ᲒᲕᲐᲠᲪᲮᲕᲔᲜᲡ ᲓᲐ ᲕᲘᲜ ᲒᲕᲐᲮᲐᲠᲔᲑᲡ

რაინდი ვასაძის დარდი, ვიზალიბერალიზაცია და პრორუსული „მითოლოგია“

ევროკომისიამ ვიზალიბერალიზაციაზე დადებითი ანგარიში გამოაქვეყნა. თავისთავად ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, გავქანდეთ და უკვე ბილეთები ავიღოთ შენგენის ზონის რომელიმე ქვეყანაში უვიზოდ გადასაფრენად. წინ მთელი რიგი პროცედურებია და, როგორც საქართველოში ევროკავშირის ელჩი იანოშ ჰერმანი განმარტავს, ეს პროცედურები, სავარაუდოდ, 4-5 თვეს გასტანს, ყოველ შემთხვევაში, ამდენი თვე გასტანა მოლდოვას შემთხვევაში – ანგარიშის გამოქვეყნებიდან ვიზალიბერალიზაციის მიღებამდე, თუმცა, აგერ „წიოწ“ ნინა (ბურჯანაძე) გვთარსავს და გაიძახის, ეგ დასკვნა ტექნიკური დეტალია და მაგას გადაწყვეტილების მიღების ძალიან სერიოზული ეტაპი მოჰყვება, რომელიც ხანმოკლე არ იქნება და მეტიც, გახანგრძლივდება იმ პრობლემების ფონზე, რაც დღეს ევროპის წინაშეაო.

მოკლედ, ბურჯანაძემ საყოველთაო სიხარული გაანიორწყლა. ასეა, როცა პრორუსული ლაშქარი მომხდარის გამო ნირწამხდარია, სხვა რაღა დარჩენია, თუ არა, რომ საყოველთაო სიხარულის ჩაშხამებას შეეცადოს?!

და მაინც, რა არის, უპირველესად, ამ მოვლენაში სასიხარულო? – ის, რომ პრორუსები დარჩნენ პირში ჩალაგამოვლებულები. კარგად გაიხსენეთ, რა ჰქონდათ აქამდე სალაპარაკო? – ჩვენ დასავლეთს არ ვუნდივართ და რას ვეტენებითო? ვიღაცა მაღალი ტრიბუნიდან სახელმწიფოს ღირსებაზეც კი ალაპარაკდა... და რაში სჭირდებოდათ ეს დემაგოგია, რომ ევროპას ჩვენ არ ვჭირდებით? დავიჯეროთ მათ, ძვალრბილიანად პრორუსებს ეგ აღელვებდათ და აწუხებდათ, რომ ჩვენ ევროპას არ ვუნდივართ? თუ ეს მხოლოდ იმისთვის სჭირდებოდათ, რომ ქვეყნისთვის კისერი ჩრდილოეთით მიეტრიალებინათ, ანუ იმ ქვეყნისკენ, რომელსაც ვჭირდებით?

თქვე ოჯახაშენებულებო, თქვენ რომ არ გვითხრათ, ჩვენ არ ვიცით, რომ პუტინს მონად ვჭირდებით? აკი, ზუსტად იმ დღეებში, როცა რამდენიმე დღით იყო გადადებული ვიზალიბერალიზაციაზე დასკვნის გამოქვეყნება, გამოხტა კიდეც ეგ თქვენი პუტინი და „გვახარა“, მზად ვარ, საქართველოს საავიზო რეჟიმი მოვუხსნაო და იქვე, დესერტად, ისიც მოგვართვა, რომ თურმე, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გამწვავება მოსკოვის ბრალი არ ყოფილა...

მოკლედ, ზეობდა და მძლავრობდა პრორუსული ძალების მიერ აგორებული მითი „დასავლეთს არ ვჭირდებით და არც უვიზო მიმოსვლას გვაღირსებენო“. აგერ, ნანა დევდარიანი ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგაც კი ჭკუას გვარიგებდა, რომ ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა სულაც არ ნიშნავდა უვიზო მიმოსვლას. სააკაშვილის მავნებლური პოლიტიკის შედეგად აზიასა და აფრიკიდან უამრავი ადამიანი შემოდის და, ჩვენი ქვეყნის გავლით, ცდილობს ევროკავშირის ტერიტორიაზე შეღწევას და „ახლა როგორ ფიქრობთ, ევროკავშირში გიჟები სხედან, რომ ამ პირობებში საქართველოს ვიზების ლიბერალიზაცია გაუკეთონ?“ – ღაღადებდა ნანა დევდარიანი. ქალბატონო ნანა, ახლა რას იტყვით? – გიჟები სხედან ევროკავშირში?! გიჟების ძახილს, იქნებ, ჯობდა, ის გაგეანალიზებინათ, რომ ვიზალიბერალიზაცია შეეხებათ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს და საქართველოში შემოსული უცხო ქვეყნის მოქალაქე კანონიერად ვერ გადაკვეთს შენგენის ქვეყნების საზღვრებს. ეს თქვენ ძალიან კარგად იცით, მაგრამ ამას რა გათქმევინებდათ... ნაცვლად ამისა, თქვენ მორიგ მითსაც ავრცელებდით, რომ ერთი ევროპული ქვეყანაც არ დაუშვებდა ვიზალიბერალიზაციას, რადგან აქედან უფასო მუშახელი მიაწყდებოდა და იქაურებს, ადგილობრივებს სამუშაო ადგილებს დააკარგვინებდა.

შენგენის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლა ითვალისწინებს შენგენის ქვეყნებში გადაადგილებისა და დარჩენის 3-თვიან ვადას და არა – დასაქმების უფლებას და რანაირად უნდა მიაწყდეს მუშახელი?!

მოკლედ, ქალბატონო ნანა, მინდა, მოგისამძიმროთ: ევროკავშირში „გაგიჟდნენ“ და უვიზო მიმოსვლაზე ევროკომისიამ დადებითი დასკვნა მოგვცა. იმედია, შავებს მალე გაიხდით, თორემ არ მგონია, ვინმემ დაწეროს „ძაძები შვენის ელექტრა 2“-ს.

სხვანიც ბევრნი ავრცელებდნენ მითებს და პედალირებდნენ, რომ ეს ყველა ჩვენგანს არ შეეხებოდა და ამით მხოლოდ გარკვეული კატეგორიის ადამიანები ისარგებლებდნენ.

უვიზოდ მიმოსვლით ისარგებლებს ყველა, ვისაც აქვს ბილეთის ყიდვის საშუალება, ან იმის „ოფსილა“, აიშვიროს თითი და ისე მოიაროს ევროპა. და უკაცრავად, ტვინი რომ წაგვჭამეთ მოსკოვში 37 მანეთად გადაფრენით, მაგ ფრენებით ყველა კატეგორიის ადამიანი სარგებლობდა? ჩამოვთვალო, ვინ სარგებლობდა? – კომბინატორები, „ცეხავიკები“, ათასი ჯურის სპეკულიანტი და საზოგადოების პრივილეგირებული ფენა და კიდევ ის, ვისაც მაღალი ხელფასი ჰქონდა – მცირე ნაწილს დამსახურებულად და დიდ ნაწილს დაუმსახურებლად! გეკითხებით, ადამიანს, რომელსაც თვეში საშუალოდ 100-120 მანეთი ჰქონდა (და ასეთი იყო მოსახლეობის უდიდესი ნაწილი), რანაირად უნდა გადაფრენილიყო იმ 37 მანეთად? ნატაშებზე არ მაქვს ლაპარაკი, ღამე, ელემენტარულად, სად უნდა გაეთია? ან არაფერი უნდა ეჭამა, ან სადმე არ გაევლო? და ეს 120 მანეთი რომც ჰყოფნოდა იქ 2 დღით გასაჩერებლად, დანარჩენი 28 დღე, აქ, საქართველოში, დათვივით თათები უნდა ელოკა? თქვენთვის რა, სიახლეა, რომ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა თუ მოსკოვი ან ლენინგრადი ნახა, ისევ და ისევ, პროფკავშირების ექსკურსიებით?!

მოკლედ, პრორუსული მითი, რომ დასავლეთს არ ვუნდივართ და არც გვაღირსებს უვიზო მიმოსვლას, გაცამტვერდა და სასოწარკვეთილი პრორუსული ძალები უკვე ახალი მითოლოგიის შემუშავებას შეუდგნენ.

ახალი პრორუსული მითოლოგიის მითოლოგებად ისევ „წიოწ“ ნინა და რაინდი ვასაძე მოგვევლინენ. „წიოწ“ ნინა ქვითქვითებს, მუხლები გაიწყალა ხელთა ცემით. თან რომ ჰკითხო, უვიზო მიმოსვლამდე ხანგრძლივი დროა და თან გოდებს, სავიზო რეჟიმის გაუქმება მაშინ იქნებოდა უკეთესი, საქართველო რომ მყარად მდგარიყო ეკონომიკურად ფეხზეო, ახლა კი, ამ პროცესს პოზიტივთან ერთად, ძალიან სერიოზული პრობლემებიც შეიძლება მოჰყვესო.

ნირი წამხდარია – ვეღარ უარყოფენ ამ პროცესის პოზიტიურობას (უკვე კარგია), მაგრამ იქვე, როგორც მწნილში ნიახურს, ისე უფენს „სერიოზული პრობლემების“ საფრთხეს და რა სერიოზული პრობლემები გველის, არ იკითხავთ? – თურმე, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ძალიან უჭირს ეკონომიკურად და გამორიცხული არაა, რომ ამ უვიზო მიმოსვლამ საქართველოში დემოგრაფიულად ძალიან მძიმე შედეგები გამოიწვიოს. მაგალითიც რომ მოჰყავს? – იგივე ბალტიისპირეთიდან, პრაქტიკულად, მოსახლეობის 30% გავიდაო.

„წიოწ“ ნინა, ეგ უკვე მოხდა, პეტერბურგში კი არა, აქ, 90-იან წლებში და მოსახლეობის დიდი ნაწილი გაიხიზნა საზღვარგა-

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ- 9 ᲒᲕ.

„ᲣᲕᲘᲖᲝᲓ ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲘᲗ ᲘᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲔᲑᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲐᲥᲕᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲘᲡ ᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ, ᲐᲜ ᲘᲛᲘᲡ „ᲝᲤᲡᲘᲚᲐ“, ᲐᲘᲨᲕᲘᲠᲝᲡ ᲗᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲡᲔ ᲛᲝᲘᲐᲠᲝᲡ ᲔᲕᲠᲝ�პᲐ. ᲓᲐ ᲣᲙᲐᲪᲠᲐᲕᲐᲓ, ᲢᲕᲘᲜᲘ ᲠᲝᲛ ᲬᲐ�გᲕᲭᲐᲛᲔᲗ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ 37 ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲓ �გᲐᲓᲐᲤᲠᲔᲜᲘᲗ, ᲛᲐ�გ ᲤᲠᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝᲑᲓᲐ? ᲩᲐᲛᲝᲕᲗᲕᲐᲚᲝ, ᲕᲘᲜ ᲡᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲓᲐ? – ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ, „ᲪᲔᲮᲐᲕᲘᲙᲔᲑᲘ“, ᲐᲗᲐᲡᲘ ᲯᲣᲠᲘᲡ ᲡᲞᲔᲙᲣᲚᲘᲐᲜᲗᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲕᲘᲚᲔᲒᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲘᲡ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ – ᲛᲪᲘᲠᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲓᲘᲓ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ ᲓᲐᲣᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲚᲐᲓ! ᲒᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲗ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝᲓ 100-120 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ (ᲓᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ), ᲠᲐᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲤᲠᲔᲜᲘᲚᲘᲧᲝ ᲘᲛ 37 ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲓ? ᲜᲐᲢᲐᲨᲔᲑᲖᲔ ᲐᲠ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲘ, ᲦᲐᲛᲔ, ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲐᲠᲣᲚᲐᲓ, ᲡᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲔᲗᲘᲐ? ᲐᲜ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲭᲐᲛᲐ, ᲐᲜ ᲡᲐᲓᲛᲔ ᲐᲠ ᲒᲐᲔᲕᲚᲝ? ᲓᲐ ᲔᲡ 120 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲠᲝᲛᲪ ᲰᲧᲝᲤᲜᲝᲓᲐ ᲘᲥ 2 ᲓᲦᲘᲗ ᲒᲐᲡᲐᲩᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ, ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ 28 ᲓᲦᲔ, ᲐᲥ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲓᲐᲗᲕᲘᲕᲘᲗ ᲗᲐᲗᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲚᲝᲙᲐ? ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲠᲐ, ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲛᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲛᲐ ᲗᲣ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ ᲐᲜ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ ᲜᲐᲮᲐ, ᲘᲡᲔᲕ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲕ, ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲥᲡᲙᲣᲠᲡᲘᲔᲑᲘᲗ?!“

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲤᲚᲘᲡᲢᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

23 – 29 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ 2015

№ 50 (314)

ᲚᲘᲢᲤᲚᲘᲡᲢᲘᲡ. ᲒᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲕᲘᲜ ᲒᲕᲐᲠᲪᲮᲕᲔᲜᲡ ᲓᲐ ᲕᲘᲜ ᲒᲕᲐᲮᲐᲠᲔᲑᲡ

„მარტო ევროპა კი არა, პუტინიც გვიწესებს უვიზო რეჟიმს და რად არ არისხებთ ზარებს, ტაშტებს, ქვაბ-ქოთანს? რუსეთშიც ხომ შეიძლება გადაიხვეწოს ქართველობა და დემოგრაფიულად ძალიან მძიმე შედეგების წინაშე აღმოვჩნდეთ? რატომ რუსეთთან უვიზო მიმოსვლაზე არ გოდებთ და პირიქით, ამაყად გამოგვიცხადეთ, ასეც ვიცოდი, პუტინი ჩემთვის მოცემულ პირობას არ დაარღვევდაო, ანუ რა გინდათ, ქალბატონო ნინო, რომ გაჭირვებული ქართველობა მხოლოდ რუსეთის ტრამალებში, ტუნდრა-ტაიგებში გადავიხვეწოთ? თუ იქ გადახვეწა არ ქმნის დემოგრაფიულ პრობლემას?“

ᲛᲔ-8 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

რეთ ლუკმაპურის საძიებლად. ყველაფერი ეგ მოხდა უვიზო მიმოსვლის გარეშე. ყველაზე დიდი რაოდენობა კი, სწორედ იმ ქვეყანაში გადაიხიზნა, რომელსაც თქვენ ასე ეტრფით – რუსეთში.

და, უკაცრავად, ახლა მარტო ევროპა კი არა, პუტინიც გვიწესებს უვიზო რეჟიმს და რად არ არისხებთ ზარებს, ტაშტებს, ქვაბ-ქოთანს? რუსეთშიც ხომ შეიძლება გადაიხვეწოს ქართველობა და დემოგრაფიულად ძალიან მძიმე შედეგების წინაშე აღმოვჩნდეთ? რატომ რუსეთთან უვიზო მიმოსვლაზე არ გოდებთ და პირიქით, ამაყად გამოგვიცხადეთ, ასეც ვიცოდი, პუტინი ჩემთვის მოცემულ პირობას არ დაარღვევდაო, ანუ რა გინდათ, ქალბატონო ნინო, რომ გაჭირვებული ქართველობა მხოლოდ რუსეთის ტრამალებში, ტუნდრა-ტაიგებში გადავიხვეწოთ? თუ იქ გადახვეწა არ ქმნის დემოგრაფიულ პრობლემას?

და საერთოდ, რა შუაშია მიგრაციასთან უვიზოდ მიმოსვლა, რომელიც მხოლოდ 3 თვით გადაადგილება-გაჩერებას გულისხმობს? თუნდაც ეს უვიზო მიმოსვლა ბიძგი იყოს ემიგრაციისთვის, რა ვქნათ? ვისაც გვიჭირს, აქ შიმშილით გაგვძვრეს სული, რომ თქვენ დემოგრაფიული სურათი არ გაგედღაბნოთ?

აგერ რაინდი ვასაძე ამ შიშებს რაინდულად უსწორებს თვალს. ***„გაისმის შიშები, რომ გაიხიკება ქვეყანა და ყველა გაიქცევა, რაც გასაგებია. მესმის ეს შიშები. პატრიარქიც დარდობს, მილიონი ემიგრანტი გვყავს, მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ჩვენი ეთნოსი აქ ცხოვრობს, მინიმუმ, 6 ათასი წელი. ასეთი რამ არ მომხდარა, რომ 20 წლის მანძილზე მილიონი კაცი ერთიანად წასულიყოს. კიდევ ეს გვინდა? – ხალხი ამბობს. მე პირადად, მიმაჩნია, რომ ქართველს რაც მეტგან ექნება გასავალი და საქმის კეთების შესაძლებლობა, ეს დამატებით გამოწვევას იწვევს“,*** – ამბობს ვასაძე, რომლის აზრითაც, ყველანაირი ლიბერალიზაცია ცუდია, მაგრამ ვიზების გამარტივება არის ძალიან კარგი...

რაინდი ვასაძე სხვა რამეზე დარდობს. ისე დარდობს, დარდისგან ლამისაა, გაილიოს და ვშიშობ, მალე რაინდის აბჯრის კი არა, ჩოხა-ახალუხის ტარებაც ვეღარ შეძლოს. რაინდი დარდობს: ***„მე ძალიან მადარდებს, როგორ შევინარჩუნებთ ქართველობას უცხოეთში. ძალიან მალე ვკარგავთ ამას და ეს ტრაგედიაა...“***

უვიზო მიმოსვლა და ამ უვიზო მიმოსვლით შენგენის ქვეყნებში 3 თვის განმავლობაში გადაადგილება-დარჩენა არ ნიშნავს ქვეყნის „გახიკვას“, ნიშნავს მოგზაურობას. თუ ვინმე ამ უვიზო მიმოსვლას „გასახიკად“ გამოიყენებს (და იქ არალეგალურად დარჩება), ეს ცალკე თემაა და სწორედ ამ უვიზო მიმოსვლამდე გავიდა ის მილიონი ადამიანი, რომელზეც დარდობს რაინდი, ანუ ვისაც „გახიკვა“ უნდოდა, უვიზო მიმოსვლის გარეშეც „გაიხიკა“ და მომავალშიც „გაიხიკება“...

და რაც შეეხება ქართველობის შენარჩუნებას:

რუსეთში ინარჩუნებენ ქართველობას თუ რუსეთში ადვილია? რატომაა, სწორედ რუსეთში გადახვეწილთა დიდი ნაწილი რომ ვერ „აკერკებს“ ქართულად ლაპარაკს და იმ „გარყვნილ“ დასავლეთში მცხოვრებნი კი ისევ ენით ზურგს იფხანენ ქართულად?

და უკაცრავად, რომ არა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღა, საქართველოში ინარჩუნებდა ვინმე ქართველობას?

„მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა,
რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს,
ვინც ვერ ახერხებს ქართულად
წერას, კითხვას და ლაპარაკს!“ – უკაცრავად, ეს ლექსი უცხოეთში მცხოვრებ ქართველ ბავშვებს დაუწერა თავის დროზე მუხრან მაჭავარიანმა თუ აქ, საქართველოში დაბადებულ-გაზრდილებს? სად ნახა ის ბავშვები პოეტმა – შვეიცარიის მთებში, თუ აგერ, აქ, ბაკურიანში? სიტყვაც რომ არ იცოდნენ ქართული და რუსული, გაგიხარია?!

აქ, თბილისის „სვეტკობაში“ არ იყო მოდური, რომ ყველა რუსულად ტლიკინებდა და ქართულად ლაპარაკი „ტეხავდა“ კიდეც?

და რატომ ვერ წაართვა უცხოეთში ცხოვრებამ ქართველობა ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს და არაერთ სახელგანთქმულ ქართველს? თუ რუსეთი არ ართმევს ქართველობას? კი, მაგრამ კონსტანტინე გამსახურდიას რა ვერ წაართვეს ეს ქართველობა ვერც – ლაიფციგში, ვერც – მიუნხენში, ვერც – ბერლინში? ყველა სახელოვან ქართველს ვერ ჩამოვთვლი, ვისაც ქართველობა ვერ წაართვა დასავლეთმა, მაგრამ შორს რომ არ წავიდეთ, რაინდო ლევან, თქვენ ხომ ვერ წაგართვათ ქართველობა დასავლეთში ცხოვრებამ და რატომ გგონიათ, რომ სხვას წაართმევს? აა, თქვენ სხვა ხართ და ჩვენ – სხვა? ზემოდან გვიყურებთ? დარდს გულს ნუ შეაჭმევინებთ, ჩვენზე ნუ იდარდებთ!

ᲠᲔᲖᲝ ᲨᲐᲢᲐᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲑᲐᲡ ᲒᲖᲘᲗ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘ ᲔᲕᲠᲝ�პᲔᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲣᲜᲐᲠ-ᲩᲕᲔᲕᲔᲑᲡ ᲔᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲑᲚᲐᲓᲐᲫᲔ „ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ“ ᲬᲔᲕᲠᲘ

არასამთავრობო ორგანიზაცია „ევროპის ახალგაზრდული პარლამენტი“, რომელიც ევროპარლამენტის სიმულაციაა, საქართველოში 2008 წლიდან არსებობს. ამჟამად ორგანიზაცია ევროპის 42 ქვეყანას აერთიანებს და მის უმთავრეს ამოცანას ევროპაში არსებულ სხვადასხვა პრობლემაზე ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს. ამასთან, ორგანიზაცია ახალგაზრდებს ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევებსაც უვითარებს. „ევროპის ახალგაზრდულმა პარლამენტმა“ წელს, 10-დან 14 დეკემბრის ჩათვლით, თბილისში მე-10 ეროვნული შესარჩევი კონფერენცია გამართა, რომელშიც მონაწილეობა 100-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო. კონფერენციისა და ორგანიზაციის სამომავლო გეგმებზე „ქართული სიტყვა“ „ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის“ ქართველ წარმომადგენელს, სალომე ბლადაძეს ესაუბრა:

– ამ ორგანიზაციის შესახებ ზუსტად ერთი წლის წინ, მეგობრების მეშვეობით შევიტყვე. მაშინ „ევროპის ახალგაზრდული პარლამენტი“ საქართველოში თბილისის უნივერსიტეტის სესიას ატარებდა. ორგანიზაციის „ფეისბუქის“ გვერდზე აპლიკაცია შევავსე და მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე გავაგზავნე. შემდეგ, გასაუბრება გავიარე და ასე გავხდი „თბილისის უნივერსიტეტის სესიის“ დელეგატი... სესიის ფარგლებში, ოფიციალური ენა ინგლისურია, შესაბამისად, დელეგატები ერთმანეთს ინგლისურად ეკონტაქტებიან.

– ორგანიზაციას ვინ აფინანსებს?

– მუდმივი დამფინანსებელი არ გვყავს, სესიები გრანტებისა და შემოწირულობების მეშვეობით ტარდება.

– მსურველი რა აუცილებელ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, რომ „ახალგაზრდული პარლამენტის“ სრულუფლებიანი წევრი გახდეს?

– პირს, რომელსაც სურს, „ევროპის ახალგაზრდულ პარლამენტს“ მუდმივი წევრის სტატუსით შეუერთდეს, ამ კუთხით უნდა გააჩნდეს მინიმალური გამოცდილება. გარდა ამისა, აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ეაპ-ის მიერ ორგანიზებულ სესიებში. სავალდებულოა სათანადო აპლიკაციის შევსება და, გამგეობის წევრების თანხმობის შემთხვევაში, მას მუდმივი წევრის სტატუსი ენიჭება.

– როგორია თქვენი ორგანიზაციის სტრუქტურა, ანუ რა თანამდებობებია თქვენს სისტემაში?

- „ეაპ საქართველო“-ში შემდეგი თანამდებობებია: ორგანიზაციის წევრები, რომლებიც მიიღებიან გამოცდილებისა და აპლიკაციების საფუძველზე. გამგეობის წევრები – აირჩევიან ორგანიზაციის წევრებისგან და ორგანიზაციის ალუმნი, ანუ ნებისმიერი ადამიანი, რომელიც სესიას ოფიციალურად დაესწრება.

– შენ რომელ თანამდებობას იკავებ?

– ამჟამად, თამთა ჯუგაშვილთან ერთად, „თბილისის სასკოლო სესიის“ მთავარი ორგანიზატორი ვარ, რომელიც 18-დან 21 თებერვლის ჩათვლით ჩატარდება. სესიის პრეზიდენტად ავსტრიიდან ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის წევრი იაკობ ეტზელია მოწვეული.

სესიის ორგანიზება დიდ ძალისხმევასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს, საჭიროა თითოეული დეტალი იყოს სათანადოდ დაგეგმილი. არსებული სირთულეების მიუხედავად, მე და თამთა, საორგანიზაციო ჯგუფთან ერთად, მოტივირებულები ვართ და საქმეს უდიდესი პასუხისმგებლობით ვეკიდებით. გვსურს, რომ სესია უმაღლეს დონეზე ჩატარდეს.

– თქვენი ბოლო კონფერენცია რა თემას მიეძღვნა?

– 2015 წლის 10-დან 14 დეკემბრის ჩათვლით, თბილისში მე-10 ეროვნული შესარჩევი კონფერენცია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა 100-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო. სესიაზე მოწვეული გვყავდა ჟიური, ფაბრიციო ზამპარელის მეთაურობით. აღნიშნულ სესიაზე ჟიურიმ აარჩია გამორჩეული 14 დელეგატი საერთაშორისო სესიაზე დასასწრებად. შერჩეული დელეგატები გაემგზავრებიან დუბლინ-ბელფასტისა და ლაქსის საერთაშორისო სესიებზე.

თბილისის სასკოლო სესიის გარდა, ასევე, იგეგმება თბილისის უნივერსიტეტის სესია, ბათუმისა და ზუგდიდის რეგიონალური სესია, საერთაშორისო ფორუმი, ხაშურის რეგიონალური სესია, მე-11 ეროვნული შესარჩევი კონფერენცია, ასევე, ზესტაფონისა და საჩხერეს კვირეულები.

ისე, მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ახალგაზრდული პარლამენტისა და საქართველოს, ასე ვთქვათ, ფილიალის მიერ ჩატარებული ღონისძიების კონცეფცია ერთნაირია, თითოეული სესია ერთმანეთისაგან მაინც განსხვავდება.

– კერძოდ, რითი განსხვავდება?

– სხვადასხვა ელემენტით, რაც მათ განსაკუთრებულსა და დაუვიწყარს ხდის.

– სალომე, პოლიტიკოსობას აპირებ თუ ეს შენი ახალგაზრდული გატაცებაა?

– ჯერჯერობით სწავლაზე ვარ ორიენტირებული და საბოლოო გადაწყვეტილება არ მაქვს მიღებული, თუმცა შემიძლია გითხრათ, რომ ეს არაა ბავშვური გატაცება. ამ სესიებზე მიღებული ცოდნა-გამოცდილება და მრავალეროვანი სამეგობრო წრე ჩემი მიზნების რეალიზაციასა და სწორი მიმართულების არჩევაში ძალიან დამეხმარება.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲘ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ

10 | № 50 (314) | 23 - 29 დეკემბერი 2015

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ

ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜ ᲤᲝᲤᲮᲐᲫᲔ: „ᲓᲔᲠᲕᲘᲨᲐᲫᲔ ᲐᲛ ᲡᲘᲐᲨᲘ ᲙᲐᲮᲐ ᲙᲣᲙᲐᲕᲐᲡᲒᲐᲜ ᲛᲝᲮᲕᲓᲐ!“

„ᲔᲡ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲔᲑᲘ, ᲠᲐᲦᲐᲪ ᲓᲝᲖᲘᲗ, ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲔᲮᲔᲑᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲐᲛ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ ᲕᲐᲠᲗ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ!“

„ჩვენმა ხელისუფლებამ რომ საგარეო კურსი შეიცვალა და რუსულ გზას დაადგა, ეს „ნაციონალების“ მოგონილი კლიშეა. ეს იმიტომ გააკეთეს, რომ დასავლეთის თვალში, როგორც ქვეყნის ერთადერთი პროდასავლური პოლიტიკური ძალა, ისე გამოჩენილიყვნენ“, — აცხადებს პარლამენტარი გედევან ფოფხაძე. მისივე თქმით, ვიზალიბერალიზაციის პროცესის დაწყებამ კი, ეს მითი საბოლოოდ გააქარწყლა, რადგან აღმოჩნდა, რომ ხელისუფლების ყველა შტო ამ პროცესში აქტიურადაა ჩართული. რაც შეეხება მოსაზრებას, რომ ვიზალიბერალიზაციის ახლა უკვე პოლიტიკურ პროცესს ხელს პოლიტპატიმრების სიებსა და კორუფციასთან დაკავშირებული სკანდალი შეუშლის, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, როგორც ყველა ხელისუფალი, არ იზიარებს და ამბობს, რომ ბრალდებას შესაბამისი მტკიცებულება სჭირდება. მეტიც, „ქართულ სიტყვასთან“ საუბრისას გედევან ფოფხაძე ალეკო ელისაშვილს ქარის წისქვილებთან მებრძოლ დონ კიხოტს ადარებს, თუმცა არც იმას მალავს, რომ მისი სიმპათია დონ კიხოტის მხარესაა...

ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜ ᲤᲝᲤᲮᲐᲫᲔ: — ვიზალიბერალიზაციის პროცესის დაწყება მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან ამით საქართველოს მაღალ დონეზე აღიარება ხდება. ეს მნიშვნელოვანია ჩვენი სახელმწიფოსა და მოქალაქეებისათვისაც, რაც მხოლოდ სამართლებრივ კი არა, კულტურულ და მენტალურ დონეზეც საინტერესოა. ამ გადაწყვეტილებით, ჩვენი საზოგადოება ხდება ევროპული სამყაროს ორგანული ნაწილი. შესაბამისად, ბევრი რამ უნდა შეცვალოს ქვეყნის განვითარებაში.

— და მათ შორის რუსეთთან ურთიერთობაშიც, არა? ისე, ვიზალიბერალიზაციის გადაწყვეტილებას რუსეთის მხრიდან სავიზო რეჟიმის შესაძლო გაუქმებასთან დაკავშირებით პუტინის განცხადება უძღოდა...

— ამ ორ მოვლენას ერთმანეთთან არ ვაკავშირებ. ჩვენ ისეთ პოლიტიკას არ ვატარებთ, რომ ვინმესთვის ჩაკეტილი ვიყოთ. თუ რუსეთთან პრობლემა გვაქვს, ეს რუსეთის ბრალია. თუ ჩემს ტერიტორიულ მთლიანობას ვინმე საფრთხეს უქმნის, ბუნებრივია, გამიჩნდება სურვილი, სრულფასოვანი პროტესტის გრძნობა მქონდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ რომელიმე მეზობელთან მიმართებაში ნეგატიური ტენდენციები გავატაროთ. ჩვენ თვითონ უნდა ვიზრუნოთ, რომ ამ ურთიერთობებში რაც ნეგატიური იყო, გამოსწორდეს და მეზობლობის სხვა ფორმები და საშუალებები გამოიძებნოს. პროტესტი რუსეთის შეურაცხყოფით არ უნდა გამოვხატოთ!

— ვიზალიბერალიზაციის პროცესის დაწყება იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ რუსულ ორიენტაციაზე უარი საბოლოოდ თქვა? მოგეხსენებათ, ბოლო წლებში თქვენი მისამართით ხშირად ისმის, რომ რუსულ გზას ადგახართ...

— ჩვენს მიმართ „ნაცმოძრაობას“ ჰქონდა ასეთი კლიშეს გამოყენების მცდელობა. ამას იმიტომ აკეთებდა, რომ პროდასავლური ორიენტაციის მონოპოლისტად ჩათვლილიყო. „ნაციონალებს“ უნდოდათ, რომ საზოგადოებას ჩაეთვალა, ისინი პროდასავლურები არიან, ყველა დანარჩენი კი, — პრორუსული და სხვა გაურკვეველი ოროენტაციისო. დიახ, ეს „ნაცმოძრაობის“ ერთადერთი მცდელობა იყო, შეენარჩუნებინა პოლიტიკური ნიშა 2012 წლის არჩევნებისა და მას მერე, რაც მასთან, როგორც ანტიდემოკრატიულ ძალასთან მიმართებაში მოხდა. ცალსახად გაირკვა, რომ ამ ძალას საერთო არაფერი აქვს დემოკრატიასთან და დასავლეთში მხოლოდ იმისთვის მუშაობდა, ეჩვენებინა, რომ თითქოს დემოკრატიული ძალაა, მაგრამ ერთი პროდასავლური მთავრობაც კი არ აწამებს ციხეში ხალხს. დემოკრატიული მხოლოდ პარტნიორებისთვის წარსადგენი ანგარიშებით კი არ უნდა იყო, არამედ, ქმედებითა და საშინაო პოლიტიკითაც.

— ბატონო გედევან, იმას „ნაცმოძრაობა“ და ლუსტრაცია რად უნდა, როცა საზოგადოების ნაწილი ხედავს, თუ როგორ ცდილობს ახალი ხელისუფლება ოკუპანტ რუსეთთან კავშირის გაბმას?

— „ნაცმოძრაობას“ ეს ნიშა რომ შეენარჩუნებინა, ამიტომ დაიწყო საუბარი ჩვენს პრორუსულ ორიენტაციაზე. რეალობა კი ისაა, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ უამრავი ნაბიჯი გადადგა, რათა ყველა მოთხოვნა, რაც ასოცირების ხელშეკრულებითა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების შემოთავაზებით იყო გათვალისწინებული, ისე შესრულებულიყო, რომ წუნი ვერ მოეძებნათ. შიდა პრობლემების მიუხედავად, ეს ისე გაკეთდა, რომ ასეთ შედეგამდე მივედით და ამაში ჩართული იყო სახელმწიფოს ყველა უწყება. ყველა კანონი, ყველა პოლიტიკური ნაბიჯი, რომელიც ხელისუფლებამ გადადგა, ამ ტესტს გადიოდა. როცა შენ ასეთი ინტერესი გაქვს, შედეგის მიღწევა უფრო იოლია. ამიტომ ამ შედეგმა ცალსახად გასცა პასუხი შეკითხვას, თუ რა ორიენტაციისაა ჩვენი ხელისუფლება.

— „ნაცმოძრაობაზე“ ამბობთ, ევროპული დემოკრატიის პირობებში პატიმრების წამება არ უნდა ხდებოდესო. ამ დროს კი, ქვეყანაში ისევ არანაკლები სკანდალია — მხედველობაში ალეკო ელისაშვილის გაცხადებები მაქვს. თუკი ეს ფაქტი დადასტურდა, იმედი გაქვთ, რომ ევროპა პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მიიღებს და ვიზალიბერალიზაციას საბოლოოდ დაგვიკანონებს?

— ამ ამბავს სკანდალად და შემდგარ ფაქტად მაშინ ჩავთვლი, როცა ბრალდებები დადასტურდება. ადრე ვამბობდით, ზურა ადეიშვილი, მერაბიშვილი და ახალაია კრიმინალები, კორუმპირებულები არიანო და ამას ჩვეულებრივად იღებდნენ. თუ ჩვენი ხელისუფლების მიმართ ისეთი დამოკიდებულებაა, რომ ვიღაცის აღიარება თავისთავად სკანდალი უნდა იყოს, ამას არ ვეთანხმები. დაისვა კითხვის ნიშნები? — კი ბატონო, გაეცეს პასუხი. ეს იქნება ნორმალური პროცესი. ჩემი აზრით, უხერხულია, როცა გაურკვეველი წრე ფიქსირდება. პირობითად რომ ვთქვათ, ორმოცდაათ ადამიანში ერთი ცუდია და ეს ჩვენ ვიცით, მაგრამ თქვენ არ გეტყვით. მერე, ამ ერთმა ცუდმა რაღაც ცუდი ქმედება ჩაიდინა, ეს ჩვენ ვიცით, მაგრამ არ გეტყვით, რა ჩაიდინაო და ასე შეიძლება? ელისაშვილი ამბობს, რომ იყო ცუდი მესიჯები, მაგრამ რა იყო ცუდი იმ მესიჯებში, ამაზე არაფერს ამბობს. გაურკვეველი და დაუზუსტებელი პირთა წრე, გაურკვეველი ქმედების შინაარსი და დაუდასტურებელი ფაქტია სკანდალი?

— იმის თქმა გინდათ, რომ ეს „გაურკვეველ პირთა წრე“ ელისაშვილს იყენებს?

— რაც ალეკოს ქმედებებთან დაკავშირებით შემიძლია ვთქვა, ისაა, რომ არასწორად იქცევა. მისი ქმედებები არაა სწორი, როცა ამბობს, რომ ებრძვის კორუფციას. ეს არ არის ადექვატური. კორუფციასთან ბრძოლის ოფიციალური სტრუქტურები არსებობენ და იქ უნდა წარადგინოს მტკიცებულებები, თუ ვინმე ამხილა. არც უდანაშაულობის პრეზუმფციის გაუქმება და არც ფორმალური ვალდებულებები არაფერს უშველის. თუ ვინმეს ხელს ვადებ და ვეუბნები, შენ პომპეზური მონსტრი და დანაშაულის ჩამდენი ხარ-მეთქი, ეს სულ სხვა რაღაცაა.

მქონდა ასეთი შემთხვევა: 2006 წელს, ბორჯომში, ადგილობრივ არჩევნებში ვმონაწილეობდი. არჩევნების წინა დღეს ჩატარდა პრესკონფერენცია და „ნაციონალებმა“ თქვეს, რომ მე ვარ ეჭვმიტანილი მიწების გაყიდვაში და მალე დამიჭერდნენ. ამ თემაზე კომენტარის გაკეთების საშუალებაც არ მომცეს ადგილობრივმა არხებმა. მეორე დღეს ჩატარდა არჩევნები, „ნაციონალებმა“ 400 ხმით მომიგეს და მის მერე ეს განცხადება არც გახსენებიათ, რადგან ყველამ იცოდა, რომ მიწა უკანონოდ კი არა, კანონიერადაც არ გამიყიდია. ამიტომ როცა მტკიცებულებები არ არსებობს, ჩემთვის დანაშაულზე ლაპარაკი ძალიან ძნელია. ჩვენ ზუსტად უნდა ვიცოდეთ, კონკრეტულად ვისზე და რაზეა საუბარი.

— ამბობთ, მტკიცებულებები მჭირდებაო და პროკურატურა რეალური სურათის დადებას შეძლებს?

— თუ ელისაშვილს იმის რესურსი არ აქვს, რომ დაამტკიცოს, მაშინ ეს თემა არ უნდა წამოიწყოს. ეს ბრალდებები, რაღაც დოზით, ყველას ეხება, ვინც ამ პროცესში ვართ ჩართული. ციხეში დადიოდნენო, ამბობს, სამი წლის განმავლობაში, ბევრჯერ ვიყავი ციხეში და ძალიან ბევრი პატიმარი ვნახე. ახლა, ვინმემ რომ თქვას, მათ ვხვდებოდი არა იმიტომ, რომ ჩემი ვალდებულებაა, არამედ, გარკვეული მოტივაციით, როგორ უნდა დავამტკიცო, რომ ეს ასე არ არის? ალეკო ელისაშვილს ჩემზე არაფერი უთქვამს, მაგრამ როგორ უნდა გავარკვიო, ამომშალა თუ არა ეჭვმიტანილთა სიიდან? თუ რამე იცის, უნდა თქვას, რადგან არ შეიძლება, საზოგადოება ასე გაურკვევლობაში გყავდეს და საკვებად ჭორებს აძლევდე. ეს ძალიან ცუდია, რადგან ყველა და მათ შორის, თქვენც ცდილობთ, გაერკვეთ სიმართლეში და ყველა ის კითხვა, რომელსაც თქვენ, როგორც ჟურნალისტი სვამთ, უფრო მეტ შეკითხვას აჩენს, ვიდრე — პასუხს. როცა გაურკვეველ სივრცეს ქმნი, მასში ყველა შეკითხვა პასუხს არ იძლევა, პირიქით, უფრო მეტ შეკითხვას ბადებს. ასე თუ გაგრძელდა, გაუთავებელი პროცესი გახდება. თუ მსგავს ქმედებებს სამართლებრივ ჩარჩოში არ ჩავაყენებთ, საზოგადოებაში ყოველთვის იქნება არაჯანსაღი დამოკიდებულება. ეს საფიქრალია და მათ შორის, იმ ადამიანების მხრიდანაც, რომელთაც უსამართლობის განცდა აქვთ. თუ ამას არ გავაკეთებთ, ვიცით, რაც მოხდება. ხანდახან ქარის წისქვილებთან მეომარი დონ კიხოტიც კი ეჭვს ბადებს, რას ებრძვის — რეალურს თუ აბსტრაქტულს. ისე, დონ კიხოტი უფრო მესიმპათიურება და მისაღებია, ვიდრე — ელისაშვილი, მაგრამ პოლიტიკაში უფრო სწორი აქცენტები უნდა დავსვათ. ამ შემთხვევაში, რომანტიკას არ ელოდები, ელოდები კონკრეტიკას, სამართლებრივ ჩარჩოებს სხვანაირად თუ მოვექცევით, გაურკვეველ სახელმწიფოს ავაშენებთ.

— ანუ, პოლიტპატიმართა სიაში ყველაფერი რიგზეა? როგორც ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, ეჭვი არასოდეს გაგჩენიათ? ერთ-ერთი სატელევიზო გამოსვლისას განაცხადეთ, რა მნიშვნელობა აქვს, რა მუხლით იყავი გასამარლებული, მთავარია, რომ ხელისუფლება გდევნიდაო...

— სიაში შეყვანილ ყველა ადამიანს ერთბაშად უნდობლობას ვერ გამოვუცხადებ და ეჭვის ქვეშ ვერ დავაყენებ. არ ვიცი, რა კონტექსტში საუბრობენ დერვიშაძეზე, მაგრამ გეტყვით, რომ ამ სიაში კახა კუკავასგან მოხვდა. არსებობს შესაბამისი ანოტაცია და ინფორმაცია, თუ რატომ შეიძლება ეს ადამიანი ყოფილიყო პოლიტპატიმართა სიაში. თუ, აპრიორი, ვიტყვით, რომ ყველა პროცესი, რომელიც „ნაცმოძრაობის დროს შედგა და ყველა განაჩენი კანონიერია, მაშინ ეს მეორე უკიდურესობაა და პოლიტპატიმართა სია საერთოდ დაუშვებელია. ზოგადად, განაჩენის მიმართ არ უნდა იყოს კითხვის ნიშნები და ამ ადამიანებთან მიმართებაში პარალელური მექანიზმები არ უნდა შევქმნათ. თუ ამ განაჩენებთან დაკავშირებით კითხვის ნიშნებზე ვსაუბრობთ იგივე არასამთავრობოებთან ერთად, ესე იგი, მიგვაჩნია, რომ შეიძლებოდა ყოფილიყო პოლიტიკურად მოტივირებული განაჩენებიც. ჩვენს შემთხვევაში, არ გადაიხედა განაჩენები, ისინი, უბრალოდ, გათავისუფლდნენ, მეტი არაფერი მომხდარა. აქ საუბარი იმაზე, რომ ჩვენ რაღაც ანგარებით გავაკეთეთ, ზედმეტია. ჩემი მოტივაცია ამ პროცესში მონაწილეობის დროს იყო, რომ ქვეყანა და საზოგადოება, რომლის წევრიც ვარ, თავისუფალი ყოფილიყო და არავინ დაესაჯათ პოლიტიკური შეხედულების გამო... მოვიგეთ არჩევნები დანაშაულებრივ ძალასთან, გამოვუშვით ციხიდან ხალხი, ამაში რომ ვიღაცამ ცუდი დაინახოს, ეს მისი პრობლემაა.

იმ ადამიანებისგან განსხვავებით, ვინც კატეგორიულ განცხადებებს ვარაუდის დონეზე აკეთებენ, კატეგორიულ განცხადებებს, მტკიცებულებაც რომ მაქვს, მაშინაც არ ვაკეთებ. უბრალოდ, შემიძლია გითხრათ, რომ პოლიტიკური შედეგი აინტერესებს „ნაცმოძრაობას“ — ეს თემა პოლიტიკურად მომგებიანი „ნაცმოძრაობისთვისაა“, თუმცა არ მინდა დავიჯერო, რომ ელისაშვილი „ნაცმოძრაობის“ სასარგებლო საქმეს შეგნებულად აკეთებს. რა თქმა უნდა, „ნაცმოძრაობას“ უნდა, თქვას, რა ადამიანები ხართ, როცა პატიმრების გამოშვებაში ფულს იღებთო და ისიც დაამატოს, ჩვენზე უარესები ხართო. თუ ჩვენ ვიქნებით ისეთივეები, როგორებიც თვითონ იყვნენ, ეს „ნაცმოძრაობისათვის“ ერთადერთი გამოსავალია, რათა პოლიტიკურ სივრცეში ადგილი შეინარჩუნოს!

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲜᲐᲗᲘᲐ ᲕᲔᲠᲫᲔᲣᲚᲘ

ᲮᲘᲠᲘᲮᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

23 – 29 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ 2015

№ 50 (314)

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲢᲧᲕᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ. ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ნორა კვიციანი: „მაინტერესებს: ჩემი პოლიტპატიმრად აღიარება რატომ არ შედიოდა მათ ინტერესში?!. კიდევ ბევრი რამ ამოტივტივდება!“

2012 წლის ოქტომბერში, ნორა კვიციანის საქმის შესახებ იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი აცხადებდა, რომ ქალბატონმა ნორამ წინა ხელისუფლებისგან ბევრი უსამართლობა გადაიტანა, რაც მისი ძმის, ემზარ კვიციანის შეცდომებს უკავშირდებოდა. ამასთან, მინისტრი საზოგადოებასა და ნორა კვიციანს ჰპირდებოდა, რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში შეტანილ საქმეს – „ნორა კვიციანი საქართველოს წინააღმდეგ“ დააბრუნებდა, რათა ქართველ სამართალდამცავებს ვერდიქტი ადგილზე გამოეტანათ. მას შემდეგ სამი წელი გავიდა, მაგრამ ნორა კვიციანს არც პოლიტპატიმრის სტატუსი აქვს და არც მისი საქმე გადმოუტანიათ საქართველოში. „ქართული სიტყვა“ ნორა კვიციანს ესაუბრა.

„ეკა ბესელია დამპირდა, რომ ჩემი საქმე ცალკე განიხილებოდა, მაგრამ არაფერი გაუკეთებია!“

– ქალბატონო ნორა, ამ დღეებში პოლიტპატიმართა გვერდით განახეთ...

– საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი, რომ ორასამდე უკანონოდ გასამართლებულ მოქალაქეს საქართველოს პარლამენტმა პოლიტპატიმრის სტატუსი მიანიჭა, მათ შორის რვა საპილოტე საქმე იყო. ჩემი საქმის გარშემო ინტერესი თავიდანვე დააფიქსირეს სახალხო დამცველმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა. საერთაშორისო დონეზე, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამაც აღიარა, რომ ადგილი უსამართლო მოპყრობას ჰქონდა. 2007 წლიდან, ყველამ იცოდა, რომ ხელისუფლების მძევალი ვიყავი. კოდორიდანაც მოტყუებით წამომიყვანეს, ვითომ სიტუაციას გამომარიდეს, მაგრამ თავი ზუგდიდის ციხეში ამომაყოფინეს. სამი დღეს განმავლობაში ცდილობდნენ, წვალობდნენ, ეძებდნენ მუხლს, რითიც გამასამართლებდნენ. იარაღის უკანონო ტარებაზე მედავებოდნენ, არადა, ხეობაში იარაღი შს მინისტრებს შემოჰქონდათ ხოლმე, ბოლოს, გია ბარამიძემ შემოიტანა, ბატალიონი „მონადირე“ გააუქმა, მაგრამ იარაღის ამოღების ოპერაცია არ განახორციელა.

14 წელი ხეობას ვიცავდით და ამას, რა, იარაღის გარეშე, თოხით და ბარით ხომ ვერ შევძლებდით?! საქართველოს პრეზიდენტის მედალიც მაქვს მიღებული. თუ უკანონო ფორმირების წევრი ვიყავი, რატომ დამაჯილდოვეს? დამაპატიმრა ხელისუფლებამ, რომელმაც კოდორი ჯერ დაბომბა, მერე კი, მტერს ჩააბარა. თუ მე და ჩემი ოჯახის წევრები დამნაშავენი ვიყავით, ჩვენ დავესაჯეთ, კოდორს რას ერჩოდნენ?!

საბოლოოდ, ხეობა დავკარგეთ, ჩვენ, ხეობის მცველნი კი, უკანონოდ დავისაჯეთ.

– „ნორა კვიციანი საქართველოს წინააღმდეგ“ – ასეთია სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროსასამართლოში თქვენს მიერ გაგზავნილი საჩივრის სათაური. ევროსასამართლოსგან რა პასუხი გაქვთ?

– ადამიანის უფლებათა დაცვის ევროსასამართლოში ჩემი საჩივარი რვა წელია, გაგზავნილია, პასუხს ველოდები. არჩევნების მერე, თეა წულუკიანი მეუბნებოდა, რომ საქმეს გამოიხმობდა და რეაბილიტაციას აქ გააკეთებდა, მაგრამ არც საქმე გამოუხმია და არც რეაბილიტაცია მიმიღია. საპატიმროში ექვსი წელი და ოთხი თვე ვიჯექი, სულ ორი თვე მქონდა დარჩენილი ვადის ამოწურვამდე. არც შეწყალება მინდოდა, არც – „უდო“, ზუგდიდის ციხის ჯოჯოხეთს გავუძელი, „კრიტსაც“, როგორმე იმ ორ თვესაც გავძლებდი, მაგრამ პარლამენტის გადაწყვეტილებით გამათავისუფლეს.

– განსაკუთრებით ვინ აქტიურობდა, რომ ციხე დაგეტოვებინათ?

– სირცხვილია, რომ დღევანდელი ხელისუფლების ის წარმომადგენლები, რომლებიც მაშინ აქტიურობდნენ, როცა „ნაციონალებს“ ებრძოდნენ. ახლა კი... პარლამენტის მუშაობის დაწყების პირველივე დღეებიდან ეკა ბესელიამ კამერების წინ განაცხადა, რომ კანონმდებლობაში მეოთხე მუხლი შევიდოდა, რომლის მიხედვითაც, მე, ნორა კვიციანი და მაია თოფურია (ყურადღებას განსაკუთრებით ამ ორ გვარზე ამახვილებდა) პოლიტპატიმრის სტატუსს მივიღებდით. მთელი დღე ყველა ტელევიზია ამ ამბავს ახმოვანებდა, ახლობელ-მეგობრები მირეკავდნენ და მილოცავდნენ, მაგრამ მეოთხე მუხლის ამბავი მეორე დღესვე ჩაჩუმდა და ეს სიჩუმე დღემდე გრძელდება.

დღეს მაინტერესებს: ვისი ზეწოლის შედეგად და ვინ ამოიღო ეს მუხლი კანონმდებლობიდან? საერთაშორისო დონეზე აღიარებული უსამართლოდ დასჯილი პატიმარი ქალის პოლიტპატიმრად აღიარება რატომ არ შედიოდა მათ ინტერესში? არადა, როცა საერთაშორისო ორგანიზაციებმა ჩვენი საქმე გაასაჯაროვეს, მაშინ აღტაცებულნი იყვნენ, აი, პირველი მერცხალი შემოფრინდაო.

– გამოდის, რომ „ოცნების“ ხელისუფლებამ წინასაარჩევნოდ თქვენი უკანონო დაპატიმრების თემა გამოიყენა და მერე მიივიწყა?

– სამაგიეროდ, ჩვენ არ დაგვივიწყებია – ბრიფინგებს ვატარებდით, დოკუმენტაცია ხელახლა შევადგინეთ, სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილიც ჩვენს გვერდით იყო, გვეხმარებოდა, ჩემს საქმეზე წიგნიც გამოიცა, ჟურნალისტური გამოძიებაც ჩატარდა. ექვსი წელი და ოთხი თვე „კურორტზე“ ხომ არ ვყოფილვარ? – საპატიმროში ვიჯექი, ჯანმრთელობა შემერყა. საერთო საქმეს ვაკეთებდი, ხეობას ვიცავდი, ცოდო არ ვარ, ამდენი ტანჯვისთვის რომ გამიმეტეს?! გამასამართლეს სამარცხვინოდ, ვითომ ხეობის მაცხოვრებელთა საჭმელ-სასმელი გავფლანგე, რისთვისაც 75 ათასი ლარი ჯარიმა დამიწესეს. ვერაფერი დამიმტკიცეს, ამდენი მხრიდან შეისწავლეს საქმე და ისევ კრიმინალის სტატუსით დამტოვეს? ისევ უსამართლობის მსხვერპლი ვარ, ისევ სამართლიანობის აღდგენისთვის ვიბრძვი!

– რას აპირებთ, ქალბატონო ნორა?

– პროკურატურაში ხელახლა შევიტანეთ განცხადება, სადაც ვითხოვთ, გამოიძიონ ჩემი უკანონო პატიმრობაში ყოფნის საქმე. ჩემი მოთხოვნაა, საქართველოს პარლამენტმა კომისია შექმნას.

– თქვენს საქმესთან დაკავშირებით მანანა კობახიძესთან, ან ეკა ბესელიასთან შეხვედრა გქონიათ?

– სწორედ ეკა ბესელია დამპირდა, რომ კომისია შეიქმნებოდა და ჩემი და მაია თოფურიას საქმეები ცალკე განიხილებოდა, მაგრამ დღემდე არაფერი გაუკეთებია. 17 საპილოტე საქმე იყო გამოსაძიებელი, ადგილობრივად შესასწავლი კი, – სამოცდაათამდე ადამიანის.

– ქალბატონო ნორა, შეწყალების კომისიასთან დაკავშირებით დიდი ხმაურია ატეხილი, როგორ ფიქრობთ, შეიძლებოდა ასეთი რამ მომხდარიყო?

– არ ვიცი, იმ ხელისუფლების პირობებში ყველა გაძვალტყავებული იყო, ვინმეს თუ ფული ექნებოდა, რას იფიქრებდი?! შეწყალების კომისიის მიმართ ეჭვი იმიტომაც დაიბადა, რომ ჩვენ, აღიარებული პოლიტპატიმრები განზე დაგვტოვეს, სიებში ისეთები შეიყვანეს, გაოგნებულები იყვნენ. მიმაჩნია, რომ ვინც პოლიტპატიმრის სტატუსს იღებს, ყოველნაირად სუფთა უნდა იყოს.

– ემზარ კვიციანის საქმე რა სტადიაზეა?

– ჩემი ძმის საქმეც ანალოგიურადაა – ემზარის პოლიტდევნილის სტატუსი დღესაც ჰაერში ჰკიდია. ასევე, ლევან მამალაძისაც. საერთაშორისო დონეზეა შესწავლილი მერაბ რატიშვილის საქმე. დღეს იმდენი ინფორმაცია ვრცელდება, ჭორი და სიმართლე ვერ გამირჩევია, მაგრამ ერთს ვიტყვი: კიდევ ბევრი რამ ამოტივტივდება.

– ვისგან, ისევ ელისაშვილისგან?

– არა, მათგან, ვინც ხელისუფლებამ სათანადოდ არ შეაფასა. ესენი არიან უსამართლოდ დასჯილი და გასამართლებული ყოფილი პატიმრები.

– ამბობენ, ემზარ კვიციანი გარდაბნის გამგებლის არჩევნებში აპირებს მონაწილეობის მიღებას. მართალია?

– შემიძლია გითხრათ, რომ ემზარი პროპორციულ სიებშია შეყვანილი, სხვა ინფორმაცია არ მაქვს.

– ქალბატონო ნორა, მთავრობამ საცხოვრებელი ბინით დაგაკმაყოფილათ, ანუ პოლიტპატიმრის არა, მაგრამ ლტოლვილის სტატუსი გაქვთ, არა? ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ აქციით თქვენი გული მოიგო?

– ეს ერთადერთი ნაბიჯია, რაც ხელისუფლებამ ჩემსკენ გადმოდგა. 75 ათასი ლარი, ჯარიმის სახით, ისევ ზურგზე მაწევს. შესაწყალებელი არაფერი მჭირს, მაგრამ ამ ჯარიმის გამო პრეზიდენტს შეწყალება ვთხოვე, რადგან ჯარიმის გაქარწყლება მინდა!

– რა პასუხი მიიღეთ?

– სამწუხაროდ, ვერც გიორგი მარგველაშვილისგან გავიგე ვერაფერი. როცა საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭს იყრიდა, ომის ვეტერანებს შეხვდა, სადაც კითხვა დავუსვი: გამარჯვების შემთხვევაში, კოდორის ხეობის ამბავს თუ გამოიძიებდა? სამჯერ გამიმეორა, რომ უსამართლობის გამოსწორების გარანტი იქნებოდა, რადგან ჩემს საბრალდებო საქმეში მტკიცებულება არ არსებობს.

– თუ იმ ორ თვესაც საპატიმროში გაატარებდით, პატიმრობის ვადის ამოწურვამდე, პოლიტპატიმართა სიაში იქნებოდით?

– ვფიქრობ, ამ შემთხვევაში პოლიტპატიმართა სიაში ვიქნებოდი ისევე, როგორც თემურ ჟორჟოლიანი და მერაბ რატიშვილი იყვნენ.

– კოდორის ხეობის პრობლემებს წინა ხელისუფლება საგანგებოდ ჩქმალავდა, იქნებ, შეგნებულად მოხდა, რომ კოდორის ხეობის მოვლენების მონაწილე კვიციანები გაასამართლეს, სტატუსი კი ერთსაც არ მიანიჭეს?

– კიდევ ვიმეორებ, რომ დადგენილება, რომელიც პარლამენტმა გამოიტანა, მეოთხე მუხლთან დაკავშირებით არ განხორციელდა. ისმება კითხვის ნიშანი: ვინ და რატომ ამოიღო მუხლი, რომელიც ჩვენი საქმეების გადახედვას უზრუნველყოფდა?

– დღეს რა ხდება კოდორში?

– აქედან არაა მოძრაობა, იქიდან კი, სოხუმშიც ჩადიან.

ესაუბრა ნათია გოგიტიძე

„ორასამადე უკანონოდ გასამართლებულ მოქალაქეს საქართველოს პარლამენტმა პოლიტპატიმრის სტატუსი მიანიჭა, მათ შორის რვა საპილოტე საქმე იყო. ჩემი საქმის გარშემო ინტერესი თავიდანვე დააფიქსირეს სახალხო დამცველმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა. საერთაშორისო დონეზე, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამაც აღიარა, რომ ადგილი უსამართლო მოპყრობას ჰქონდა. 2007 წლიდან ყველამ იცოდა, რომ ხელისუფლების მძევალი ვიყავი. კოდორიდანაც მოტყუებით წამომიყვანეს, ვითომ სიტუაციას გამომარიდეს, მაგრამ თავი ზუგდიდის ციხეში ამომაყოფინეს. სამი დღეს განმავლობაში ცდილობდნენ, წვალობდნენ, ეძებდნენ მუხლს, რითიც გამასამართლებდნენ. იარაღის უკანონო ტარებაზე მედავებოდნენ, არადა, ხეობაში იარაღი შს მინისტრებს შემოჰქონდათ ხოლმე, ბოლოს, გია ბარამიძემ შემოიტანა, ბატალიონი „მონადირე“ გააუქმა, მაგრამ იარაღის ამოღების ოპერაცია არ განახორციელა... 14 წელი ხეობას ვიცავდით და ამას, რა, იარაღის გარეშე, თოხით და ბარით ხომ ვერ შევძლებდით?! საქართველოს პრეზიდენტის მედალიც მაქვს მიღებული. თუ უკანონო ფორმირების წევრი ვიყავი, რატომ დამაჯილდოვეს? დამაპატიმრა ხელისუფლებამ, რომელმაც კოდორი ჯერ დაბომბა, მერე კი, მტერს ჩააბარა. თუ მე და ჩემი ოჯახის წევრები დამნაშავენი ვიყავით, ჩვენ დავესაჯეთ, კოდორს რას ერჩოდნენ?!“

12 № 50 (314) 23 - 29 დეკემბერი 2015

ქართული სიტყვა

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ქართული შედევრები

სპექტაკლი, რომელიც უნდა ნახოთ, ვიდრე დაიხოცებით!

იმ შავბნელ 90-იან წლებში, როცა ირგვლივ ყველაფერი პირქუში და ნირწამხდარი იყო, კინომსახიობთა თეატრში დაიდგა სპექტაკლი, რომელიც დღემდე გამომყვა საგზლად, ეს იყო გოგი მარგველაშვილის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, ქორწინებისა რა მოგახსენოთ და, სიცილით კი ნამდვილად დაგვხოცეს მაყურებელი. არც მანამდე და არც მას მერე მუცელი არ მტკენია სიცილისგან ქართულ თეატრში. დიახ, ქართულ სცენაზე ბევრი არ მინახავს ასეთი ლაღი, სახალისო, სადღესასწაულო სანახაობა, რომ გახარხარებს და გავიწყებს ყოველდღიურობას, თან ყოველდღიურობაცაა და ყოველდღიურობაც, მარტო ის კი არ უნდა დაივიწყო, რაც დატოვე თეატრს გარეთ – პრობლემები: უშუქობა, უგაზობა, რიგები, ძარცვა-გლეჯა, კაცის კვლა, როდესაც არ იცი, მარტო დენს კი არა, საერთოდ, სიცოცხლეს როდის გამოგირთავს ვიღაც ახვარი და ნაბიჭვარი, უნდა დაივიწყო ისიც, რაც თეატრში შეიტანე – შენი ნახევრადმშიერი და გაყინული თუ სიცხისგან გათანგული ტან-ფეხი გაყინულ თუ ჩახუთულ დარბაზში. და ეს სპექტაკლი გავიწყებდა ყველაფერ ამას. თითქოს, მართლაც, დახოცილებს აქორწინებდა თეატრის დღესასწაულთან.

„ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ – 90-იანი წლების თეატრალური ლეგენდა

და ეს არ იყო მარტო ჩემი შეგრძნება, აგერ, 2 ათეული წლის შემდეგ, გია როინიშვილი გაიხსენებს, რომ ამ სპექტაკლს მთელი წელი თამაშობდნენ, რომ თეატრის დირექციას მინიმალური ხელფასები დაერიგებინა ყველა თანამშრომლისთვის... ეს სპექტაკლი დღემდე ცოცხალია და საქველმოქმედოდ, 13 ივნისს დაზარალებულებისთვისაც ითამაშეს რუსთაველის თეატრში. რუსთაველის თეატრში იმიტომ, რომ კინომსახიობთა თეატრი ვერ დაიტევდა მსურველს, რუსთაველის თეატრი სპექტაკლის დადგმიდან 20 წლის შემდეგ გადაიჭედა, ბილეთები გაიყიდა იმ დღესვე, როცა ჩაეშვა გაყიდვაში... რას მოწმობს ეს, თუ არა იმას, რომ მაყურებელმა სპექტაკლი მიიღო და შეიყვარა, რას მოწმობს, თუ არა იმას, რომ ლამის უკვე თაობიდან თაობას გადაეცემა რჩევა, რომ ამ სპექტაკლის ნახვა ღირს!

და ეს არ იყო და არაა მხოლოდ მაყურებლის აზრი. როგორც თავის დროზე თეატრმცოდნე მანანა ტურიაშვილი წერდა, „რეჟისორი სპექტაკლში ჟანრის ყველა პირობას ითვალისწინებს. მსახიობი თავისუფალ იმპროვიზაციას მიმართავს, თუმცა ყველგან იგრძნობა რეჟისორის მკაცრი ხელი, რომელიც ზომიერებას იცავს. წარმოდგენის დამდგმელი და მსახიობები მაყურებელს იუმორის ფეიერვერკით ავიწყებენ ერთფეროვნებას, ყოფით პრობლემებს და მხნეობას ანიჭებენ. მუდამ სავსე დარბაზი დასტურია იმისა, რომ მაყურებელს მოენატრა ლაღი, მხიარული სანახაობა... და ბოლოს, რა არის ამ სპექტაკლის წარმატების მთავარი მიზეზი? – სპექტაკლის შემქმნელთა ჯანსაღი აზრი, იუმორი, პროფესიონალიზმი, სიმსუბუქე და უმთავრესი – მსახიობის ოსტატობა“.

მუდამ სერიოზული გოგი მარგველაშვილისგან ასეთი ხალისიანი სპექტაკლი უკვირდა კიდეც თეატრმცოდნე ნადია შალუტაშვილს: „საოცარია, როგორ აღმოაჩნდა ამ სერიოზულ, მუდამ თავშეკავებულ და მდუმარე, აუღელვებელ ახალგაზრდას ამდენი იუმორი, აღმაფრენა, რათა შეექმნა სიცილით, ღიმილით, აღტაცებით გაფერადოვნებული, ერთი სუნთქვით შეკრული სანახაობა. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ეს მოხდა“.

ვოდევილი საყურებლადაა იოლი და თავშესაქცევი, თორემ მისი თამაში სულაც არ გახლავთ იოლი, მით უმეტეს მაშინ, როცა საბჭოურ ხანაში თითქმის გააქრეს სცენიდან ეს პოპულარული ჟანრი. ვოდევილი მსახიობისგან დიდ ოსტატობას ითხოვს, რეჟისორისგან კი, – გემოვნებას და იუველურ ზომიერებას, რომ არ გადაამლაშოს და იმ დაუკრეფავში არ გადავიდეს, რასაც ვულგარულობა ჰქვია.

„აქ არის ყოველივე ის, რაც ვოდევილის ჟანრს აფართოვებს და ამშვენებს – სიმღერა, ცეკვა და მომხიბვლელი პლასტიკურობა. სპექტაკლი შეკრულია ერთიანი რიტმით. მასში ვერ შეხვდებით „ცარიელ“, შეუვსებელ ადგილებს, სცენები ორგანულად ცვლიან ერთმანეთს. დამაჯერებელია და მსუბუქი გადასვლები ერთი მდგომარეობიდან მეორეში, არსად იგრძნობა ვოდევილისთვის დაუშვებელი სიმძიმე. სპექტაკლი მსუბუქია და ჰაეროვანი. მასში წარმოდგენილი ვნებები, მღელვარება, ერთგვარი მხიარული თამაშითაა აღბეჭდილი“, – წერდა ნადია შალუტაშვილი.

და მაინც, ამ სპექტაკლში უმთავრესი იყო გარდასახვა. მას შემდეგ აგერ, 20 წელიწადი გავიდა და თეატრში მსგავსი რამ არ დამმართნია.

დაინიშნა პრემიერა კინომსახიობთა თეატრში. როგორც ყველამ, მეც ვიცოდი, რომ ელისაბედი ნინელი ჭანკვეტაძეს უნდა ეთამაშა. მივედი პრემიერაზე, ვიყიდე პროგრამაც, ჩავხედე – ელისაბედის გასწვრივ წერია ნინელი ჭანკვეტაძე... დაიწყო სპექტაკლი... გამოვიდა ელისაბედი და... ისევ ჩავხედე პროგრამას, ნამდვილად ნინელი ჭანკვეტაძე წერია, არადა, სცენაზე აშკარად სხვა ადამიანი დგას, ვიღაც გონჯი დედაბერი. კარგა ხანს მეგონა, რომ სცენაზე სხვა მსახიობი იდგა, ვფიქრობდი, ალბათ, მსახიობი მერე შეცვალეს, რაც აფიშა-პროგრამები დაიბეჭდა-მეთქი... კარგი კი იყო ბატონი ელისაბედი, მაგრამ მე ნინელი ჭანკვეტაძის ნახვა მსურდა ამ როლში... არადა, სცენაზე ნინელი ჭანკვეტაძე იდგა! არ ვაჭარბებ და არც სტატიისთვის არ ვიგონებ რამეს! დიახ, ეს გონჯი დედაბერი, მაშინ სრულიად ახალგაზრდა 37 წლის ნინელი ჭანკვეტაძე იყო. მხოლოდ გრიმი არაფერ შუაშია, ნასახიც არ იყო მსახიობის ჩვეული ხმის, პლასტიკის, ნინელი ჭანკვეტაძე იყო გარდასახული ელისაბედად.

„მან ხელი ჩაიქნია თავის ბუნებრივ, ქალურ მომხიბვლელობაზე და ხანშიშესული, გონებაჩლუნგი, უშნო ქალის სახით წარმოგვიდგა. მსახიობმა მშვენივრად აითვისა ვოდევილისათვის აუცილებელი გარდასახვის ყველა თვისება. ძნელად თუ იცნობდით მას ელისაბედის როლში. ეს მოსაბეზრებელი, ძუნწი და გონებაშეზღუდული ქალი სიცილს იწვევს ყველა სიტუაციაში. ამ როლში მსახიობი სრულიად იცვლება. სხვა ხმა, სხვა გარეგნობა, თვალების გამომეტყველება, მოძრაობები. მისი მომაბეზრებელი შეძახილი – „თქვენ ჩემი სიკვდილი გინდათ“ რეფრენად გასდევს როლს... ნინელი ჭანკვეტაძის მიერ შექმნილი ელისაბედის სახე გარდასახვის შესანიშნავი ნიმუშია“, – წერდა ნადია შალუტაშვილი.

თუ ნინელი ჭანკვეტაძის წინაშე იდგა რთული ამოცანა, რომ უნდა დაეძლია მითი, რომელიც არსებობდა მისი და მისი სამსახიობო მონაცემების შესახებ, სხვა მითი ჰქონდა დასაძლევი გოგა პიპინაშვილს. მაყურებელს არათუ მაშინ, დღესაც ახსოვს ვასო გოძიაშვილის მიერ შექმნილი მხატვრული სახე – ოსეფა სატელევიზიო დადგმაში. დამეთანხმებით, არაა იოლი, ვასო გოძიაშვილის შემდეგ იგივე როლში წარსდგე მაყურებლის წინაშე და მაყურებელმა არათუ მიგიღოს, მოგიწონოს კიდეც. გინდა თუ არა, კარგია ეს თუ ცუდი, მაყურებელი ყოველთვის ადარებს ძველს და ახალს... მაგრამ გოგა პიპინაშვილმა ბრწყინვალედ გაართვა თავი ამ სირთულეს და ჩვენს წინ სრულიად სხვა ოსეფა იდგა. მას არაფერი ჰქონდა საერთო იმ ოსეფასთან და რაც მთავარია, სადღა გიტოვებდა დროს შესადარებლად? – გამოჩნდებოდა თუ არა სცენაზე, უმაღლ ხარხარი ისადგურებდა და ამ ხარხარს არ ჰქონდა ბოლო. ჩვენს წინ იდგა დაძაბუნებული, მოუქნელად, მოუხერხებლად მოძრავი მოხუცი – ძუნწი ვაჭარი, რომელსაც თავისი ლაპარაკის მანერით ძველ თბილისში გადავყავდით, მის ლექსიკონში ერთად იყო ათქვეფილი ქართული, რუსული, სომხური, ფრანგული... ეს გოგლიმოგლი ვლინდებოდა მთლიანად მოქმედ პირთა პლასტიკაშიც, აქცენტშიც, ასე მართლა მხოლოდ ძველ თბილისში ხდებოდა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გვჯეროდა, რომ ასე ძველ თბილისში ხდებოდა...

„გიორგი პიპინაშვილის პერსონაჟში აღსანიშნავია მეტყველების სპეციფიურობაც. იგი სომხურ და კახურ კილოზე საუბრობს, რაც უფრო მეტ იუმორს მატებს მის როლს. საერთოდ, სპექტაკლის სამეტყველო ენა ეკლექტიკურია. აქ რეჟისორის მსუბუქი ირონიაც ჩანს. ყველა გმირი ურევს რუსულს, სომხურს, ქართულს. ამით ძველი თბილისის კოლორიტსაც აცოცხლებენ და თან კომედიურ სიტუაციებსაც აძლიერებენ“ (მ. ტურიაშვილი).

ნადია შალუტაშვილი პიპინაშვილის ოსეფას შეფასებისას წერდა, რომ ყველაფერი ორგანულია, ვოდევილის სტილშია გადმოცემული და არსად არღვევს გემოვნების კანონებს: „ოსეფა – პიპინაშვილი არ თამაშობს მაყურებელზე, რაც უფრო მეტად სერიოზულია იგი, მით უფრო მეტ სიცილს იწვევს“.

მანანა ტურიაშვილის შეფასებით, „განსაკუთრებით შთამბეჭდავია ოსეფას გრიმი, ჩაცმულობა. მსახიობი სიბერისგან მხრებშია მოხრილი, ძლივს დადის, მაგრამ ამ დაჩამიჩებულ, მოფარფატე მოხუცს პარადოქსალურად განსხვავებული, გამიზნული და ცოცხალი აზროვნება ახასიათებს. მსახიობის პლასტიკა იმდენად მოქნილია, იმდენად ბუნებრივი, რომ ხშირად გავიწყდებათ, ამ როლის შემსრულებელი ახალგაზრდა მამაკაცია. ბუნებრიობა, უშუალობა, იმპროვიზაცია და იუმორი გახლავთ გიორგი პიპინაშვილის შესრულების, მაყურებელზე ზემოქმედების მთავარი ძალა“.

მოკლედ, ეს ის სპექტაკლია, ვიდრე დაიხოცებით, რომ უნდა ნახოთ...

რეზო შატაკიშვილი

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲛᲘᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას თანამედროვე კრიმინალისტიკის პროფესიულ პროგრამაზე

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურების პროფესიულ პროგრამებზე, სადაც ისწავლება თანამედროვე კრიმინალისტიკა გამოძიებაში. (ყოველი საფეხურის დამთავრებისას გაიცემა დიპლომი)

პროგრამის ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი, პროფესორი ანა ჭიღიტაშვილი.

კრიმინალისტიკის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამის მიზანია მოამზადოს ადაპტირებული კონკურენტუნარიანი კრიმინალისტი, სადაც შეისწავლება თანამედროვე გამოძიების მოთხოვნები, დანაშაულის შემთხვევის ადგილის დაცვა, ნივთიერი მტკიცებულებების აღმოჩენა-ამოღება, ფიქსაცია თანამედროვე ფოტო-ვიდეო ტექნიკის გამოყენებით, შეისწავლება თანამედროვე დაქტილოსკოპიის საიდენტიფიკაციო მეთოდები (FBI-ის პროგრამის მიხედვით) და სხვა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განხორციელება სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში.

კრიმინალისტიკის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამის მიზანია მოამზადოს მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან კონკურენტუნარიანი კრიმინალისტი, სადაც შეისწავლება თანამედროვე ტრასოლოგია, ბალისტიკა, გამოძიების დაწყების საფუძვლები და გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ტაქტიკა, დანაშაულის კვალიფიკაცია და მტკიცებულებათა მიღების, ფიქსაციის სამართლებრივი საკითხები, გამოძიების კრიმინალისტიკური და სისხლის სამართლის პროცესუალური ეტაპები.

კრიმინალისტიკის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის მიზანია მოამზადოს მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირებული კონკურენტუნარიანი, პროფესიონალები, სადაც შესწავლას ექვემდებარება გამოძიების ეტაპზე თანამედროვე კრიმინალისტიკური და სასამართლო ექსპერტიზების დანიშვნა, ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების და გახსნის მეთოდიკა, საპროცესო/საგამოძიებო მოქმედების განხორციელების, მტკიცებულებათა სტანდარტის მოპოვების სამართლებრივი საფუძვლები, სისხლის სამართლის საქმის მაკვალიფიცირებელი და პიროვნების საიდენტიფიკაციო ნიშნების დადგენა;

კრიმინალისტიკის პროფესიულ პროგრამას უძღვებიან კვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები.

სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კრიმინალისტიკის ლაბორატორია და იმიტირებული სასამართლო დარბაზი.

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ�პᲘᲠᲝᲑᲐ:

ხანგრძლივობა: პროფესიული საფეხურის თითოეული პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს (10 თვე).

დაშვების წინაპირობა:

მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ საბაზო განათლების მქონე პირს, მინიმალური ასაკი 16 წელი.

მეოთხე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მესამე საფეხურის კვალიფიკაციის მქონე პირს.

მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მეოთხე საფეხურების კვალიფიკაციის მქონე პირს.

დასაქმების სფერო:

კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს სხვადასხვა სამართალდამცავი ორგანოების საგამოძიებო/ოპერატიულ სამასახურებში (შინაგან საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის, სასჯელაღსრულების და პრობაციის, თავდაცვის სამინისტროები, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური), ადვოკატთა კერძო და სახელმწიფო კორპუსის დარგში, დამოუკიდებელ (კერძო) საექსპერტო ბიუროებში.

პროფესიული პრაქტიკა:

სტუდენტთა პრაქტიკული მეცადინეობების ხარისხის ამაღლების მიზნით თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული წამყვან კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებთან.

ᲬᲐᲠᲓᲝᲡᲐᲓᲒᲔᲜᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ:

პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; სკოლის ატესტატი; 2 ფოტოსურათი (CD-თან ერთად)

ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲦᲐᲤᲐᲡᲣᲠᲘ:

მესამე საფეხურზე: 1200 ლარი.

მეოთხე და მეხუთე საფეხურებზე: 1500 ლარი.

საბუთები მიიღება 1 თებერვლამდე.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ შეავსოთ ვებგვერდზე – tbuniver.edu.ge განთავსებული სარეგისტრაციო ფორმა.

ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲝ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘ:
(032) 296 90 44
599 54 70 42
595 26 79 46

14 | № 50 (314) | 23 - 29 დეკემბერი 2015

ეროვნული იდეა

ლიტერატურული. ეროვნული. ჰოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

აქტუალური თემა

„არჩილ კბილაშვილი სიტყვის გამტეხი და მატყუარა აღმოჩნდა!“

ბრუნდებიან თუ არა „გაიშნიკები“ და ვის ურჩევს გამოლოცვას შალვა ოგბაიძე

შსს-მ, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით, ცვლილებათა კანონპროექტი შეიმუშავა და პარლამენტს განსახილველად გადასცა, რასაც არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. რა არის „გოჩა“; რატომაა გერმანიაში ქართველი მძღოლი კანონმორჩილი და საკუთარ ქვეყანაში – დაუმორჩილებელი; რამდენად სახიფათოა მარჯვენასაჭიანი ავტომანქანით მოძრაობა; დაბრუნდება თუ არა საავტომობილო გზებზე „გაიშნიკების“ მეთოდი და ვის სჭირდება „შეშინებულის გამოლოცვა“? – „ქართული სიტყვა“ საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტ შალვა ოგბაიძეს ესაუბრა.

– ბატონო შალვა, იმ ცვლილებებს, რაც საქართველოში, საგზაო უსაფრთხოების მიზნით უნდა დაიგეგმოს, როგორ აფასებთ?

– ინიციატივა შინაგან საქმეთა სამინისტროსგან წამოვიდა. საერთოდ, საქართველოში პერიოდულად საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ცვლილებები მიმდინარეობს. დროდადრო ზოგი თემა ცხელდება, მერე ნელდება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანაში მოძრაობის ერთიანი სტრატეგია არ არსებობს, ასევე, არ არსებობს ერთიანი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და სატრანსპორტო სისტემებთან დაკავშირებული პრობლემების მარეგულირებელი ერთიანი კომპეტენტური ორგანო – დეპარტამენტი თუ უწყებათაშორისო ჯგუფი, რგოლი, რომელიც თავიდან ბოლომდე ხელში აიღებს საგზაო უსაფრთხოების დარეგულირებას. საგზაო უსაფრთხოება მხოლოდ საგზაო ნიშანი, ან მხოლოდ ავტომობილის გადაადგილება ხომ არაა?! გაცილებით რთული კომპლექსი და კლასიკური სამკუთხედია – ადამიანი, ავტომობილი, გარემო.

ადამიანის ფაქტორი მძღოლის განსწავლულობის, ქვეითის ქუჩაში მოძრაობის წესებს ითვალისწინებს. მეორე ფაქტორია თვითონ საავტომობილო პარკის მდგომარეობა, თუ როგორ ახლდება პარკი, როგორი ტენდენციებია, როგორი ტაქტიკა აქვს სახელმწიფოს საავტომობილო პარკის მიმართ, ეკონომიკური პოლიტიკა, განბაჟების ტარიფები და წამახალისებელი მეთოდები.

მესამე ფაქტორი გარემო, ანუ ინფრასტრუქტურაა: გზა, განათება, საგზაო ნიშნები და შუქნიშნები, გზის მონიშვნა და ყველაზე მთავარი – კანონმდებლობაა, რომელიც თავისთავად, რეგულაციებსა და მონიტორინგს შეიცავს. სამწუხაროდ, ყველა ეს ფუნქცია სხვადასხვა უწყებაშია გაბნეული, სადაც გამეფებულია პრინციპი – „მე ეს არ მეხება!“.

ახლა შსს-ს აქვს მცდელობა, ამ რეგულაციებში ერთგვარი ინტერვენცია განახორციელოს და რაღაც სიახლე შემოიტანოს, რადგან ამის აუცილებლობის წინაშე დადგა.

– რას გულისხმობთ?

– სავალალოა სტატისტიკა: ყოველწლიურად საქართველოში ექვსასამდე ადამიანი ავტოკატასტროფაში იღუპება და ამ მონაცემებით მსოფლიო ქვეყნების ათეულშიც მოვხვდით. 100 ათას ადამიანზე 16-17 შემთხვევაა დაფიქსირებული და ეს იმ დროს, როცა ევროპაში ამავე რაოდენობაზე 3-5 შემთხვევა ფიქსირდება. 600 დაღუპული ადამიანი ხომ ერთი სოფლის რუკიდან გაქრობის ტოლფასია?! ამიტომაც მიმაჩნია, რომ შსს-ს მიერ შემოთავაზებული ინტერვენცია დროულია. როგორც საგზაო უსაფრთხოების სპეციალისტი, ავტომობილისტი არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრებზე, მედიასთან ურთიერთობაში ვცდილობ, ჩემი და თქვენი სათქმელი გავაჟღერო, გარკვეული კორექტირებები შევიტანო, სასიკეთო ზემოქმედება მოვახდინო, რათა ჩვენს ქუჩებში მოძრაობა ნაკლებად სახიფათო გახდეს. წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, ეს ბეჭედდასმული ბრძანება კი არა, გარკვეული ცვლილებების კანონპროექტია, რომლის განხილვაში მონაწილეობის მიღებაც ყველას შეუძლია.

– საქართველოს ევროკავშირისკენ სწრაფვა წარმატებით მიმდინარეობს, ვიზალიბერალიზაციის საკითხმა საზოგადოებას ერთგვარი სტიმული მისცა, რომ კანონმორჩილება ცხოვრების წესად გაიხადოს. ზემოხსენებული ცვლილებებიც ევროპული კანონმდებლობის ანალოგია?

– ევროპას კარზე ვუკაკუნებთ, ნახევარი ნაბიჯით ევროპულ ოჯახში ფეხი შევდგით და ეს ჩვენი ბუნებრივი მდგომარეობაა, მაგრამ ამავდროულად, ქართველები აღშფოთებულები არიან. ბევრისგან გვესმის: „ეს რა უბედურებაა? – ეს რა კანონებია?!“ ევროპა კი, პასუხს გვცემს: „სადოური წესია და აქოური წესია!“

– ბატონო შალვა, განსაკუთრებული აჟიოტაჟი მძღოლებისთვის ქულების დარიცხვის წესმა გამოიწვია...

– დიახ, ქულების დარიცხვის წესი სუფთა ევროპული, უფრო სწორად, გერმანული მეთოდია, სადაც „პუნქტებს“ უწოდებენ. ყველა ადამიანი ინდივიდია, რობოტი არაა – კანონი რაღაც დოზით „შემოგერღვევა“, დაარღვევ საგზაო წესებს, დაჯარიმდები და ფულის გადახდასთან ერთად, შესაბამისი ქულაც ჩამოგაკლდება. როცა ზღვრამდე მიდიხარ, მართვის მოწმობის მოქმედების ვადა შეგიჩერდება. როცა ეს გერმანიაში ხდება, მძღოლს ჯოჯოხეთის გავლა უწევს, ვიდრე მართვის ახალ მოწმობას აიღებს. თავიდან ფსიქოლოგთან ათი სეანსი უნდა გაიაროს, რაც სოლიდურ ხარჯთანაა დაკავშირებული. შემდეგ, გამოცდა ხელახლა ჩააბაროს, ამას კი ნერვები, ფული და დრო სჭირდება. გერმანელი საკუთარ თავზე ექსპერიმენტს აღარ ჩაიტარებს, ურჩევნია, საგზაო მოძრაობის წესები დაიცვას. ანალოგიურად იქნება საქართველოშიც.

– ქართველი მძღოლების დაუდევრობა და კანონისადმი დამოკიდებულება ევროპული ტიპის საგზაო უსაფრთხოების წესებს როგორ მიიღებს?

– მშვენივრად მიიღებს. გერმანიაში ქართველები საგზაო წესებს არ არღვევენ – გერმანიაში ქართველზე მოწესრიგებული მძღოლი არ მინახავს. მენტალიტეტი არაფერ შუაშია. მახსოვს, ღვედზე წესის შემოღებისას წუწუნებდნენ, ქართველი კაცი შეზღუდვას ვერ იტანს, ღვედისგან თეთრი პერანგი გვესვრებაო. ერთი სული მაქვს, მავანს ვუთხრა: შე მამადალოცვილო, ადექი და გაწმინდე ეგ ღვედი! დღეს მშვენივრადაც იტანენ ღვედს და უამრავი სამადლობელი სიტყვაც გამიგია იმ ადამიანებისგან, ვინც ავტოავარიის დროს სწორედ ღვედმა გადაარჩინა სიკვდილსა თუ დასახიჩრებას!

– მოდით, საჯარიმო ქულებზე უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ, რათა საზოგადოებამ გაიგოს, თუ რას ემსახურება ეს ინიციატივა.

– მას, ვისაც ფული აქვს, ჯარიმის გადახდა არ უჭირს. გამოდის, რომ საქართველოში ფულიანი კაცი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის შემთხვევაში, ერთგვარად ყიდულობს დარღვევის უფლებას. როცა მძღოლი მრავალჯერადად იქ, სადაც 60-კილომეტიანი სიჩქარით უნდა იაროს, 160 კილომეტრ-სიჩქარით დადის, არად დაგიდევს მოძრაობის შეზღუდვას, ამას შეგნებულად აკეთებს და რისკის ქვეშ აყენებს ჩემი, თქვენი ოჯახის წევრებს და ამიტომ საჭეს უნდა ჩამოსცილდეს. რამდენიმე დარღვევის შემდეგ მძღოლი თავადაც უნდა დაფიქრდეს, რომ მის ფსიქიკას რაღაც წესრიგში ვერ აქვს.

აქვე უკმაყოფილებას გამოვთქვამ იმის გამო, რომ წვრილმანი დარღვევების საკითხი მეტად მიშვებულია, დისციპლინაა საჭირო და საზოგადოების დაკვეთაა, რომ პატრული უნდა გააქტიურდეს. რას ველოდებით? – კაცი, რომელიც ავტომანქანით გაზონზე დადის და საფრთხეს უქმნის მოქალაქეებს, ბავშვებს, ან ტროტუარზე მდგომი მანქანების პატრონები რომ უნდა დააჯარიმო, ამას ევროკავშირის კანონები სჭირდება? აქ კომპრომისი ზედმეტია, ასეთ მძღოლებთან სწორედ ნულოვანი ტოლერანტობის გამოვლენაა აუცილებელი. ამ ბადეში მოყვებიან მაღალჩინოსნები, გამგებლები, მათი მოადგილეები, დეპუტატები, საკრებულოს წევრები. პირველ რიგში, სწორედ მათ მოეთხოვებათ კანონის დაცვა. ერთხელ და სამუდამოდ შეწყდება ადამიანთა პიროვნული დახარისხება!

– უკონტაქტო პატრულირების მიმართაც გამოითქვა გარკვეული უკმაყოფილება, რასაც „ფარულ პატრულირებასაც“ უწოდებენ...

– ესეც ევროპული მეთოდია, საქართველოს გზებზე, წითელი ხიდიდან სარფამდე, აგრეთვე, დედაქალაქში, ბოძებზე სათვალთვალო კამერებია დამონტაჟებული, სიჩქარის მზომების წინააღმდეგ, ერთმა ჭკვიანმა ადამიანმა მისი კოორდინატები მობილურში შეიტანა – ამ პროგრამას „გოჩა“ ჰქვია. როცა სიჩქარის მზომ რადარს უახლოვდები, „გოჩა“ ზარს მოგცემს. ასეთი პატრულირება აზრს კარგავს, ამიტომ გვექნება უკონტაქტო პატრულირება, რომლის მიხედვითაც, საჩქარისმზომი ადგილს მოინაცვლებს ხოლმე, ანუ მძღოლს მისი ადგილმდებარეობა არ ეცოდინება. დღეს შეიძლება ამ ბოძზე იყოს განთავსებული, ხვალ სადმე, მანქანაში იდოს. განვმარტავ: ლაპარაკია არა ჩასაფრებულ ადამიანზე, არამედ, ჩვეულებრივ რადარზე, რომელიც ფიქსირებული კი არა, ადგილმონაცვლეა. პირადად მე, ასეთ ცვლილებას და კანონის წინაშე შიშის დამყარებას მივესალმები.

– ზოგს იმის ეშინია, რომ „გაი“-ს მეთოდები დაბრუნდება...

– სისულელეა, მსგავსი რამ არ მოხდება. ყველასთვის ცნობილია ჩემი მკვეთრი დამოკიდებულება სააკაშვილ-მერაბიშვილის მთავრობის მიმართ, მაგრამ ტრასაზე დამ-

„ევროპას კარზე ვუკაკუნებთ, ნახევარი ნაბიჯით ევროპულ ოჯახში ფეხი შევდგით და ეს ჩვენი ბუნებრივი მდგომარეობაა, მაგრამ ამავდროულად, ქართველები აღშფოთებულები არიან. ბევრისგან გვესმის: „ეს რა უბედურებაა? – ეს რა კანონებია?!“ ევროპა კი, პასუხს გვცემს: „სადოური წესია და აქოური წესია!“ დიახ, ქულების დარიცხვის წესი სუფთა ევროპული, უფრო სწორად, გერმანული მეთოდია, სადაც „პუნქტებს“ უწოდებენ. ყველა ადამიანი ინდივიდია, რობოტი არაა – კანონი რაღაც დოზით „შემოგერღვევა“, დაარღვევ საგზაო წესებს, დაჯარიმდები და ფულის გადახდასთან ერთად, შესაბამისი ქულაც ჩამოგაკლდება. როცა ზღვრამდე მიდიხარ, მართვის მოწმობის მოქმედების ვადა შეგიჩერდება. როცა ეს გერმანიაში ხდება, მძღოლს ჯოჯოხეთის გავლა უწევს, ვიდრე მართვის ახალ მოწმობას აიღებს. თავიდან ფსიქოლოგთან ათი სეანსი უნდა გაიაროს, რაც სოლიდურ ხარჯთანაა დაკავშირებული. შემდეგ, გამოცდა ხელახლა ჩააბაროს, ამას კი ნერვები, ფული და დრო სჭირდება. გერმანელი საკუთარ თავზე ექსპერიმენტს აღარ ჩაიტარებს, ურჩევნია, საგზაო მოძრაობის წესები დაიცვას. ანალოგიურად იქნება საქართველოშიც“.

გაგრძელება მე-15 გვ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

23 – 29 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ 2015

№ 50 (314)

ᲛᲘᲠᲘᲗᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲧᲕᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

აქტუალური თემა

რღვევი მძღოლისგან ფულის აღება წარსულს ჩაბარდა. ერთი შემთხვევაც კი არ მახსოვს, რომ პატრულს ფული აეღოს. შესაძლოა სადმე, ოდესმე ერთეულ შემთხვევას ადგილი ჰქონდა, როცა მუნდირის ღირსებაზე, ადამიანობასა და ნამუსზე ვინმემ ხელი აიღო, მაგრამ ვიმეორებ: ეს ერთეული შემთხვევა იქნება.

ჩვენდა სასიხარულოდ, ქართველმა კორუფციის გარეშე ცხოვრების გემო გაიგო. უკან დაბრუნება შეუძლებელია, „გაი“-ს სტანდარტები და წარსულის აჩრდილების შიში უსაფუძვლოა, ვისაც ეს შიში აქვს, შეშინებულის გამოლოცვა ჩაიტაროს.

– ბატონო შალვა, საგზაო მოძრაობის ახალ წესებში პატრულის თანამშრომლები, თქვენი აზრით, რამდენად მომზადებულ-გაწაფულები არიან?

– ჩვენ ამბიციურნი გავხდით და ეს კარგია: გვინდა, რომ ყველაფერი იდეალურად გვქონდეს. ვინ არიან პატრულის თანამშრომლები? – ჩვენი ოჯახის წევრები, ახლობლები, მეზობლები. პატრული ისეთია, როგორიცაა საზოგადოება. ვაღიარებთ, რომ მუდმივად განახლება სჭირდება ჩვენს აზროვნებას, უნარ-ჩვევებს, რათა თანამედროვე მსოფლიოს არ ჩამოვრჩეთ; მუდმივად გვჭირდება საკუთარ თავთან, მავნე უნარ-ჩვევებთან ბრძოლა, მათი უკუგდება. ასევეა პატრულიც, მას ნამდვილად სჭირდება გამუდმებული ტრეინინგები, მით უმეტეს, ვიზალიბერალიზაცია ევროკავშირთან საზღვრების სხვა რეჟიმში გადასვლა სხვა პირობებს აყენებს. ევროპას ძალიან მკაცრი საგზაო მოძრაობის წესები აქვს – საზოგადოებრივი წესრიგი, ხმაური, გამონაბოლქვი, ეკოლოგია, გარემოს დაცვა და სხვა უამრავ სტანდარტს ითვალისწინებს მისი კანონმდებლობა. ასე რომ, არა მარტო პატრული, არამედ, მთელი საზოგადოება და მთავრობა მოძრაობის სხვა ჭრილში უნდა გადავიდეს, საზოგადოებას, მედიასთან ერთად, მუდმივად სახრე უნდა ეჭიროს, რომ მთავრობას დროდადრო შეუძახოს. კარგი მთავრობა არასოდეს იქნება. მთავრობა შეიძლება იყოს წინაზე უკეთესი. მისი სიკარგე ჩვენზეა დამოკიდებული...

– საქართველო სავსეა დრომოჭმული და გაზზე მომუშავე ავტოები ავტომობილების ტექნიკური დათვალიერების საკითხით არავინ ინტერესდება? მანქანის ტექნიკური დათვალიერების აღდგენა სავალდებულოდ ხომ არ მიგაჩნიათ?

– ტექნიკური დათვალიერების ინსტიტუტი არ გაუქმებულა, მხოლოდ შეჩერებულია: 2004 წელს მოვამზადე საკითხი მსუბუქი ავტომობილებისთვის ტექნიკური დათვალიერების შეჩერების თაობაზე, რადგან ის მანქანის ტექნიკური კი არა, ფულის კუპიურების დათვალიერება იყო. სამწუხაროდ, სახელმწიფომ მოქალაქეებს ახალი არაფერი შესთავაზა. არსებობენ კერძო სტრუქტურები, რომელთაც დიდი ინვესტიციები აქვთ ჩადებული ავტომობილების ვარგისიანობის თანამედროვე ტესტების დასანერგად, ეკონომიკის სამინისტროში აკრედიტირებული ორგანიზაციები, ამ გაურკვევლობის გამო, დღესაც უზარმაზარ ხარჯებს განიცდიან. ამ საკითხს ალტერნატივა არ აქვს, სახელმწიფოს უნდა ეყოს გაბედულება, არ გადადოს პრობლემის მოგვარების საკითხი. ხელისუფლება, როგორც წესი, მუდმივად პრობლემებს გაურბის, რადგან ეშინია, რომ ამომრჩეველი ხმას არ მისცემს. ასეთი ხელისუფლება სათავეში არც უნდა იყოს.

– ბატონო შალვა, მარჯვენასაჭიანი მანქანების მფლობელებმა თბილისსა დ სხვა ქალაქებში გამაფრთხილებელი აქცია გამართეს. ისინი ხელისუფლებას სთხოვენ, არ გაატაროს ის რეგულაციები, რაც მათ უფლებებს შეუზღუდავს. რამდენად საფრთხის შემცველია ამ სახის ავტომანქანა ჩვენი ქვეყნის გზებზე?

– „მარჯვენასაჭიანები“ ვერ გაიფიცებიან, თუ მათ ვინმე არ უხელმძღვანელებს. მათ წინააღმდეგ წინა ხელისუფლებაც გამოდიოდა: 2005 წელს მოინდომეს აეკრძალათ ასეთი მანქანების შემოყვანა. დღეს მარჯვენასაჭიანების მფლობელებს არაფერი ემუქრებათ, საუბარი მანქანების სამომავლოდ შემოყვანის აკრძალვაზე კი არა, რეგისტრაციაზეა, თუმცა ეს გადაწყვეტილება ხისტად მიმაჩნია. ჩემი აზრით, დრაკონული მოთხოვნაა, მაგრამ ლოგიკას დაქვემდებარებული. ალბათ, საჭის გადატანა უნდა აიკრძალოს, მფლობელებმა ტარება ისწავლონ, ფარები მოაწესრიგონ, რათა შემხვედრი არ დააბრმავონ და კეთილი ინებონ, ორკარიანი მარჯვენასაჭიანით ნუ იტაქსავებენ, რომ პრობლემა ფეხით მოსიარულეს არ შეექმნათ. ეს რეგულაციები ბუნებრივად შეამცირებს მარჯვენასაჭიანებზე მოთხოვნილებას.

– არ შეიძლება, ორივე მხარეს მქონე საჭიანი მანქანებით მოძრაობა რომ დაწესდეს?

– ცუდია, რადგან ჩვენი ქვეყნის ინფრასტრუქტურა მარცხენაზეა გათვლილი. მარჯვენასაჭიანი მანქანებისკენ სწრაფვა იმის ნიშანია, რომ ეკონომიკა არ მუშაობს, საქართველოში ყოველწლიურად იმპორტირებული 70 ათასი ავტომობილიდან 90%-ზე მეტი მეორადია და მხოლოდ 8% პირველადი, ნულოვანგარბენიანი ავტომობილი.

– თბილისში ერთობ ბევრი ავტომანქანაა – საცობები დღითიდღე მატულობს.

– ქალაქში არაა პოპულარული საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ხუთასი დაჯაგლაგებული ავტობუსი, 1700 სამარშრუტო ტაქსი და მეტროს ის მოძრავი შემადგენლობა, რომელიც სულს ღაფავს, საკმარისი არაა, რომ მოქალაქეები გადავაადგილდეთ. ავტომანქანა, როგორც არასდროს, ფუფუნების საგანი კი არა, გადაადგილების საშუალება გახდა. რაც უფრო იაფია ავტომობილი, მით უფრო ნაკლები ხარჯი აქვს. იქნებ, ვინმე დააკვირდა, ასათიანისა და ვაჟას გადაკვეთაზე, მთელი დღის განმავლობაში, მანქანების ექვსი რიგი და უზარმაზარი საცობია. დედაქალაქის მიმართ ურბოციტსა და ურბანულ ვანდალიზმსა აქვს ადგილი. იქ, სადაც ფეხით გავლა ჯერ კიდევ შეიძლება, ანუ მწვანე საფარია, სოკოებივით ამოდის არა ათ და თვრამეტსართულიანი, არამედ, ასთექვსმეტსართულიანი შენობები. ვინც ქალაქის მერად დავით ნარმანია აირჩია, იქნებ, ისიც ურჩიოს, რომ სიტუაცია დაარეგულიროს.

– არსებობს სტატისტიკა, საავარიე სიტუაციას მარჯვენასაჭიანები უფრო ქმნიან თუ მარცხენასაჭიანები?

– ასეთი კლასიფიკატორი არ არსებობს, თუმცა შემიძლია გითხრათ, რომ მარჯვენასაჭიანები იშვიათად ქმნიან ავარიულ სიტუაციას. პრობლემა კი ისაა, რომ ყოველდღიურად ქალაქში ავტომობილისტების არმია 80-დან 120-ადამიანამდე იზრდება. ეს ადამიანები რისკის ჯგუფს წარმოადგენენ.

– რატომ?

– თუ გავიხსენებთ, რომ მართვის უფლების აღების მსურველების გამოცდაზე მოითხოვენ მანქანის ადგილიდან დაძვრას, გაჩერებას და უკუსვლას, რეალურად, ქუჩასა და საცობში სიარული არ უწევს მოწაფეს და წარმოიდგინეთ, მართვის მოწმობას როგორი მძღოლები იღებენ. გამოდის, რომ სახელმწიფო ერთი ხელით მართვის მოწმობას არაკვალიფიციურ ადამიანს აძლევს, მეორე ხელით კი, წესების დარღვევისთვის აჯარიმებს.

– ვინ უფრო სახიფათოა: ქალი თუ მამაკაცი მძღოლი?

– ადამიანებს გენდერული ნიშნით არ ვყოფ, არსებობენ უცოდინარი და მცოდნე მძღოლები.

– თბილისში მომრავლებული ორმო ხშირად დავით ნარმანიას ქილიკის საბაბია...

– ორმო არა, „ორმოგედონი“.

– ენამოსწრებული ხუმრობაა... ბატონო შალვა, იქნებ, ავტოსპორტზეც ვისაუბროთ, სპორტის ეს სახეობა როგორ ვითარდება?

– ავტოსპორტი ისევ ენთუზიასტების დონეზეა – ჯეროვანი ყურადღება არ აქვს, არ მინდა, ჩემი საუბრით სპორტის რომელიმე სახეობას ჩრდილი მივაყენო, მაგრამ წინა ხელისუფლებამ ჭადრაკის განვითარებისთვის 38 მილიონი გამოყო, ავტოსპორტს კი, კაპიკები არგუნა. შეიძლება, ვიღაცას ავტოსპორტი ახირებული ადამიანების გართობა ჰგონია, მაგრამ არა, ბატონო, ავტოსპორტი მაგალითია, თუ როგორ უნდა ფლობდე საჭეს, როგორი უნდა იყოს მოწესრიგებული მძღოლი – გამბედავი და ღირსეული მოქალაქე.

– ბატონო შალვა, რა ამის პასუხია და, ბოლო დღეების ქრონიკა შეწყალების კომისიის სკანდალს უკავშირდება... 26 მაისს დარბეულ-დაზარალებული ხართ, თქვენს მიმართ თუ აღდგა სამართლიანობა?

– სიმართლე გითხრათ, დღეს ვერ გეტყვით, თუ რას ნიშნავს „სამართლიანობის აღდგენა“. 2012 წლის 1 ოქტომბრის მერე, მალევე, საქართველოს პროკურატურაში განცხადება შევიტანე იმის თაობაზე, თუ როგორ დაარბიეს, გააჩანაგეს ჩემი ოჯახი და ბიზნესი. დაწვრილებით დავწერე, თუ როგორ შემიტანეს საავადმყოფოში უგონო მდგომარეობაში, მე და ჩემს ვაჟებს უკანონოდ თავისუფლება აღგვიკვეთეს. სასტიკად ნაცემი უფროსი ვაჟი რუსთავის „კა-პე-ზე-“ში ვიპოვეთ, ჩვენი „პროფილაქტიკა“ გაიყიდა, ამას მიჰყვა ოჯახისა და რძლის ბინები, რომელიც პოლიციას აჩუქეს, საავტომობილო ფედერაციაში „ნაციონალური მმართველობა“ მოვიდა, ხალხი, რომელსაც ავტომობილსა და ფედერაციასთან შეხება არასოდეს ჰქონია. განცხადება რომ შევიტანე, მაშინდელი მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი ხუთი წუთით შემხვდა, ჩემი თანდასწრებით დაუძახა თანამშრომელს, საქმეს რეზოლუცია დაადო, მაგრამ არჩილ კბილაშვილი სიტყვის გამტეხი და მატყუარა აღმოჩნდა. პარლამენტმა კი, თავს კოჰაბიტაცია მოგვახვია. ბოდიში და, კოჰაბიტაციისთვის ავირჩიეთ ეს მთავრობა? როგორც თეიმურაზ ხევისთავსა დ მოძალადე ჯაყოს შორის ვერ დამყარდებოდა კოჰაბიტაცია, ისე ჩვენსა და „ნაციონალებს“ შორის ვერ დამყარდებოდა შეხმატკბილებული ურთიერთობა.

ვატყობ, ეს პარლამენტი ჩემი პარლამენტი არაა, იგი „ნაციონალების“ საქმეების „გამპრავებელი“ საკანონმდებლო ორგანოა. დღესაც არ ვიცი, ვინ დაუკვეთა პატიება, რეჟიმი რატომ არ გაასამართლა? პოლიტპატიმრებად აღიარებული ნატანჯი ადამიანები დღესაც რეაბილიტირებულნი არ არიან. რა უშლის ხელს ხელისუფლებას, 26 მაისს დახოცილი ადამიანების, რომლებიც მაღაზიის თავზე შემოდეს, გარდაცვლილი პოლიციელის, რომელიც მანქანის ქვეშ შეაგდეს, „დუბინკებით“ ნაცემი მოქალაქეების საქმეები გამოიძიოს?

ჩემი უფროსი ვაჟი გერმანიაში გადასახლდა და იქ პოლიტდევნილის სტატუსით ცხოვრობს, ზრდილობის გამო მაინც რატომ არ დაკითხეს? რა, 26 მაისს საჯარო ბიბლიოთეკაში ვიყავით და „ზონდერებთან“ ჩხუბი მოგვივიდა? ეს შეკითხვები მთავრობას დამოკლეს მახვილივით ჰკიდია და მას გუნდრუკს ვერ ვუკმევ. პატრონებისთვის ნახმარი მანქანების საწყალობლად გადმოგდება არაა სამართლიანობის აღდგენა. ყველაფერს გავაკეთებ, რომ მომავალი პარლამენტი ნამდვილად ხალხის უფლებებს იცავდეს!

„ნაციონალური მოძრაობა“ უმრავლესობაში მყოფ ხელისუფლებას დღეს იმას ედავება, რასაც თავად ჩადიოდა: პოლიტიკური ნიშნით დევნას, საპატიმროებში ხალხის წამებას, თუმცა „ოცნებამ“ რაც დათესა, ის მოიმკო. თუ ეს ხელისუფლება „ნაციონალების“ დროს დაჩაგრული ადამიანების უფლებებს არ დაიცავს, სხვა მოვა და წინა და დღევანდელ ხელისუფლებასაც ერთად გაასამართლებს! „ნაციონალებთან“ გარიგებაში მყოფი ხელისუფლება აზრს ამკვიდრებს, რომ „შუა უნდა გაიკრიფოს“, რომ „ნაციონალების“ გარდა საქართველოში სხვა ალტერნატიული პოლიტიკური ძალა არ არსებობს, მაგრამ ამასაც ვნახავთ!

ესაუბრა ნათია გოგიტიძე

„ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲔᲥᲕᲡᲐᲡᲐᲛᲓᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲐᲕᲢᲝᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲐᲨᲘ ᲘᲚᲣᲞᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲗᲔᲣᲚᲨᲘᲪ ᲛᲝᲕᲪᲕᲓᲘᲗ. 100 ᲐᲗᲐᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲖᲔ 16-17 ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲐ ᲓᲐᲤᲘᲥᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲡ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲔᲕᲠᲝᲠᲐᲨᲘ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐᲖᲔ 3-5 ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ ᲤᲘᲥᲡᲘᲠᲓᲔᲑᲐ. 600 ᲓᲐᲚᲣᲞᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲮᲝᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲠᲣᲙᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲫᲠᲝᲑᲘᲡ ᲢᲝᲚᲤᲐᲡᲘᲐ?! ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲛᲘᲛᲐᲩᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲡᲨ-Ს ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲛᲝᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲔᲜᲪᲘᲐ ᲓᲠᲝᲣᲚᲘᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲒᲖᲐᲝ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ, ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡᲢᲘ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲖᲔ, ᲛᲔᲓᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲨᲘ ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑ, ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲗᲘᲥᲛᲔᲚᲘ ᲒᲐᲕᲐᲭᲚᲔᲠᲝ, ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲘᲠᲔᲑᲔᲑᲘ ᲨᲔᲕᲘᲢᲐᲜᲝ, ᲡᲐᲡᲘᲙᲔᲗᲝ ᲖᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲕᲐᲮᲓᲘᲜᲝ, ᲠᲐᲗᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ. ᲬᲘᲜᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲘᲗ, ᲔᲡ ᲑᲔᲭᲔᲓᲓᲐᲡᲛᲣᲚᲘ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ“.

16 | № 50 (314) | 23 – 29 დეკემბერი 2015

ქართული იტუკი

ლიტერატურული, ზელოვნებისა, ჰოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

სპორტი

საფეხბურთო სკოლა „ოლიმპს“ ანგრევენ?!

„ინვესტორები მალე ეკლესიებსაც იყიდიან და მერე რას იტყვით, ძალიან მაინტერესებს!“

საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ახლანდელ თაობაში ბევრი ჯიქიას ქუჩაზე მდებარე „ოლიმპის“ საფეხბურთო სკოლაში გაიზარდა, მათ შორის, გიორგი პაპუნაშვილი, გიორგი აბურჯანია, ვაკო ყაზაიშვილი, ოთარ კაკაბაძე, თორნიკე ოქრიაშვილი და კიდევ მრავალი სხვა ნიჭიერი ფეხბურთელი. ახლა კი, უცხოელი ინვესტორები ამ კორპუსებში ჩაძირული საფეხბურთო ოაზისის დანგრევას გეგმავენ! სხვათა შორის, 25 წელი გავიდა, რაც დამოუკიდებელი საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია არსებობს და მიუხედავად იმისა, რომ თუნდაც წინა ხელისუფლების დროს სათამაშო მოედნები, ერთი შეხედვით, სულ „ჯლიგინ-ჯლიგინით“ იხსნებოდა, სინამდვილეში, ბოლო წლებში, თბილისში 20-მდე სტადიონი დაინგრა. გაცილებით უარესი მდგომარეობაა სხვა ქალაქებსა თუ რაიონებში. მარტო ის რად ღირს, რომ 200 000-იანი ბათუმი უსტადიონოდაა დარჩენილი. მოკლედ, ვითარება საგანგაშოა: ჩვენს ქვეყანაში ფეხბურთის განვითარების პერსპექტივა ბუნდოვანია!

ახლახან, დანგრევის საფრთხის წინაშე აღმოჩენილი „ოლიმპის“ აკადემიის მხარდასაჭერად, მის მოედანზე თავი 500-მდე ადამიანმა მოიყარა და სტადიონების დანგრევის უარყოფითი ტენდენცია გააპროტესტა. მშვიდობიან აქციაში ამავე სკოლის აღსაზრდელებიც მონაწილეობდნენ.

აქციაზე იყო ბანერები: „არ გვინდა ქუჩაში დგომა!“ „ჩვენ გვინდა ჯანსაღი ცხოვრების წესი!“, „Don't kill our dream!“...

აქციაზე იმყოფებოდნენ სპორტული ჟურნალისტები, უეფა-ს მედიაოფიცერი მამუკა კვარაცხელია და ის ადამიანები, რომელთაც ქართული ფეხბურთის მომავალზე, უბრალოდ, გული შესტკივათ.

როგორც „ქართულმა სიტყვამ“ საფეხბურთო სკოლის დირექტორ **ანდრო ცინცაძეს** და მწვრთნელებთან – **გურამ დოლიძესა** და **გიორგი მელიქიშვილთან** საუბრისას გაარკვია, „ოლიპმი“ 2001 წელს დაარსდა და მას შემდეგ მეპატრონე არაერთხელ შეიცვალა.

„ჩვენს ქვეყანაში სპორტის ამ სახეობით დაინტერესებულ ინვესტორებს ამ საქმის კეთებით გული მალევე უცრუვდებათ, რადგან სახელმწიფოსაგან ხელშეწყობა არაა“, – ამბობენ „ქართული სიტყვის“ თანამოსაუბრეები.

„ქართული სიტყვა“ დაინტერესდა, თუ როდის გასხვისდა ტერიტორია, რაზეც თანამოსაუბრეებისგან ასეთი პასუხი მიიღო:

„ამ ტერიტორიების გასხვისება 2007 წელს, მისი იმჟამინდელი მეპატრონის მიერ ესტონელ ინვესტორზე მოხდა“.

ამჟამად, საფეხბურთო სკოლაში 300-350 მოზარდი ვარჯიშობს, ისინი სხვადასხვა ასაკობრივ გუნდებში არიან გადანაწილებულნი და მათ მომავალზე კვალიფიცირებული და ლიცენზირებული მწვრთნელები ზრუნავენ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი სოციალურად დაუცველია.

„აკადემიაში ბავშვები სხვადასხვა უბნიდან დადიან და თუ „ოლიმპი“ აღარ იარსებებს, საფეხბურთო ცხოვრება იმ უბნებშიც მოკვდება. რა თქმა უნდა, ყველას აქვს შანსი, წარმატებული ფეხბურთელი გახდეს, თუმცა ამისთვის მათ ხელშეწყობა სჭირდებათ“, – მიიჩნევენ „ოლიმპის“ მესვეურები და მწვრთნელები.

მათივე თქმით, ფეხბურთის ფედერაციასა და სპორტის სამინისტროს საფეხბურთო სკოლის შესაძლო დახურვაზე დეტალურადაა ინფორმირებული, თუმცა მათგან ჯერ-ჯერობით საიმედო არაფერი ისმის. ინვესტორი მოლაპარაკებისთვის მზად ყოფილა და ფედერაციის წინა ხელმძღვანელობასაც შეხვედრია, მაგრამ ფედერაციის მაშინდელ ხელმძღვანელებს ზედმეტად თავი არ შეუწუხებიათ.

„როცა ესტონელი ინვესტორი ფედერაციის წინა ხელმძღვანელობას შეხვდა, თანახმა იყო, ალტერნატიული ფართის გამოყოფაზე, თუმცა მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა და არ ვიცით, ახლა ამ საკითხთან დაკავშირებით რას ფიქრობს. მას სურს, რომ ამ ტერიტორიაზე ააშენოს საცხოვრებელი კორპუსი, რაც თავის მხრივ სპორტული კომპლექსის სრულ განადგურებას გულისხმობს, – განმარტავენ „ოლიმპში“ და დასძენენ, რომ სრულიად ქართული საფეხბურთო ოჯახისა და მსგავსი ტიპის სხვა აკადემიებისაგან თანადგომას გრძნობენ, – ***ჩვენ სწორედ მათი მხარდაჭერა გვაძლიერებს და გვაიმედებს. ისინი დღესაც ჩვენს გვერდით დგანან. აქ არიან სპორტული ჟურნალისტები, მწვრთნელები, ფეხბურთში ჩახედული ადამიანები და, უბრალოდ, სპორტის ამ სახეობის გულშემატკივრები. დიდი მადლობა ჩვენს გვერდზე დგომისთვის. ისე, როგორც ვიცით, არც სხვა კლუბებსა და აკადემიებს ულხინთ. მათი მდგომარეობაც სავალალოა“.***

– ამ ფონზე, რამდენად რეალურია საქართველოში ფეხბურთის განვითარება და როგორ გესახებათ სპორტის ამ სახეობის მომავალი? – ვეკითხები გურამ დოლიძეს.

– ასეთ ვითარებაში ფეხბურთის განვითარება, რაღა თქმა უნდა, შეუძლებელია. იმის ნაცვლად, რომ ფეხბურთი რაც შეიძლება, მასობრივი და ხელმისაწვდომი გახადონ, პირიქით, ისედაც განადგურებულ ინფრასტრუქტურას კიდევ უფრო ანადგურებენ. თბილისში თითზე ჩამოსათვლელი სტადიონიღაა დარჩენილი, მათ მოვლა და პატრონობა სჭირდებათ. ბავშვს ფეხბურთის თამაში რომ მოუნდეს, თავის უბანში სტადიონს ვერ იპოვის. ჩემი აზრით, საჭიროა, თბილისში „დინამოს“ აკადემიის მსგავსი, მინიმუმ, 10 სტადიონი არსებობდეს. დანარჩენ ქალაქებსა და რაიონებში კი, – თითო მაღალი დონის აკადემია. რაც მთავარია, ფეხბურთი ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. სხვა მხრივ, სპორტის ამ სახეობას საქართველოში განვითარება არ უწერია“.

„მინდა, უღრმესი მადლობა გადაგიხადოთ გვერდში დგომისათვის, რასაც ჩვენი პრობლემის მიმართ იჩენთ. რაც შეეხება ჩვენს მდგომარეობას, ამას უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახს შევადარებდი, რომელსაც ყველამ ზურგი აქცია და ბედის ანაბარად მიაგდო. მინდა, ყველა იმ უწყებას მივმართო, ვისაც შეუძლია, რომ გამოიჩინოს გულისხმიერება და პატარა ქართველებს გვერდში დაუდგეს. ის, რაც ხდება, ყოვლად დაუშვებელია და ძალიან გთხოვთ, ცოტა გამოფხიზლდით. ინვესტორები მალე ეკლესიებსაც იყიდიან და მერე რას იტყვით, ძალიან მაინტერესებს. უამრავი ბავშვი ცხოვრობს ფეხბურთის რწმენით და ამ რწმენას ნუ წაართმევთ!“ – ამბობს „ოლიმპის“ ერთ-ერთი მწვრთნელი გიორგი მელიქიშვილი.

დავით დოლიძე

საზოგადოება

რა დაგვიჯდება საახალწლო სუფრა

ახალი წელი კარს მოგვადგა. საახალწლო მზადება, ტრადიციულად, დეკემბრის პირველივე დღეებიდან დაიწყო – ცენტრალური ქუჩები სადღესასწაულოდ მოირთო, ქალაქის ცენტრში მთავარი ნაძვის ხეც დაიდგა. მოკლედ, მშიერმუცელა მოსახლეობა ნელ-ნელა 31 დეკემბრის ღამისთვის ემზადება, რაც ყველაზე კარგად ბაზრებში იგრძნობა. რა დაგვიჯდება წლევანდელი საახალწლო სუფრა? – ამის გასაგებად ე.წ. „დეზერტირების“ ბაზარს ვეწვიე.

სპეციალური რეპორტაჟი „დეზერტირების“ ბაზრიდან

პირველი, რაც ამ ტერიტორიაზე თვალში გეცემათ, გარემოვაჭრეების სიმრავლეა – გაჭირვებულ ხალხს ყველაფერი, რაც შინ ეგულებოდათ თუ გადამყიდველებისგან შეიძინეს, დახლზე გამოუფენია... საერთოდ, ბაზარში მუდამ ხალხმრავლობაა, მით უმეტეს, ახლა, როცა დღესასწაულამდე ორი კვირაც აღარ რჩება.

მოვაჭრეებს ვაკვირდები: აშკარაა, პოტენციურ მყიდველად აღმიქვამენ:

– აქეთ მობრძანდი, გოგონა, კარგი ხარისხის ვაშლი არ გინდა? იაფად მოგცემ, მოდი წაიღე.

– მოდი, შვილო, ყველანაირი ლობიო მაქვს, ხელს გააყოლე, – მთავაზობს ლობიოს გამყიდველი, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ არც ლობიო მიყვარს და ვაშლსაც მხოლოდ ხათრის გამო მივირთმევ ხოლმე, იქაურობას სწრაფად გავცილდი და გეზი ხორცის დახლისკენ ავიღე.

როგორც ქართულ ბაზარს შეეფერება, ხორცის დახლთან ძირითადად მამაკაცები დგანან და ხორცს ყველა თავისებურად „აპიარებს“:

– ახალი ხორცი მაქვს, გოგონა!

– ყველაზე დაბალი ფასები აქაა, მობრძანდით!

– რითი შემიძლია გემსახუროთ, ქათმის ხორცი გნებავთ, საქონლის თუ ღორის, რომელი აგიწონოთ?!

მეღიმება და ჩემი მისვლის ნამდვილ მიზეზს ვამჟღავნებ. რომ იგებენ, ჟურნალისტი ვარ, ლაპარაკის განწყობა ეკარგებათ, თუმცა რამდენიმე მაინც გამომელაპარაკა.

როგორც აღმოჩნდა, ხორცის ფასი ნელ-ნელა იმატებს: 1 კილოგრამი ღორის ხორცი უკვე 13 ლარი ღირს, ქათმის 5,50 – 6 ლარამდე, საქონლის ხორცი კი, 10-დან 12-მდე მერყეობს.

დახლზე ჯერ ინდაური არ ჩანს – ალბათ, ბოლო დღეებისთვის ინახავენ.

რაც შეეხება გოჭს, რომელიც ახალი წლის სუფრისთვის ერთ-ერთ აუცილებელ დამამშვენებელ კერძად ითვლება, როგორც მოვაჭრეებმა აღნიშნეს, 1 კილოგრამის ფასი 15-16 ლარია, თუმცა 25 დეკემბრიდან ეს ფასი შეიცვლება, ანუ გოჭი გაძვირდება.

არასამარხვო მენიუდან სამარხვოზე გადავდივარ და თევზეულის ფასით ვინტერესდები: ე.წ. ჭიჭყინა ორი დღის წინ, თურმე, 3 ლარი ღირდა, ახლა კი, ოთხი ღირს, ლოქოსა და ასატრინაზე კი, მხოლოდ ოცნება შეიძლება. თუ საახალწლო სუფრის გამშვენიერება ბოსტნეულითა და კენკროვანებით გსურთ, გირჩევთ, ეს პროდუქტი ახლავე შეიძინოთ, რადგან როგორც გამყიდველებმა მითხრეს, 25 დეკემბრიდან ბოსტნეული და კენკრაც 2-3 ლარით მაინც გაძვირდება.

ქართულ სუფრას, რა თქმა უნდა, არც ხილეული უნდა აკლდეს და არც – რძის პროდუქტი. ბაზარი „განსაკუთრებულად დამნდობი“ არც ამ მხრივაა და ფასები რძის პროდუქტებზე 1 ლარით უკვე მომატებულია.

რაც შეეხება ხილს, კილოგრამი მანდარინი 1,50-დან 2,50-მდე ღირს, ვაშლი – 2,50-დან 4,50-მდე, ყურძენი – 4 ლარი, ბროწეულის ფასი 2 ლარიდან იწყება, მსხლის კი, – 3-დან.

ახალი წელი გოზინაყის გარეშე, რასაკვირველია, წარმოუდგენელია, რომლის მომზადებაც, მინიმუმ, 30-40 ლარი დაგიჯდებათ: ერთი კილოგრამი ნიგოზის ფასი უკვე 23 ლარს აღწევს, მაისის თაფლის ღირებულება 13 ლარიდან იწყება, მინდვრისა – 15-დან.

ასეა თუ ისე, ახალი წელი ყველას – მდიდარსა და ღარიბსაც ერთნაირად უხარია. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლები საახალწლო სუფრაზე ერთნაირი მონდომებით ზრუნავენ. მერე, რა, თუკი ზოგს სუფრაზე გოჭიც ექნება და ჩიტის რძეც, ზოგს კი, – მხოლოდ პური და მარილი. მთავარია, ახალი წელი ახალი იმედით მოდის! ასე რომ, გილოცავთ და ბედნიერება, ხვავი და ბარაქა დაგბედეთ!

ნათია ჩხარტიშვილი

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ჯანმრთელობის ანა-ბანა

ეს გვერდი თქვენი ჯანმრთელობის, თქვენი დღეგრძელობის, თქვენი გარეგნული მომხიბვლელობისა და ხალისიანი ცხოვრების ხელშეწყობისთვისაა. ჩვენი მიზანია შეძლებისდაგვარად გავცეთ პასუხი ყველა იმ შეკითხვას, რაც ადამიანს საკუთარი თავის მოვლისთვის სჭირდება ყოველდღე და ყოველ საათს. ვეცდებით, მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებზე დაყრდნობით, პოპულარულად გადმოგცეთ სპეციალისტთა რჩევა-დარიგებები ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ან მის აღსადგენად და ისეთი ხერხები შემოგთავაზოთ საამისოდ, რაც იოლად, იაფად და სახალისოდაც კი მასაღწევია. თითოეული თქვენგანი აუცილებლად ნახავს მისთვის საინტერესო მასალებს ჩვენს რუბრიკებში: „მამაკაცის ჯანმრთელობა“, „ქალის ჯანმრთელობა“, „ბავშვის ჯანმრთელობა“, „დღეგრძელობის საიდუმლო“, „კოსმეტიკა“, „დაავადებათა ანატომია“, „ხალხური მედიცინა“, „ჯანსაღი კვება“, „ჯანსაღი ცხოვრება“, „კულინარია“, „საყოველდღეო რჩევები“ და ა.შ. დაველოდებით თქვენს შენიშვნებს, სურვილებს, გამოხმაურებებს სხვადასხვა საკითხებზე. გმადლობთ, რომ ჩვენი მეგობარი გახდებით.

პროდუქტები, რომლებიც იმპოტენციას იწვევენ

ბულბულის სკლინტი, როგორც წამალი

ნიუ იორკის სილამაზის სალონი კლიენტებს უჩვეულო თერაპიას – „გეიშას ნიღაბი“ 180 დოლარად სთავაზობს. ამ სასწაულმოქმედი ნიღბის შემდეგ კანი ბრწყინვალე, აბრეშუმივით ნაზი და გადატკეცილი ხდება. პრობლემა მხოლოდ ერთია: მისი მთავარი კომპონენტია ბულბულის ექსკრემენტი!

საერთოდ, ჩიტებს, იაპონური ტრადიციის თანახმად, სოიას მარცვლებით, ბრინჯითა და თევზის ფქვილით კვებავენ. ამიტომაც მათი გამონაყოფი სასარგებლო ნივთიერებებითაა სავსე.

მოგეხსენებათ, სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს და მდიდარი ნიუიორკელები ამ მსხვერპლზე უარს არც ამბობენ – „გეიშას ნიღბით“, ყოველდღიურად, დაახლოებით, 100 ათასი ადამიანი სარგებლობს, ანუ ფულს იხდის, რათა სახეზე, როგორც ვთქვით, სკლინტი წაისვას.

როგორ დავალწიოთ თავი გაციებას

გაციების სეზონი დაიწყო. ამიტომ მიირთვით ბევრი ბროკოლი, რომელიც 2,5-ჯერ მეტ ჩ ვიტამინს შეიცავს, ვიდრე ფორთოხალი.

გარდა ამისა, ბროკოლის ცილა თავისი კვებითი ღირებულებითა და ამინომჟავების შემადგენლობით ძროხის ხორცის ცილას უთანაბრდება –

ბროკოლში 2-ჯერ მეტი ცილა, A და C ვიტამინი, კალციუმი, ფოსფორი და რკინაა, ვიდრე ჩვეულებრივ თავხვეულა და ყვავილოვან კომბოსტოში.

როცა გაციების სეზონი დგება, სასურველია, კვების მენიუ გონივრულად შეარჩიოთ, რადგან ჯანსაღ კვებაზე ადამიანის ჯანმრთელობა ბევრადაა დამოკიდებული. კვების პროდუქტები მდიდარი უნდა იყოს ვიტამინებითა და მინერალებით, რომლებიც სტრესებთან და ინფექციებთან ბრძოლის მთავარი იარაღია. ბროკოლი კი, სწორედ ასეთი ბოსტნეულია. ის A, C, E, B9, K, PP ვიტამინებისა და მინერალების – კალიუმის, კალციუმის, მაგნიუმის, რკინის, ფოსფორის, სპილენძისა და სელენიუმის შესანიშნავი წყაროა.

ვიტამინი C, რომელსაც გაციებასთან მთავარი მებრძოლის იმიჯი აქვს, ბროკოლში თითქმის რეკორდული რაოდენობითაა – 100 გრამში ის სადღეღამისო ნორმის 149%-ია. თუ მის მირთმევას მხოლოდ დაავადების შუა ფაზებიდან დაიწყებთ, არცთუ დიდ შედეგს მიიღებთ. სამაგიეროდ ძალიან კარგი პროფილაქტიკური საშუალებაა გაციების თავიდან ასაცილებლად.

ავად რომ არ გახდეთ, ნაკლებად უნდა ინერვიულოთ – ეს ცნობილი ფაქტია. აქაც თავის როლს თამაშობს ბროკოლი – ის შესანიშნავი ანტიდეპრესანტია. თითქმის ყველა ის ვიტამინი და მიკროელემენტი, რომელსაც ბროკოლი შეიცავს, სიმხნევისა და ხალისის მომგვრელია.

ანტიოქსიდანტები (A, C, E და სელენიუმი) ანეიტრალებენ თავისუფალი რადიკალების მავნე ზემოქმედებას და აუმჯობესებენ ტვინის მუშაობას. ფოლის მჟავა, ანუ B9 ვიტამინი, ასტიმულირებს სეროტონინის – ე.წ. ბედნიერების ჰორმონის გამომუშავებას. კალიუმი კუნთების სისუსტესთან, აპათიასა და ძილიანობასთან ბრძოლაში დაგეხმარებათ. მაგნიუმი კი ხელს დაქანცულობის, თავის ტკივილის და კონცენტრაციის პრობლემების მოგვარებაში შეგიწყობთ. ფოსფორი – გაგამხნევებთ და შფოთიანობას მოგიხსნით.

მიირთვით ბროკოლი ნებისმიერი სახით – მოხარშული და მოთუშული, შეაზავეთ ზეთით და მწვანილით, შეურიეთ სხვა ბოსტნეულს. უმჯობესია, უმად მიირთვათ სალათებში. გამოიყენეთ თქვენი კულინარიული ფანტაზიები.

მამაკაცებისთვის სასარგებლო და მავნე პროდუქტები

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სწრაფი კვება შესაძლოა, უნაყოფობის მიზეზი გახდეს. „ფასთ-ფუდი“ უარყოფითად მოქმედებს რეპროდუქციულ სისტემაზე. პირველ რიგში, ეს ეხება ჰამბურგერებსა და კარტოფილის ფრის. ეს პროდუქტები დიდი რაოდენობით შეიცავს ნაჯერ ცხიმებს, რომლებიც ჯანმრთელობისთვის საშიშია.

მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ მამაკაცებს, რომლებიც რეგულარულად მიირთმევენ „ფასთ-ფუდებს“, 43%-ით ნაკლები სპერმა გამოეყოფათ, ვიდრე მათ, ვინც სწორად იკვებებიან. სპერმატოზოიდების კონცენტრაცია კი ნორმაზე 38%-ით ნაკლები აქვთ. ამგვარად, ჰამბურგერებით გატაცება შესაძლოა, ბავშვის ჩასახვის პრობლემად იქცეს.

დასკვნა: ყველაზე მავნე პროდუქტები მამაკაცებისთვის არის – ჰამბურგერი, კარტოფილის ფრი და სწრაფი კვების დანარჩენი პროდუქტები, რადგან ისინი ბლომად შეიცავენ ნაჯერ ცხიმებს.

ამ თვალსაზრისით, ყველაზე სასარგებლო პროდუქტებად სპეციალისტები თვლიან თევზს, რომელიც პოლიუჯერ ცხიმმჟავებს შეიცავს და ზღვის პროდუქტებს, რომლებშიც ბევრია თუთია, ცილები, შეიცავს E ვიტამინს და მცენარეულ ცხიმებს. ყველა ეს ჩამოთვლილი პროდუქტი პოზიტიურად მოქმედებს პოტენციაზე.

ახალია თუ ძველი

ჩაუშვით კვერცხი ცივი წყლით სავსე ღრმა ჯამში. თუ კვერცხი ჩაიძირა და ჰორიზონტალურ მდგომარეობაში დარჩა, მაშასადამე, ძალიან ახალია. თუ ოდნავ ამოიწია და დახრილიცაა, დაახლოებით, ერთი კვირისაა და მაინც ახლად ითვლება.

თუ კვერცხი ვერტიკალურად ცურავს, 3 კვირისაა და მისი გამოყენების ვადა იწურება.

ნებისმიერი კვერცხი, თუკი წყლის ზედაპირზე ჰორიზონტალურად ტივტივებს, გაფუჭებულია და მისი გამოყენება არ შეიძლება!

ციცინო მჭედლიშვილი



18 № 50 (314) 23 - 29 დეკემბერი 2015

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲐᲠᲐ-ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲑᲔᲑᲔᲠᲘ ᲛᲔᲚᲐᲜᲘ ᲒᲠᲘᲤᲘᲢᲘᲡ ᲤᲔᲮᲔᲑᲛᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲘ „ᲐᲐᲤᲔᲗᲥᲔᲡ“

ჰოლივუდელმა მელანი გრიფიტმა ერთ-ერთ სოციალურ ქსელში პლაჟზე გადაღებული ფოტო „გამოფინა“. ფოტოზე მხოლოდ მსახიობის ფეხები ჩანს, რომელსაც ვარსკვლავმა ასეთი კომენტარი დაურთო: „ჰავაი და ჩემი ფეხები ცაში“.

„მელანი იმ ასაკსა და ფორმაში აღარაა, რომ ასეთი ფოტოები გადაიღოს და საჯაროდ განათავსოს“, — ამბობენ ფოტოს მნახველები და ხაზს იმასაც უსვამენ, რომ მელანის დანაოჭებული მუხლები არცთუ ესთეტიკური სანახავია.

ასეთი რეაქციის მიუხედავად, ჰოლივუდელს ფოტო სოციალური ქსელიდან არ წაუშლია. მეტიც, ინტერნეტში ახალი ფოტო-სელფი „ატვირთა“ და მიაწერა: „ეს მე ვარ, ფილტრების გარეშე — 58 წლის და ვთამაშობ სერიალში — „ჰავაი 5.0“ სკოტ კაანის დედის როლს. განაგრძეთ საზიზღრობების წერა. ბედნიერ შობას გისურვებთ!“

ᲑᲔᲑᲔᲠᲘ ᲛᲔᲚᲐᲜᲘ ᲒᲠᲘᲤᲘᲢᲘᲡ ᲤᲔᲮᲔᲑᲛᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲘ „ᲐᲐᲤᲔᲗᲥᲔᲡ“

მსოფლიოში სახელგანთქმული რუსი მომღერლის, ჟანა ფრისკეს გარდაცვალებიდან 6 თვე გავიდა. ჟანას სიკვდილის წუთიდან, მისი ახლობლები დაძაბულ ვითარებაში იმყოფებოდნენ, ახლა კი, დამშვიდდნენ, რამეთუ მომღერლის ქონება, როგორც მედია იუწყება, გაიყვეს. ისე, არსებობს ვერსია, რომ ოჯახური კონფლიქტი ჟანას აგარაკსა და მოსკოვის ბინას უკავშირდებოდა.

ჟანას ანდერძი არ დაუტოვებია. შესაბამისად, ახლობლებს მის საკუთრებაზე უფლების მოსაპოვებლად დრო დასჭირდათ. საბოლოოდ, ქონება ასე გადანაწილდა:

წითელ პრესნიაზე მდებარე ელიტურ სახლში ოროთახიანი ბინა ჟანას მშობლებს დარჩათ, რომელიც მოგვიანებით, მის შვილს, პლატონს გადაეცემა.

დიდებული აგარაკი კი, რომლის ფართობიც 400 კვადრატული მეტრია, ჟანას ქმარს, დიმიტრი შეპელევს ერგო.

ცნობისთვის: 41 წლის ჟანა ფრისკე წელს, 15 ივლისს, თავის ტვინის სიმსივნით გარდაიცვალა.

ᲡᲐᲨᲝᲑᲐᲝ ᲛᲘᲡᲐᲚᲝᲪᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲝᲯᲐᲮᲘᲡᲒᲐᲜ

ბრიტანეთის სამეფო ოჯახმა, პრინც ჯორჯსა და პრინცესა შარლოტთან ერთად, საშობაო მისალოცი ბარათების საკუთარი ვერსია შექმნა. ფოტო, რომელიც ოქტომბერშია გადაღებული, ყოფილი ჯარისკაცის, კრის ჯელფის, როგორც იტყვიან, ობიექტივს ეკუთვნის. „ძალიან საყვარელი ოჯახი გადავიღე. იმედი მაქვს, ფოტო ყველას მოეწონება. ჩემთვის ნამდვილად პატივია, რომ ჰერცოგმა და მისმა მეუღლემ გადაწყვიტეს, ეს ფოტო საჯარო გაეხადათ“, — ამბობს ფოტოს ავტორი.

ᲚᲔᲝᲜᲐᲠᲓᲝ ᲓᲘᲙᲐ�პᲠᲘᲝᲡ ᲧᲝᲤᲘᲚ ᲨᲔᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲡ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐ

30 წლის ბარ რაფაელი ებრაელი ტოპ-მოდელია, რომელიც გადასახადების გადახდისგან თავის არიდებაშია ეჭვმიტანილი. კერძოდ, ისრაელის საგადასახადო სამმართველო მოდელს ბარტერულ ჰონორარებთან დაკავშირებით ედავება. ლაპარაკია 260 ათას დოლარზე, რომელიც ბარმა სხვადასხვა დროს სარეკლამო კომპანიებთან თანამშრომლობით მიიღო. გამოძიებამ მოდელის დედა, ძმა და ასევე, ბუღალტერიც დაკითხა. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ „შავ შემოსავალზე“ არაფერი იცოდა. თავდაპირველად არსებობდა ინფორმაცია, რომ მოდელს დააპატიმრებდნენ, მაგრამ 12-საათიანი დაკითხვის შემდეგ, ტოპ-მოდელი ფინანსური გარანტიის პირობით გაათავისუფლეს.

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲐᲠᲐ-ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲐᲚᲐ ᲞᲣᲒᲐᲩᲝᲕᲐ 20 ᲬᲚᲘᲗ ᲒᲐᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲕᲓᲐ

ალა პუგაჩოვა და მაქსიმ გალკინი რუსულ შოუბიზნესში ყველაზე ხმაურიან და სკანდალურ წყვილად ითვლება. ამას წინათ, ალა და გალკინი, შვილებთან ერთად, გამოცემა Телесемь-ის გარეკანზე გამოჩნდნენ. ფოტოგადაღებები, როგორც ირკვევა, წყვილის აგარაკზე მიმდინარეობდა.

ფოტოებში კარგად ჩანს ალას განსხვავებული იმიჯი: მას

წონაში შესამჩნევად აქვს დაკლებული და კიდევ უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება.

„ჩემმა სტილისტმა მაიძულა, გავმხდარიყავი, კიდევ უფრო გავახალგაზრდავებულიყავი და თავი 20 წლით უმცროს ქალად მეგრძნო“, — ამბობს რუსული ესტრადის პრიმადონა.

შეგახსენებთ: ტყუპს, რომელიც წყვილს სუროგატმა დედამ გაუჩინა, მალე 2 წელი შეუსრულდება. გალკინის თქმით, ორივე შვილი ძალიან მუსიკალურია. გარდა ამისა, ლიზა კარგად ცეკვავს.

ამბობენ, რომ გოგონა ალას ჰგავს, ჰარი კი, — გალკინს.

ᲝᲓᲠᲘ ᲰᲔᲞᲑᲔᲠᲜᲘᲡ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘᲡ ᲪᲜᲔᲑᲐᲜᲘ

ოდრი ჰეპბერნის უმცროსი შვილი ლუკა დოტი ჰყვება, თუ როგორ უვლიდა დედამისი თავს და როგორი იყო მისი მიდგომა კვების რეჟიმის მიმართ:

„დედა ყველას აძალებდა, რომ ბევრი წყალი დაელია. თვითონაც ძალიან ბევრ წყალს სვამდა და ბევრ ბოსტნეულს ჭამდა. ხორცს ძალიან პატარა პორციებით მიირთმევდა, თან იშვიათად. მისი მენიუს 80 პროცენტი ხილისა და ბოსტნეულისგან შედგებოდა. დედას საერთოდ არ აფრთხობდა წლების მატება. რასაკვირველია, წუხდა ნაოჭებზე, ჭაღარა თმაზე, მაგრამ კმაყოფილი იყო საკუთარი ასაკით... მისი დიეტა ძირითადად კარტოფილს მოიცავდა — კარტოფილს თითქმის ყოველდღე ჭამდა“.

82 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲡᲔᲠᲐᲢ ᲙᲐᲑᲐᲚᲘᲔ ᲗᲐᲚᲚᲘᲗᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲛᲮᲘᲚᲔᲡ

მსოფლიო საოპერო სცენის ვარსკვლავი მონსერატ კაბალიე 500 000 ევროს ოდენობის გადასახადისგან თავის არიდებაში დაადანაშაულეს. შესაბამისად, სასამართლომ ჯარიმა და 6-თვიანი პატიმრობა მიუსაჯა.

საქმის გამოძიება ჯერ კიდევ შარშან დაიწყო და, როგორც გაირკვა, მონსერატმა კანონი განზრახ დაარღვია, რაც იმას ნიშნავს, რომ ბარსელონაში მცხოვრები კაბალიე შემოსავლებს დიდი ხანი მალავდა და ანდორაში რიცხავდა.

ამბობენ, რომ მომღერალს საკანში ჯდომა არ მოუწევს, რადგან 82 წელი უკვე შეუსრულდა და მისი ჯანმრთელობაც არასახარბიელოა.

კაბალიე მოსამართლესთან გარიგებაზე წავიდა და დანაშაული აღიარა. ამასთან, სრულად დაფარა დაკისრებული ჯარიმა. ყველაფერ ამის გათვალისწინებით, სასამართლომ ყველაზე მსუბუქი განაჩენი გამოიტანა, რომლის აღსრულებაც განუსაზღვრელი ვადითაა გადადებული. დიდი ალბათობით პატიმრობა სრულიად გაუქმდება.

48 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲐᲛᲔᲚᲐ ᲐᲜᲓᲔᲠᲡᲝᲜᲘ „ᲤᲚᲔᲘᲑᲝᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲒᲐᲨᲘᲨᲕᲚᲓᲐ

პამელა ანდერსონმა ჟურნალ „ფლეიბოის“ ბოლო ეროტიკული გარეკანი დაამშვენა — ლეგენდარული გამოცემა 60 წლის განმავლობაში პირველად, ფორმატს ცვლის და ყდაზე შიშველ ქალებს აღარ დაბეჭდავს.

ზურა მეგრელიშვილის ფოტო

ჯანსუღის სიცილნათელები

ოთარ ჩხეიძეს!
გბაძავდნენ, როგორც
ჭეშმარიტ მწერალს,
ის შენი სტილი
იყო მწვერვალი,
ვინც კი დაიწყო
შენს სტილში წერა,
სუყველა გახდა
დიდი მწერალი.

ინგა გრიგოლიას!
მე შენს სიყვარულს ვჩემულობ,
რჩეულთა შორის რჩეულო,
ძველი ქართული ფიქრებით,
მარად მუზაში იქნები.
მტერთან ვერავინ შეგყრის და
ზურგს შეგაქცევენ ლაჩრები,
მტერი გაქრება ქვეყნიდან,
შენ ისევ ხალხში დარჩები!

სტალინი და მიშა
რაშია საქმე,
ვერა ვგებულობ, –
საქართველოში
ძმაა ძმის მტერი,
სტალინის დღეზე
დაბადებულო,
რამ შეგაყვარა
ასე ჰიტლერი?!

გიცოცხავთ ახალ წელს
არც აქ მყოფს და
არც გაპარულს
არ ვუკარგავ
ნაღვაწევს,
მიშიკოს და
სანდრა-კლაუსს
მე ვუცოცხავ
ახალ წელს.

წასვლისას
მივდიოდი,
არ გამიშვი,
სიყვარული
ჩაგირიცხე
ანგარიშში.

მჯობნის მჯობნი
– მსხალი სჯობია თუ ვაშლი?
და შემიტოკდა ულვაში,
– რა გითხრათ, ორივ კარგია,
რითმებში მომიქარგია.
აი, მაყვალი სუფრასთან
ნამდვილად ოლიგარქია.

დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024

9 772298 002004 47922

მთავარი რედაქტორი: ჯანსუღ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი,
ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი,
არმაზ სანებლიძე,

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე,
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი:
ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი
რეგისტრირებულია
რეგიონალური
ცენტრის
(საგადასახადო
ინსპექცია) მიერ.
რეგისტრაციის №22851

მისამართი:
26 მაისის
მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90

E-Mail: qartulisityva@gmail.com

გაზეთი მოძველებს თავისუფალი პრესის პრინციპით